ქიდოლის ფეთი

საქართველოს მწერალთა კავშირის გაზეთი
№7 (250)
1-31 ივლისი 2016
ფასი 1 ლარი

გამოდის თვეში ორჯერ

რუსთაველი - 850

როგორ გაძარცვეს ,,ვეფხისტყაოსანი"

მურმან თავდიშვილი

,,რაცა ღმერთსა არა სწადდეს, არა საქმე არ იქნების!" – გვმოძღვრავს ბრძენკაცი.

ეტყობა, ზენაარს არა სწადია, რომ თანამედროვე მკითხველმა რუსთველის შემოქმედება სრულად იხილოს.

1712 წლიდან დაწყებული ვიკვლევთ, ვადგენთ ჩვენი ეროვნული პოემის კანონიკურ ტექსტს და დღემდე ვერ დაგვიდგენია!

ცალკეულ მკვლევარებს რომ თავი დავანებოთ (ალ. სარაჯიშვილით დაწყებული პ. ინგოროყვათი დამთავრებული), მარტო ის რადა ღირს, პროფესორ-აკადემიკოსთაგან შემდგარი ტექსტის დამდგენი თაბუნი რომ ,,წელში გაწყდა" მუშაობით და მხოლოდ ეგ შეძლო: მართლაც რომ ,,წელში გამწყდარი" და მახინჯი ტექსტი შემოგვთავაზა. 1966 წლის აკადემიური და კრიტიკული გამოცემები იხილეთ, ბატონებო!

ამ გამოცემების თაობაზე ქვემორელე ვისაუბრებთ, აქ კი უნდა დავსძინო: ჩვენმა მეცნიერებმა ჭეშმარიტი ,,ვეფხისტყაოსანი" ხალხს დაუმალეს, რუსთველის ხელისხელსაგოგმანები სრული ტექსტი დღემდე არაა გამოცემული და, ყველაფრიდანა ჩანს, არცა გამოვა.

მაშასადამე, ქართველი ხალხი კიდევ დიდხანს ვერ წაიკითხავს სრულ ,,ვეფხისტყაოსანს".

ჩემი გამოთვლით, თანამედროვე გამოცემები, რომლებიც ეფუძნება აკადემიურ და კრიტიკულ ტექსტებს, დაახლოებით 60 სტროფს აუჩინარებს. ეს კი მოცულობით დაახლოებით იგივეა, რაც აკაკის სრულმასშტაბიანი პოემა ,,გამზრდელი".

მაშასადამე, მკითხველს ვუმალავთ რუსთველის ერთ პოემას.

მაშ, ასე:

დავურიალოთ 1966 წლის კრიტიკულ, საიუბილეო და აკადემიურ გამოცემებს.

არაერთხელ მითქვამს, დამიბეჭდავს, რადიოთი გამომიცხადებია და ტორეადორის წითელი ქსოვილივით მაღლა ამიფრიალებია: ყველა ამ უბედურების თავწყარო ისაა, რომ ჩვენმა ნაფიცმა რუსთველოლოგებმა პოემის ტექსტი არ იციან. ხელნაწერული მემკვიდრეობა რომ არ იციან, ეს იმთავითვე ცნობილია, ოღონდ ამათ არცა დასტამბული ტექსტი წაუკითხავთ გულისყურით. ამიტომაც მოსდით სავალალო შეცდომები, ტექსტოლოგიური ფიასკო, ყმაწვილჯანური გადაცდომები.

ვუწოდოთ ყოველივე ამას ქართული რუსთველოლოგიის საყმაწვილო სენი და გადავიდეთ საქმეზე.

სანიმუშოდ ავიღოთ აკადემიური კომისიის მიერ ხელდასხმული საიუბილეო გამოცემა (1966).

ჯ მომაკვდინებელი ,,იაღლიში", რო-

მელიც წიგნის მესვეურებს მოსვლიათ, ჩემი აზრით, არ უნდა მოუვიდეს ლოგიკურად მოაზროვნე მეხუთეკლასელ ბავშვსაც კი! პოემის ბოლო მონაკვეთი (სამი თავი, ე.წ. ,,ინდო-ხატაელთა ამბავი"), სადაც ცენტრალურ გმირთა ინდოეთში დაბრუნებაზეა საუბარი, წიგნიდან გაძევებულია. იგი მიჩნეულია არარუსთველურ მონაკვეთად.

კეთილი და პატიოსანი!

ერთი წუთით დავიჯეროთ ეს ლახუდრული მოსაზრება, მაგრამ მაშინ გონიერ კაცს უჩნდება კანონიერი შეკითხვა: თუ ეს ბოლო, დამამთავრებელი, მონაკვეთი ავტორისეული არაა, მაშინ ამავე არაავტორისეული მონაკვეთიდან რატომ ვბეჭდავთ მის შემადგენელ და დამაგვირგვინებელ თავს ,,ქორწილი ტარიელისა და ნესტან – დარეჯანისა"?!

განა გონიერი მკითხველი ასეთ წაჯექუკუჯექობიას მოითმენს და გაპატიებს?

მაშ, ასე:

თუ ,,ინდო-ხატაელთა ამბავი" არ არის პოემის კუთვნილება, მაშინ კეთილი ინებეთ და შეეშვით მის ბოლო ნაწილს!

განა აქ ორი აზრი შეიძლება არსებობდეს?

მაგრამ ჩვენი ,,სწავლული" რუსთველოლოგები იმდენად უსუსურნი არიან კომპოზიციის დარგში, ამ დამანგრეველ წინააღმდეგობას ვერ ხედავენ.

მომაკვდინებელი ,,იაღლიში" პირველზე უფრო სახოხმარიკოა და მკითხველსა ვთხოვ, ქამარი მაგრად შემოიჭიროს. ეს გადაცდომა, წესითა და რიგით, მესამეკლასელ ბავშვსაც არ უნდა მოუვიდეს.

ამ აკადემიური ტექსტის მიხედვით, ვხედავთ უცნაურ რასმე:

ტარიელს და ცოლსა მისსა მიხვდა
მათი საწადელი –
შვიდი ტახტი სახელმწიფო,
საშვებელი გაუცდელი (გვ. 354).

დააკვირდით! ტარიელი მეფედ დასვეს ინდოეთის ტახტზე, გვერდით ნესტანი მიუსვეს.

ეს ვითარება უთუმცაოდ დასტურდება მომდევნო პოეტურ აბზაცში:

თვით ორნივე ერთგან მსხდომნი
ნახნეთ, მზეცა ვერა სჯობდეს,
ბუკსა ჰკრეს და მეფედ დასვეს,
ქოსნი ხმასა დაატკბობდეს;
მისცა კლიტე საჭურჭლეთა,
თავთა მათთა მიანდობდეს,
,,ესეაო მეფე ჩვენი", – იძახდეს
და ამას ხმობდეს.

მაშასადამე, ყველაფერი ისე ხდება, როგორც ჩვეულებრივი კორონაციის დროს – ყველა ნესი და რიტუალი დაცულია!

ამრიგად, ამ აკადემიური გამოცემის მიხედვით, ტარიელი ინდოეთის ტახტზე ადის, მასზე მორჭმული ჯდება და იქვე უზის დედოფალი ნესტანი.

კარგიმც დაგემართოსთ!

მაგრამ აქ მაღვალაკურად უნდა დავიყვირო: ,,მეფე შიშველია!"

კი, მაგრამ იმას რა ვუყოთ, აკადემიკოსებო (გიორგი წერეთელო, აკაკი შანიძევ, ალექსანდრე ბარამიძევ და კიდევ სხვანო და სხვანო), რომ ინდოეთის კანონიერი მეფე ფარსადანი ცოცხალია და ტახტზე მორჭმითა ზის?!

ამ ფაქტს რაღას უშვებით?

ნუთუ ტარიელი ფარსადანს მუხლზე უჯდება?

განაღა თქვენი ამ ტექსტით ფარსადანი ცოცხალი არაა? თქვენი ტექსტის მიხედვით ხომ ის არ მომკვდარა? მაშ, ცოცხალი და საღ-სალამათი კაცი ისე როგორ გააქრეთ, რომ მის კუთვნილ ტახტზე ტარიელსა სვამთ?

ეს კურიოზი კი იმად მოგვიდათ, რომ ვერ გაითვალისწინეთ რუსთველური ტექსტის რკინის ლოგიკა: ავტორსა სწადია, ტარიელი და ნესტანი ინდოეთში დაბრუნდნენ, დაამარცხონ შემოსეული მტერი (რამაზ ხატაელი), გამართონ დიდი ქორწილი და ტახტზე ავიდნენ, მაგრამ საამისოდ საჭიროა თავიდან მოიშოროს ფარსადან მეფე, რათა შინმისულ ტარიელს ტახტი თავისუფალი დახვდეს და ძველ მეფეს მუხლებზე არ დაუჯდეს.

ყველაფერი ეს კი უნდა მოხდეს სწორედ იმ გაძევებულ თავებში.

ასეც ხდება.

სწორედ იმ, თქვენ მიერ გაძევებულ, თავებშია გადმოცემული და ნაჩვენები ის ვითარება, თუ როგორ აღესრულა ფარსადანი და როგორ დარჩა ინდოეთის ტახტი თავისუფალი. კომპოზიციის ჯადოქარი რუსთველი სწორედ ამ ეპიზოდში გვიჩვენებს, რომ ტახტი ცარიელია და ის თავის მომდევნო მპყრობელს (ტარიელს) ელოდება.

უამეპიზოდოდ გამოდის ის, რაც თქვენ გამოგვიდათ: დიდი შეცდომა, სამარცხვინო ფიასკო, სადაც დადასტურდა ტექსტის არცოდნა და ავტორისეული კომპოზიციური შთანაფიქრის სრული გაუგებრობა!

მაშასადამე, აკადემიური თაბუნის ,,შრომის" სავალალო შედეგი აშკარაა: აკადემიური ტექსტის მიხედვით, ფარსადანი არ მომკვდარა, ის ცოცხალია და ტარიელი მის კუთვნილ ტახტზე ისე ჯდება, ვითომც არაფერი!

დიახ, ჩვენმა აკადემიკოსებმა კაცი, თანაც არა უბრალო, თვითმპყრობელი ხელმწიფე, მეფოკუსე კიოს ჯადოსნური კვერთხის ერთი აქნევით გააქრეს.

მარტო ეს ორი მომაკვდინებელი არგუმენტიც კი ნათელყოფს, ტექსტის რა მცოდნე და ლოგიკასთან რაგვარად დაკავშირებული ტექსტოლოგები გვყოლია და გვყავს.

მაშასადამე, აუცილებლად უნდა აღდგეს ე.წ. ,,ინდო-ხატაელთა ამბავი", ის სამი კლასიკური მონაკვეთი, ურომლისოდაც პოემა გუმბათწარკვეთილ ტაძარსა ჰგავს (მიხეილ ჯავახიშვილი). ესკი დაახლოებით 25-30 სტროფია.

არაფერს ვამბობ იმ პოზიტიურ არგუმენტებზე, რომლებიც ამ მონაკვეთის სასარგებლოდ არაერთგზის წარმომიდგენია, ოღონდ, ერთის შესახებ რომ არა ვთქვა, არ შემიძლია.

რუსთველის გენიალობა ყველაფრით ვლინდება, მაგრამ ამ მხრივ განსაკუთრებით საჩინოა ორი მომენტი: სიბრძნე და პოეტური ოსტატობა.

პირველის საუკეთესო გამოხატულებაა აფორიზმი, მეორისა – მეტაფორა. აფორიზმი სიბრძნის დაკუმშული ფორმულაა, ხოლო მეტაფორა – მხატვრული ოსტატობის კონდენსირებული ფორმა.

ამიტომაცაა, რომ პოემას თავიდან ბოლომდე მძლავრ ფრთებად შესხმია ეს ორი ფენომენი.

ჩვენი დაკვირვებით, რუსთველისათვის დამახასიათებელი ეს ტიპური ფორმები მომარჯვებულია სწავლულთა მიერ გაძევებულ ამ მონაკვეთშიც, ოღონდ ფიქსირდება ერთი საოცარი ფაქტი: რუსთველის ყველაზე უკეთესი, N1, აფორიზმიცა და N1 მეტაფორაც სწორედ ამ სამ თავშია დაუნჯებული.

მარტო ეგ ფაქტიც კი საკმარისია იმის სამტკიცად, რომ ,,ინდო-ხატაელთა ამბავი" რუსთველისაა.

▶ 2 ᲒᲒ.

▶ 1 83.

მომყავს ,,ვეფხისტყაოსნის“ N1 აფორიზმი და N1 მეტაფორა:

1. შიში ვერ გიხსნის სიკვდილსა, ცუდნიღა დაღრეჯანია.

2. გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა ბროლისა საფოცხელია.

ჩვენში არ არსებობს უფრო ხშირად გამოყენებადი და პოპულარული აფორიზმი, ვიდრე ზემორელე ნათქვამია.

რუსთველის შემოქმედებაში არ არსებობს ისეთი მეორე უმწვერვალესი მეტაფორა, ვიდრე ზემორელე მოყვანილია: გამზრდელი ფარსადანის სიკვდილის ამბავი რომ შეიტყო, ტარიელმა თმა და წვერი დაიგლიჯა. გიშრის ტევრი შავი თმა-წვერია, ბროლის საფოცხელი – ხელის თითები.

ახლა კი ის გავსინჯოთ, თუ როგორ ჟღერს N1 აფორიზმის შემცველი მონაკვეთი:

,,უთხარით, - ბრძანებს ტარიელ,
მეფე ლაღი და ჯანია,
იგი ხელმწიფე უკადრი,
მებრძოლთა დამსაჯანია, –
ჩემსა ამბავსა გაცნევენ
თქვენნივე დარაჯანია,
შიში ვერ გიხსნის სიკდილსა,
ცუდნიღა დაღრეჯანია!“

,,ინდო – ხატაელთა ამბის“ არაერთი ბწყინვალე მონაკვეთიდან კიდევ ერთს შემოგთავაზებთ, სადაც გაბედული სკაბრეზული გამოთქმა შორეულად მამიდა დავარის მიერ ნესტანისადმი ნათქვამ მაგარ სიტყვებს მოგვაგონებს. ტარიელი პირისგამტეხ რამაზ ხატაელს უთვლის:

აწ დაემზადე, მოპარვა მე
შენი არა მწადიან;
შემები, რაზმი დააწყევ, პირველვე
გამიცხადიან;
პირბოზო, ჩემი მორევნა რა
დია დაგიქადიან,
მე ჩაბალახად გახმარებ,
რაცა გიმუზარადიან!

აი, როგორ ჟღერს N1 მეტაფორის შემცველი მონაკვეთი:

ვითა გამზრდელსა ჰმართებდა,
გაზრდილი აგრეც ხელია;
რომე სდის ცრემლი თვალთაგან,
ცეცხლთაგან უფრო ცხელია;
თავსა იცემდის, იზახდის, ტირს
მეტად გულფიცხელია,
გიშრისა ტევრსა მოჰფოცხდა
ბროლისა საფოცხელია.

ბრწყინვალე შედევრია!

იმასაც მიაქციეთ ყურადღება, რომ აქ მომარჯვებულია რუსთველისათვის დამახასიათებელი რთული ხერხი – რითმა იწყება საყრდენი თანხმოვნებით ც ხ.

ახლა შიგნიტექსტს მივხედოთ.

ბოლო ხომ ასე უაზროდ და უკონტროლოდ მიაკვნიტეს და ჩამოაჭრეს პოემას, არც შიგნიტექსტში უტრიალიათ და უბუქნავიათ კრძალვა-რიდით. შესავალსა და ცენტრალურ ნაწილს 25-30 სტროფი მაინც აკლია.

მე მქონდა შესაძლებლობა, დამედგინა რამდენიმე რუსთველური კანონი და კანონზომიერება, რომლებიც დიმიტრი მენდელეევის პერიოდული სისტემისაებრ მსჭვალავს პოემას და ნაბეჭდი ტექსტებისადმი ამ კანონთა სისტემის მიყენება გვიჩვენებს იმ ,,ვიწრო“ ადგილებს, სადაც სტროფები აკლია. კერძოდ, ერთ-ერთი ასეთი კანონია ე.წ. ,,ბრძანების კანონზომიერება“. ამ კანონის მიხედვით, აკადემიურ და კრიტიკულ ტექსტებს აკლია სამი პოეტური აბზაცი.

ესე იგი, ნაბეჭდ ტექსტებში არის სამი ისეთი ადგილი, სადაც ე. წ. ,,ბრძანების კანონზომიერება“ უნდა სრულდებოდეს, ოღონდ არა სრულდება. მაშ, აქ სტროფია გამორჩენილი, რომელიც აღადგენს ამ კანონზომიერებას. ჩახედავ ხელნაწერებში და რას ხედავ?! ბევრ მათგანში ჩვენ მიერ მეცნიერულ ნიადაგზე ნავარაუდევი პოეტური აბზაცი მშვენივრად გრძნობს თავს.

ამის ერთ ნიმუშს აქვე წარმოვადგენ (ორს შემოქმედებით საიდუმლოდ გადავინახავ).

ნადირობის შემდეგ დაქანცულმა როსტევან მეფემ და სპასპეტმა ავთანდილმა ხეთა ჩეროში შეისვენეს. მეფემ მდინარეს თვალი ჩააყოლა და ქვემორე უცნაური მოყმე შენიშნა. იგი მის მოლაშქრეებს სულაც არა ჰგავდა. ეგ სცენა ორი სტროფით არის აღწერილი. ორსტროფედის ბოლო ტაეპი ასეთია:

ნახეს და ნახვა მოუნდა უცხოსა სანახავისა (გვ. 26).

,,ნახეს“ აქ როსტევანის უმაღლესობის პატივისცემის გამომხატველია. თუ დღევანდელ ენაზე ვთარგმნით, ასეთი რამ გამოვა: ხელმწიფემ ნახა (ნახეს) შორს მყოფი უცნაური რაინდი და მისი ახლოს გაცნობა მოუნდა.

მოუნდა, ოღონდ ეგ არავინ უწყის. ეს რუსთველის კომენტარია. მეფეს არავისთვის მიუცია ბრძანება, რომ ის მოყმე მოეყვანათ. ამ დროს უეცრად მოდის სტროფი, რომლიდანაც ვიგებთ: ,,წავიდა მონა საუბრად მის ყმისა გულმდუღარისად“.

მე გეკითხებით: რა უფლების ძალით?

ერთმა უბრალო მონამ მიუთითებლად ვითარ დატოვა თავისი ადგილი და უცხოსთან სასაუბროდ გაეშურა? მეორეც, რა იცოდა, მეფეს უცნაური მოყმის ახლოს გაცნობა რომ ეწადა? ეს ხომ პატრონს არავისთვის უცნობებია?! და ა.შ.

რა თქმა უნდა, აქ აკლია სტროფი, რომელშიც როსტევანი თავისი ათობით მონიდან, რომლებიც იქ იდგნენ, ერთ-ერთს დავალებას აძლევს, უცხო რაინდი მოიწვიოს.

ეგ სტროფი ბევრ ,,საუკეთესო“ და ზოგ ,,საეჭვო“ ხელნაწერშია დაცული. მისი აღდგენა აუცილებელია!

აქ მომყავს პოემის ეს აუცილებელი მონაკვეთი:

მეფემან ბრძანა: ,,ვინ არის უხო
პირად და ტანადო?!“
უ ბ რ ძ ა ნ ა ერთსა მონასა: ,,წადი
ფიცხლად და ჯანადო;
გიბრძანებს, უთხარ, ვერ გიცნობ
ჩვენთა ლაშქართა თანადო,
ვინცა ხარ, მოდი წინაშე,
შენ ჩემგან მონაყვანადო!“

(დაცულია ხელნაწერებში: შ-2829, ქ-461, ჰ54, ჰ-757 და სხვებში)

ნაბეჭდ ტექსტებში უსამართლოდ გამქრალ-გამოტოვებულ სტროფებზე მიუთითებს სხვა კანონზომიერებები. ესენია: ,,კითხვა-მიგების“ კანონზომიერება, ,,წასვლა-მისვლის“ კანონზომიერება და ა.შ.

მოვიყვან მხოლოდ ერთ მაგალითს ე.წ. ,,კითხვა-მიგების“ კანონზომიერებიდან.

სამსჯელო წიგნში არის ასეთი სიტუაცია: როსტანი და მისი სპასპეტი წაკინკლავდნენ, მშვილდ-ისრის მოხმარებაში არა მე გჯობივარ და არა მეო!

ავთანდილის სიტყვებია:

მიწაცა თქვენი ავთანდილ
თქვენს წინა მშვილდოსანია,
ნაძლევი დავდვათ, მოვასხნეთ
მოწმად თქვენივე ყმანია;
მოასპარეზედ ვინ მგავსო?
– ცუდნიღა უკუთქმანია,
გარდამწვედელი მისიცა
ბურთი და მოედანია!

ამას მოჰყვება სტროფი, რომელიც ქმნის გაურკვევლობას, თუ ვის ეკუთვნის აქ ნათქვამი – ისევ ავთანდილი მეტყველებს თუ ეს არის ზემოთქმულზე როსტანის პასუხი?

აი, ისიც:

მე არ შეგარჩენ შენ ჩემსა
მაგისა დაცილებასა,
ბრძანე, ვისროლოთ, ნუ იქმო
შედრეკილობა – კლებასა,
კარგთა ყმათასა ვიქმოდეთ მოწმად
ჩვენთანა ხლებასა,
მერმე გამოჩნდეს მოედანს,
ვისძი უთხრობდენ ქებასა!

კატეგორიულად ვაცხადებ:

ძნელი გასარკვევია, მეორე პოეტური მონაკვეთის სიტყვები ვისია –
პატრონისა თუ ყმისა?

ჩემ მიერ დადგენილი კანონზომიერებით კი, ყოველ დიალოგს მკაფიოდ საზღვრავს იმის მითითება, თუ ვინ ამეტყველდა ახლა. რუსთველის კანონია: ყოველ რემარკას წინ უსიკვდილოდ ახლდეს მითითება, ვინ ალაპარაკდა, ვინ დაიწყო მეტყველება.

კარგად თუ ჩავუკვირდებით, მივხვდებით, რომ მეორე სტროფში წარმოთქმული აზრები ეკუთვნის როსტევანს, ეს ერთგვარი პასუხია ყმის შეტევაზე, ოღონდ, ე.წ. ,,კითხვა-მიგების“ რუსთველური კანონზომიერებით, ეს უჯეროა, რადგან როსტევანის სიტყვებს წინ უნდა უძღოდეს იმის მითითება, თუ ვინ ამბობს ამას. მაშ, აქ ჩნდება ეჭვი, ხომარ აკლია სტროფი, რომელშიც მითითებულია, თუ ახლა ვინ ამეტყველდა! და ასეც არის. არსებობს სტროფი, რომელიც ხელნაწერებში თავის ადგილზეა და კანონს აღადგენს. მაშასადამე, აქ აკლია სტროფი, რომელშიც ჩანს, როსტევანი თუ ვითარ ამეტყველდა და ამ სტროფს მოსდევს ზემორელე მოყვანილი ,,ბუნდოვანი“ პოეტური აბზაცი. გამოტოვებული მონაკვეთის აღდგენით ,,ბუნდოვანი“ სტროფიც ცხადი და ნათელი ხდება.

ეს რუსთველური მონაკვეთი ამგვარია:

მეფე ლაღი და წყლიანი
გამხიარულდა მეტადრე;
სიცილით უ თ ხ რ ა ა ვ თ ა ნ დ ი ლ ს:
,,შვილად გაგზარდე,
მით მკადრე;
იცი, არ გიწყენ, გაზრდილო,
მით შემომიხველ ზედადრე,
თუ არ გასწბილდე, მაჯობო,
ბედი გეყოფის ბედადრე“.

ასე დაჩეხილი, ულოგიკო, სამარცხვინო შეცდომებით დასახიჩრებული ტექსტი გაავრცელეს რუსთველის საიუბილეოდ 1966 წელს და ამ ტუტუცური ტექსტის ნიმუშია ქართული მწერლობის მე-4 ტომი, სადაც ,,ვეფხისტყაოსანია“ წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ეს მახინჯი ტექსტი დღესაც ლაწალუწით გამოდის და არავინაა ამ უმსგავსოების აღმკვეთელი და შემააღვირებელი.

ჩემს ნაშრომს კი ერთი საგულისხმიერო პარალელით ვასრულებ.

სპარსეთის ტახტზე ახალგაზრდა შაჰი ავიდა. მან იმპერიის სწავლულები მიიხმო და განუცხადა: ჩემი მასწავლებელი მარწმუნებდა, რომ კაცი არ შეცდება, თუ ისტორიის მაგალითებს გაითვალისწინებსო. ამიტომაც მსურს, ხალხთა ამბავი შევისწავლო და გიბრძანებთ, შემიდგინოთ მსოფლიო ისტორია ისე, რომ მნიშვნელოვანი არაფერი გამოტოვოთ!

მეცნიერები დაფაცურდნენ, დაუყოვნებლივ შეუდგნენ შრომას. ოცი წლის თავზე ისინი სასახლესთან გამოჩნდნენ, უკან მოჰყვებოდათ 12 აქლემისაგან შემდგარი ქარავანი; თითო აქლემისათვის ხუთას-ხუთასი ტომი აეკიდათ. სულ ექვსი ათასი ფოლიანტი გამოსულიყო.

მეფემ მათ უთხრა: გარჯისათვის გმადლობთ, ოღონდ საქმეთაგან მოუცლელი ვარ, ამასთანავე, თქვენი საქმიანობის განმავლობაში, 20 წელიწადში, კიდევაც მოვხუცდი. ერთი სპარსელი პოეტისა არ იყოს, ნახევარი ცხოვრების გზა გავლიე და ამხელა ისტორიის წასაკითხავად ნამდვილად ვერ მოვიცლი. გთხოვთ, შეამოკლოთო!

მეცნიერებმა კიდევ ოცი წელი იშრომეს და სამ აქლემზე ატვირთული მსოფლიო ისტორია ათას ხუთას ტომად მოართვეს.

– მეფეო, – მიმართა სწავლულ აკადემიკოსთა მდივანმა, – აი, ჩვენი შრომა, არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოგვიტოვებია, თუმცა კი ძლიერ შევამცირეთ.

– ჩემო კარგო, უკვე ამასაც ვეღარ წავიკითხავ, მოვხუცდი, ჩემს ასაკში ამგვარ ხანგრძლივ საქმეს ხელს აღარ ჰკიდებენ.კიდევ მეტად შეამოკლეთ!

სწავლულები უფრო ბეჯითად და სწრაფად დატრიალდნენ. ათი წლის შემდეგ გამოცხადდნენ. ერთი აქლემით ხუთასი ტომიღა მოეტანათ.

– ვიმედოვნებთ, ისტორია მოკლედ არის შედგენილი, – მოახსენეს მათ.

– საკმაოდ მაინც არა, – ამოიოხრა მეფემ, – დღენი ჩემი ცხოვრებისანი მთავრდება. უფრო მეტად შეამოკლეთ და სიკვდილის წინ მაინც მომეცით საშუალება, კაცობრიობის ბედ–იღბალს გავეცნო!

ხუთი წლის შემდეგ აკადემიის მდივანი კვლავ გამოჩნდა. ბევრი მისი თანამოკალმე გარდაცვლილიყო, თვითონ კი უკვე ყავარჯენს ეყრდნობოდა; მოიყვანა პატარა ვირი, რომელსაც ზურგზე ერთი მოზრდილი ტომი ჰქონდა მოგდებული.

– დაუჩქარეთ! – მოუწოდა სასახლის მორიგე გვარდიელმა, – მეფე სიკვდილის პირას არის და ვინძლო მიუსწროთო.

ჰაჰი მართლაცდა უკანასკნელ წამებს ითვლიდა, სულსა ღაფავდა. მიმქრალი მზერა მდივანსა და წიგნს ერთი კი მოავლო და თვალიდან სინანულის ცრემლი ჩამოუგორდა:

– ვაი, ჩემო თავო! ისე კვდები, რომ ხალხთა ისტორიას ვერ გაეცანი.

– მეფეო, – შეჰღაღადა ქვეშევრდომმა, რომელიც ისევე ახლოს მიწევნილიყო სიკვდილთან, როგორც მისი მბრძანებელი, – თუ ნებას მომცემთ, მთელი კაცობრიობის ამბავს სამად სამი სიტყვით მოგახსენებთ.

ხელმწიფემ უკანასკნელად ამოისუნთქა და ჰკითხა:

– მერედა მნიშვნელოვანს არაფერს გამოტოვებ?

– არაფერს.

და იმპერიის მბრძანებელმა ბრძენკაცის პირით, ბოლოს და ბოლოს, თავისი სიცოცხლის სულ უკანასკნელ წამს მაინც მოისმინა და შეისმინა კაცობრიობის ისტორიის უმთავრესი არსი:

– იბადებოდნენ, იტანჯებოდნენ, იხოცებოდნენ!

მე, რუსთველოლოგ მურმან თავდიშვილს, იმედი არა მაქვს, რომ ღვთაებრივი პოემის ნამდვილი და სრული ტექსტის გამოცემას მოვესწრები, ისე, როგორც ჩემი თაობის მკითხველი. ამიტომაც იმ მომაკვდავი შაჰივით სულის მღაფველ ჩემს თაობას სწავლულ კაცთა იმ ჭაღარა მდივნის მსგავსად სულ რამდენიმე სიტყვით მინდა ჭეშმარიტება ისე შევღაღადო, რომ არაფერი მნიშვნელოვანი არ გამოვტოვო:

– თანამედროვე აკადემიური და კრიტიკული გამოცემების მიხედვით, ,,ვეფხისტყაოსანი“ გაძარცულია. ის შეადგენს 1660 სტროფს. არ დაიჯეროთ, გაცილებით მეტია!

ამირან ხეცაძე

***

ზოგს ამერიკის გხიბლავთ შტატები,
ზოგსაც ევროპა ალბათ გერჩივნათ,
ქართველნო, თუკი დამეთანხმებით
ჩვენი მშველელი მხოლოდ ღმერთია,
დავტკბეთ ქართული ბაღ–ვენახებით,
მამული ქვეყნად ერთადერთია.

ჩვენი სამშობლოს კუთხეს და კუნჭულს,
ვერრა სამოთხე ვერ შეედრება,
სხვა ქვეყანაში ფულისთვის ძუნძულს,
აქ გვირჩევნოდეს ყოფნა მხედრებად,
სამშობლოსათვის სულყველა სულდგმულს
გვმართებს გმირობა და ამხედრება.

ცოცხალი თავით არ დავთმობთ ვიცი,
ჩვენი მამულის კურთხეულ მიწას,
ქართველები ვართ, არც გვინდა ფიცი,
ჩვენს სათქმელს თვითონ უფალი იცავს,
ჩვენ ვართ თევდორეს და ცოტნეს ჯიშის,
ჩვენც მამულისთვის უნდა დავიწვათ.

***

დილა ისევ გათენდა,
ფიქრითა და ოცნებით,
ზეცა ნისლით გათეთრდა,
დაბლა ფრენენ ფრთოსნები,
მთაწმინდაა კათედრა,
საქართველოს მგოსნების.

აქ ბაღი და მდელოა,
ფიფქი ცვივა გვირილის,
მიწის გასამრჯელოა,
ნისლის ცრემლით ქვითინი,
ჩემი საქართველოა,
დედამიწის გვირგვინი.

ამ მზემ გამაუკვდავა,
ამ ცას სულ სხვა ხიბლი აქვს,
მიწას ისე ვუყვარვარ
და ზღვაც ისე დიდია
საქართველო უფალთან,
მისასვლელი ხიდია.

დამითმეთ

დამითმეთ ჩემი ოცნების სახლი,
ცა მსხმოიარე ლურჯი მტევნებით,
ცისარტყელები ბრჭყვიალა სახრით,
ლამაზ ფერებთა აშადრევნებით
შოლტა ხეები შრიალა ტანით
ქარების როკვა თავგამეტებით.

დამითმეთ ჩემი ქართული მიწა,
ღვთის კურთხეული წმინდა ალაგი,
სადაც აკვანი პირველად დაირწა,
სადაც ჩურჩულით მიხმობს ბადაგი,
სადაც წინაპრის ლანდები მიცავს,
სადაც მაქვს ბოლო ძვალთშესალაგი.

დამითმეთ ჩემი ქართული ზეცა
შემორკალული მტერთა დასებით,
რომ თალხი ფერი აროდეს ეცვას,
ბრწყინავდეს მარად ძოწ–ალმასებით,
მსურს საქართველოს დიდების შევსვა,
კავკასიონის ბროლის თასებით.

ყველაფერზე მთავარი

მტრის წისქვილზე წყალს არ ვასხამ,
გმირთა შთამომავალი,
არის წყევლა–კრულვის თავსხმა,
ყველგან კარის–კარამდი,
არ მსურს მათთან თავის გაცვლა,
მე სხვა გზა მაქვს სავალი,

ქართული მზის სხივი მდაგავს,
ქართულ ზეცის თავანი.
ქართულ სიტყვის სითბო მთანგავს
ღვთაებრივი ლამპარით,
ამ მიწიდან არსად გავალ,
აქ მაქვს ლოდი სამარის.

ჩემი ქვეყნის მცველად ვდგავარ,
გულს დარდი მაქვს მრავალი,
წინაპრების გზებით დავალ,
დავითის და თამარის,
სამშობლოა ჩემთვის რადგან
ყველაფერზე მთავარი.

რა შეედრება

მშვენიერება ზეიმობს სრული,
ზაფხულის მოსვლა ველებს დაეტყო,
გამოიბერტყა კოდალამ ყური,
თავგამეტებით ხესთან პაექრობს,
ირგვლივ ტრიალებს ყვავილთა სუნი
და მიაქროლებს ცისკენ ფაეტონს.

მწვანე ყდაში წევს მიდამო წყნარი,
ცელქი ნიავი დაჰქრის საამოდ,
ისმის ჩიტების უკვდავი ქნარი,
არწივი ლურჯფერ ტევრში ნანაობს,
გულ–მკერდს იღელავს ხეხილის ბაღი,
ტირიფი ტბასთან ჭორიკანაობს.

ტოტები მზისკენ იწვდიან ხელებს,
მიწა მთრობელი სუნით ბრუვდება,
მშვენება ისეთ ძალით მახელებს
სიჭაბუკეში მსურს დაბრუნება,
რა შეედრება ამ ლამაზ ხედებს,
რა შეედრება ზღაპრულ ბუნებას.

***

მე ტირიელის გმირობით მზრდიდნენ,
ბერი თევდორეს ღვთიური ლოცვით,
ქვეყნის უღელი ხარივით ვზიდე,
არ მიცხოვრია არასდროს მოცლით
მტრები მებრძოდნენ, მჩეხავდნენ, მჭრიდნენ,
კვლავაც ვცოცხლობდი საქართველოსთვის.

გამბედაობა შემრჩა არწივის,
დანაღმულ მიწას შვილივით ვკოცნი,
წუთისოფელში უფლის დაწინდვით,
უნდა ვიწვნიო სიძნელე მგოსნის,
მთელი ცხოვრება თავის განწირვით
უნდა ვიბრძოლო საქართველოსთვის.

მტრები ვერასდროს ვერრას გახდებით,
თუმც ტყვიის ცეცხლებს შიგ გულში მტყორცნით,
ყოველთვის მიცავს უფლის ნათელი,
მე ვძლიერდები თევდორეს ლოცვით,
მე დავიბადე სისხლით ქართველი
და უნდა მოვკვდე საქართველოსთვის.

***

გულში მაქვს დიდი ჭრილობა,
აწმყოსგან მოუშუშები,
ვერცა წამალით ვმკურნალობ,
ვერცა რაიმეს ვუშვები,
ლექსებით ხოტბას შევასხამ,
ვინც საქართველოს უშველის.

ძალიან მტკივა დიდგორი,
ძალიან მტკივა კრწანისი,
მამულის ყოველ კვნესებას,
სულის შეძვრამდე განვიცდი,
ქართველ რაინდად ვიგულებ,
ვინც საქართველოს დაიხსნის

გული არ ჯდება საგულეს,
სისხლიც ძალუმად თქრიალებს,
ვეძახი ყველა ქართველებს,
ქალაქელს, სოფელს, მთიანელს,
მთელ ჩემს სიცოცხლეს ვაჩუქებ,
ვინც მამულს გამიმთლიანებს.

***

სიტყვები გაცვდა ამდენი ლიქნით,
გულისკენ სითბოს ვეღარ ატარებს,
დღეები ელვის სისწრაფით მიჰქრის,
ათას განსაცდელს გამოგვატარებს,
უნდა ვასწავლოთ მამულზე ფიქრი,
ბავშვობიდანვე ყველა პატარებს.

დროება მიდის ჩვეული რიტმით,
არის ცხოვრება ტვინის ამშლელი,
საოცარია, ყოველდღე თითქმის,
სიკვდილის აჩრდილს ვეთამაშებით,
ზეჯადოსნური ქართული სიტყვით
უნდა ტკბებოდნენ ჩვენი ბავშვები.

არ ვთქვათ დარდებით გული გაწვრილდა,
არ ვთქვათ დროებამ ფეხქვეშ გაგვთელა,
უფალმა რწმენის ნიჭით დაგვწინდა,
რომ სულიწმინდოს ზეცის ნათელმა,
სამშობლოსათვის თავის განწირვა
უნდა ვისწავლოთ ყველა ქართველმა.

***

ჩემი სამშობლოს კუთხე–კუნჭულო,
ჩემი სამშობლოს წმინდაო მიწავ,
მტერმა ვერასდროს დაგაუძლუროს,
ვერვინ დაგჯაბნის სიცოცხლეს ვფიცავ,
შენით ვხარობ და შენით ვსულდგმულობ,
შენით ვარ რაც ვარ, შენით ვარ ვინც ვარ.

მაშ, წინაპრებმა რისთვის იძალა,
მაშ, წინაპრებმა რისთვის იომა,
მტკვარმა, რიონმა რისთვის იზათქა,
თვალთაგან ცრემლი რისთვის მდიოდა,
თუ სამუდამოდ ვერ შეგინახავს,
უფლისმიერი კაცობრიობა.

რად მინდა სხვა გზა, ან სხვა სიამე,
თუ არ მიყვავის ვაზი და ყანა,
თუ თავს დამატყდა უღვთო სიავე,
წლებმა საშინელ დროს თუ შემყარა,
თუ ჟამი მამულს გამიტიალებს,
ცეცხლმაც დადაგოს მთელი ქვეყანა.

***

მე უძილო ღამეები მკლავენ,
მარტოობას აქვს თავისი ეშხი,
ოცნებები ცაზე დგამენ კარვებს,
მთვარეს მიწის სიყვარული შეშლის,
გაზაფხული შემომიმტვრევს კარებს,
ნაირ–ნაირ ყვავილებით ხელში.

ჩითის კაბას შემოიცვამს ბაღი,
სურნელება აიჭრება მაღლა,
ფირუზებით აბრწყინდება თაღი,
ჭაობიდან აფრინდება ღალღა,
სამშობლოსთვის ერთგულება რად ღირს,
როცა გული ვეღარა გრძნობს დაღლას.

მწვანე ყდაზე წამოწვება ველი,
ყაყაჩოებს შემოისევს მდელო,
გასაოცარ სიახლეებს ველი,
შორს დღეებო კაეშანის მგრველო,
ამას ვნატრობ, რომ გიხილო მთელი,
დაფლეთილო ჩემო საქართველო.

(დოკუმენტური მოთხრობა)

ლარნაკი კარდებით

ნაირა მარშანია

ზამთრის მიწურული იყო, გაზაფხულის მობრძანება უკვე საკმაოდ იგრძნობოდა. ხეებს დასტყობოდათ, – ახალი ნორჩი ფოთლებით იმოსებოდნენ. ირგვლივ გაზაფხულის მონატრებული სითბოც საგრძნობი იყო. ზამთრის სიცივისაგან შეწუხებულ ბუნებას გაზაფხულის სითბო, თითქოს დღესასწაულს უქმნიდა. აი, ასეთ სასიამოვნო ვითარებაში მივუყვებოდით მე და ჩემი ძმა, ალიკო, გზას დასავლეთისაკენ. თუმცაღა სტუმრობაა რას ასიამოვნო ადგილას გვინევდა, – ჩვენი ახლო ნათესავის დაკრძალვაზე, რომელიც საბედისწერო ავტოკატასტროფის მსხვერპლი გახდა. რა თქმა უნდა, ძალიან მძიმე განწყობა გვქონდა, – 24 წლის ერთადერთი ვაჟიშვილის უბედურების მისასამძირებლად მივდიოდით.

გზადაგზა ჩვენი წარსულიდან უამრავი ამბავი გავიხსენეთ, თითქმის მთელი გზა სოხუმზე, ჩვენს ბავშვობაზე, მომხდარ ტრაგედიაზე, აფხაზეთის ომთან დაკავშირებულ თემებზე ვსაუბრობდით. დანიშნულ ადგილას თითქმის შეუმჩნევლად და დროულად ჩავედით.

საუბედუროდ, უმძიმესი მდგომარეობა დაგვხვდა და ძალიან მძიმე, უარყოფითი ემოციებით დავიტვირთეთ. იმ ღამეს იქ მოგვიწია დარჩენა. დიდი ხნის უნახავი, უამრავი ნათესავი გვთხოვდა მათთან სტუმრობას, მგრამ მე რატომღაც, ჩემს მამიდაშვილთან, ნინოსთან ვარჩიე დარჩენა. ისიც ჩემი ბედისაა - აფხაზეთიდან დევნილი - და დროებით იქ ცხოვრობდა.

სახლში რომ შევედით, ცოტათი შეცივებულები ვიყავით. ალბათ, არსებული მძიმე სიტუაციის გამო, ემოციებით დატვირთულებს, სიცივე კიდევ უფრო მოგვერია. ჩაის დალევა გადავწყვიტეთ და სამზარეულოში კომფორტულად მოვთავსდით. ჩაი მივირთვით, გავთბით და განწყობაც გამოგვიკეთდა. ისევ ჩვეთვის საყვარელ და მონატრებულ სოხუმთან დაკავშირებული ამბები გავიხსენეთ, დრო საოცრად სწრაფად გავიდა და მალე ძილმაც შეგვახსენა თავი.

ნინომ სახელდახელოდ გაწყობილი საძინებლისაკენ წამიყვანა, სადამდეც სასტუმრო ოთახის გავლით უნდა მივსულიყავით. უეცრად გავშეშდი, ჩემი ყურადღება სასტუმრო ოთახის შუაგულში მდებარე მაგიდაზე მდგარ ლარნაკში, ლამაზად ჩაწყობილმა ვარდებმა მიიპყრო. წუთით შევყოყმანდი - დავიბენი, თითქოს სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. ამ საოცარი განცდისაგან ნინოს მოულოდნელმა ხმამ გამომაფხიზლა. თავზარდაცემული და გონებაარეული, საძინებელში ნელი ნაბიჯით შევედი. მამიდაშვილი გაოცებული მიყურებდა. „ცუდად ხომ არ ხარ?“-ო მკითხა. არაფერი ვუპასუხე, გადავხედე ულამაზესი თეთრეულით კოპწიაედ გაშლილ ლოგინს და მზერა ისევ იმ სასტუმრო ოთახისაკენ გამექცა. კარები ღია იყო და ისევ იმ ვარდებით სავსე ლარნაკს დავუწყე ცქერა. ნინოს მოვუბრუნდი და შევძახე:

– ნინო, ხომ არ გეწყინება, ლოგინი იმ სასტუმრო ოთახში, ტახტზე რომ გამიშალო?

ნინო შეცბა და შეწუხდა.

– ეს ოთახი შენთვის მოვამზადე, გემრიელად რომ დაგესვენა. მაგრამ რა გაეწყობა, შენ თუ ასე გსურს, ახლავე ყველაფერს მოვაგვარებ, - მითხრა.

სასტუმრო ოთახში სიხარულით შევედი და ლოგინში ჩავწექი. ნინომ შუქი ჩამიქრო, ტკბილი ძილი მისურვა და მოსასვენებლად წავიდა. ცოტა დრო რომ გავიდა, როდესაც დავრწმუნდი, რომ ყველას უკვე ეძინა, წამოვდექი და შუქი ავანთე. შუა ტახტზე გემრიელად მოვკალათდი, ვარდებისათვის კარგად რომ მეცქირა. ამასობაში, ჩემი მოგონებების კორიანტელიც მოზღვავდა...

ამ ლარნაკმა და ვარდებმა ის ემოციები გამახსენეს, რომლებიც ჩემს სახლთან, ჩემს საყვარელ ოთახთან იყვნენ დაკავშირებული. მე ხომ ჩემს საყვარელ სასტუმრო ოთახში, საყვარელ მაგიდაზე, სწორედ ასეთივე ფერისა და ფორმის ლარნაკი მედგა, ჩემი საყვარელი ისეთივე ვარდებით, როგორებიც იქ, იმ წუთებში ვიხილე. ლარნაკი იასამნისფერი იყო, იტალიური, გამქვირვალე მინის. ის დედაჩემის სახსოვარი და ჩემთვის ძალიან ძვირფასი იყო, თანაც მომწონდა და მიყვარდა. ლარნაკი ყვავილების გარეშე არასოდეს მდგარა. სწორედ იმ დილით, როდესაც ჩემი სახლი დავტოვე, ყვავილები გადავახალისე და წყალი გამოვუცვალე, – თითქოს დავემშვიდობე. თვალი რამდენჯერმე შევავლე –მომეწონა, ღამაზი იყო... და სულ რამდენიმე საათში დავტოვე ჩემი სახლი, ჩემი მშობლიური ქალაქი! ჩემი ვარდები კი დავტოვე მოვლილი, ლარნაკში ლამაზად ჩაწყობილი და წყლით დაპურებული. კარები რომ მოვიხურე, ისევ შევხედე, – თითქოს ოჯახს მათ ვაბარებდი მოსავლელად...

დაი: ეს ისეთივე ვარდები, ეს ლარნაკი, – იგივე ფერის, იგივე ფორმის! მეგონა, ჩემს სახლში აღმოვჩნდი...

საოცარი დამთხვევა მოხდა: ეს ლარნაკი ნინოსთვისაც დედას მიურთმევია დაბადების დღეზე. ამ ყველაფრის ხილვამ მონატრებული დედაჩემი გამახსენა და ყველა მოგონება მასზე გადავიტანე. ცრემლები ვერ შევიკავე, დედას ჩუმადვე საუბრებოდი და ვეფერებოდი... ბოლოს, ემოციებით დაღლილს, გამთენიისას ჩამეძინა. გონებაში ჩარჩენილმა შთაბეჭდილებებმა ძილბურანი მომგვარა, – მომეჩვენა, თითქოს დედაჩემი თავისი ჩვეული წესით მაღვიძებდა: „შვილო, სამსახურში არ დაგაგვიანდეს!“ „უცებ წამოვდექი – ისევ ის ლარნაკი, ისევ ის ვარდები...

მალე ნინოც მოვიდა და შეწუხებულმა მითხრა:

– მგონი, ცუდად გეძინა, შუქი დიდხანს გენთო.

მან ყავა შემომთავაზა და გვერდით მომიჯდა, – თითქოს ელოდა, რომ რაიმეს ვეტყოდი. მეც ვკითხე:

– ნინო, ეს ლარნაკი ხომ დედაშენის ნაჩუქარია? მახსოვს, დაბადების დღეზე შენთან ვიყავი, როდესაც მოგიტანა.

– ჰო, დედამ მაჩუქა. მეცმახსოვს, შენ გქონდა ასეთი. ძალიან მომწონდა და დედას ვთხოვე, რომ ეყიდა, ამიტომაც მომიტანა საჩუქრად.

– კი, ნინო, ჩემიც დედაჩემის ნაჩუქარი იყო. მასში ყოველთვის მხოლოდ ჩემი ეზოს ვარდებს ვაწყობდი, რაც უზომოდ მსიამოვნებდა, რადგან ეს ვარდები ჩემი დარგული იყო და საგულდაგულოდ ვუვლიდი. გმადლობთ ნინო, რამდენიმე საათით მაინც რომ ჩემს სამყაროში, ჩემს სახლში დამაბრუნე. უძილობა არ მიგრძვნია, კიდევ დიდხანს მინდოდა მეცქირა, მეტი რომ გამეხსენებინა. ამით ნინო, შენ მე წარსულში დამაბრუნე... ეს ყველაზე ლამაზი ღამე იყო ჩემთვის სოხუმიდან წამოსვლის შემდეგ!

წამოვდექი და ნინოს გადავეხვიე, ერთმანეთს მოვეფერეთ და მე თბილისში წამოსასვლელად მოვემზადე. სახლიდან ეზოში რომ გამოვდიოდით, ნინომ მე და ჩემს ძმას გვითხრა:

– მე მალე დაგეწევით, თქვენ მანქანაში დამელოდეთ.

მე და ალიკო მანქანაში ჩავსხედთ, ნინოც მოვიდა და ყუთით რაღაც მოიტანა, თანმთხოვა, რომ საბარგული გამეღო. მეც გავაღე და ყუთი ჩავდეთ. ჩემთვის გავიფიქრე: „ალბათ, საგზალს გვატანს, გზაში რომ ვჭამოთ“. ვუსაყვედურე: „შორს ხომ არ მივდივართ, რატომ შეწუხდი?!“-მეთქი. ერთმანეთს ემოციური მოფერებით, ცრემლმორეული თვალებით დავემშვიდობეთ.

ქუთაისამდე ისევ იმგზავრეთ, ხმა არ ამომიღია, ჩემი ძმა კი დაბალ ხმაზე რადიოს უსმენდა. ცოტა ხანში ნინომ დამირეკა, „როგორ მგზავრობთ, ფრთხილად იარეთ, რომ ჩახვალთ, დამირეკეთ“-ო, მითხრა. რამდენიმე საათში თბილისში ჩამოვედით. ალიკომ ყუთი სახლში ამოიტანა, არც გამიხსნია. მოვწესრიგდი და დასაძინებლად დავწექი. მოულოდნელად ჩემი შვილიშვილი შემოვიდა და მკითხა:

– ბებო, ამ ყუთში რა დევს, რა ჩამოგვიტანე?

– არ ვიცი, ბებო! აბა, გავხსნათ. ალბათ, ნინომ ხაჭაპურები და რაღაცეები გამოგიგზავნათ.

დავიწყეთ ყუთის გახსნადა... ისევ გავშეშდი! მასში საგულდაგულოდ შეფუთული ჩემი საყვარელი ლარნაკი და სველ ქაღალდში გახვეული, სწორედ ის ვარდები ეწყო. ლარნაკში შემდეგი შინაარსის პატარა ბარათი იდო:

„ჩემო საყვარელო ნაირა, მინდა ამ ლარნაკით მთელი შენი დარჩენილი ცხოვრება ისიამოვნო და შენი მოგონებები არასოდეს დაძველდეს. ჩათვალე, რომ ეს შენი ლარნაკია, რომელიც შენს საყვარელ ოთახში, შენს საყვარელ მაგიდაზე იდგა, შენივე ეზოს ყვავილებით. ეს ხომ შენს ლამაზ წარსულთან არის დაკავშირებული... მიყვრხარ, ჩემო ძვირფასო ადამიანო!“

P.S. ჩემო ნინო, მადლობა ამ საჩუქრისათვის. ეს მუდმივად მოგონების საგანი იქნება ჩემთვის. შენც შემოიჭერი ამ მოგონებების სივრცეში შენი ძვირფასი საჩუქრით. ეს ჩემი ცხოვრების დაუვიწყარი და განსაკუთრებული დღე იყო, რომელიც უფალმა მისახსოვრა.

ფესტივალი

ა.წ. 30 მაისიდან 02 ივნისამდე თბილისში, მწერალთა სახლში, ჩატარდა საქართველოს მწერალთა კავშირისა და მწერალთა საერთაშორისო გილდიის (მსგ-ს) მიერ ორგანიზებული ლიტერატურული ფესტივალი "ქართული გაზაფხული". ფესტივალში მონაწილეობდნენ მწერლები საქართველოდან, ისრაელიდან, ბელგიიდან, გერმანიიდან, აზერბაიჯანიდან, რუსეთიდან, ბელორუსიიდან, უზბეკისტანიდან.

ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე, რევაზ მიშველაძე და მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარე მაყვალა გონაშვილი.

„მე მინდა დიდი მადლობა გადავუხადო“, თქვა რევაზ მიშველაძემ, - „მწერალთა საერთაშორისო გილდიის პასუხისმგებელ მდივანს და გამომცემლობა STELLA-ს დირექტორს ქალბატონ ლადა ბაუმგარტენს და ჩვენი კავშირის წარმომდგენელს გერმანიაში მოსე ბოროდას, რომლის ინიციატივით გერმანიაში არაერთხელ ჩატარდა ქართული ლიტერატურის საღამოები. მისი მხარდაჭერით ამ ფესტივალისთვის გამოიცა ქართველი და უცხოელი ავტორების ნაწარმოებების ანთოლოგია "Крестовый перевал" ("ჯვრის უღელტეხილი"). საქართველოს მწერალთა კავშირის გადაწვეტილებით მოსე ბოროდას მიენიჭა წოდება ´ქართული კულტურის დესპანი´, ხოლო ფესტივალის მონაწილეები დაჯილდოვდნენ დიპლომით ქართული ლიტერატურის მხარდაჭერისთვის.“

"ჩვენ დიდად ვაფასებთ მწერალთა საერთაშორისო გილდიის ინიციატივებს სხვადასხვა ქვეყნების ლიტერატორებს შორის კონტაქტების დამყარებისათვის“, - აღნიშნა მაყვალა გონაშვილმა. საქართველოს ლიტერატურულ საზოგადოებას კარგად ახსოვს ის განსაკუთრებული ინტერესი, რომელიც გამოიწვია საერთაშორისო გილდიის მიერ გამოცემულმა ანთოლოგიამ "მეგობრობის გზა" და პრეზენტაციამ. ჩვენი ფესტივალი ამ სწორედ ამ პროექტის ლოგიკური გაგრძელებაა.“

თავის გამოსვლაში ლადა ბაუმგარტენმა ფესტივალის მონაწილეებს მოახსენა გილდიის სხვადასხვა პროექტების, საერთაშორისო ფესტივალების, კონკურსების, ბავშვთა თეატრის და სხვ. - შესახებ. " ჩვენი გილდიის ერთერთი ამოცანაა, საერთაშორისო კულტურული პროექტების დამუშავება და რეალიზება. სწორედ ამ მიზნით ჩვენ მხარე დავუჭირეთ პროექტს „Путь дружбы" („მეგობრობის გზა“), რომელიც ჩვენ შარშან საქართველოს მწერალთა კავშირში

მოსე ბოროდამ ფესტივალის მონაწილეებს გაეცნო ანთოლოგია "ჯვრის უღელტეხილი". „ანთოლოგია მოიცავს სხვადასხვა ჟანრის ნაწარმოებების ფართო სპექტრს, მათ შორისაა საქართველოსადმი მიძღვნილი ლირიკული ლექსები, ნარკვევები, ფილოსოფიური ხასიათის მოთხრობები, კეთილი იუმორით განმსჭვალული ისტორიები და სხვ. ეს ანთოლოგია, და საერთოდ ამ ფესტივალის იდეა განუხორციელებელი დარჩებოდა, რომ არა ქალბატონ მაყვალა გონაშვილისა და ლადა ბაუმგარტენის მხარდაჭერა."

ფესტივალის პირველ დღეს თავისი ნაწარმოებების კითხვით და წიგნების პრეზენტაციით გამოვიდნენ ქართველი პოეტები - მაყვალა გონაშვილი, მანანა დანგაძე, პაოლა ურუშაძე, დავით შემოქმედელი, ვლადიმერ სარიშვილი, ვლადიმერ და ელენე გოლოვინები და მწერალთა საერთაშორისო გილდიის წევრები: ილია რუჟანსკი (მოსკოვი), ირინა ეგოროვა (მოსკოვი), პოეტები და პროზაიკოსები ისრაელიდან - ლევ ალტმარკი, ეფიმ ზლატკინი, ვალენტინა ბენდერსკაია, ელენე კრიკლივეცი (ბელორუსია), ფესტივალის საპატიო სტუმარი, პოეტი ალინა ტალიბოვა (ბაქო).

ფესტივალის ფარგლებში ჩატარდა მწერალთა საერთაშორისო გილდიის დელეგაციისა და სრულიად საქართველოს შოთა რუსთაველის საზოგადოების წევრების შეხვედრა. თავის სიტყვაში საზოგადოების პრეზიდენტმა დავით შემოქმედელმა ხაზი გაუსვა გილდიისა და რუსთაველის საზოგადოების შემოქმედებითი კონტაქტების მნიშვნელობას. სასიამოვნოა, რომ გილდიის სამი წევრი რუსთაველის საზოგადოების წევრი გახდა. ამ კონტაქტების გამყარების მიზნით ჩვენ შევადგინეთ მემორანდუმი გილდიასა და რუსთაველის საზოგადოების შემოქმედებითი თანამშრომლობის შესახებ. იმედი გვაქვს, რომ მომავალ რუსთაველის იუბილეზე გილდიის წევრებიც მიიღებენ მონაწილეობას.

ფესტივალის მეორე დღე მიეძღვნა წიგნებისა და პროექტების პრეზენტაციას. ფესტივალის მონაწილეებმა ინტერესით მიიღეს მარინა ლამბერც-სიმონოვას (გერმანია), რიმა ულჩინას (ისრაელი), გალინა დოლგაიას (უზბეკისტანი) და ელენე კრიკლივეცის (ბელორუსია) პრეზენტაციები, რისი თემატიკური სპექტრი საკმაოდ ფართო იყო - "ფელინოლოგიური" პოეზიიდან მისტიკურ-ეზოთერიკამდე. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია მსახიობისა და რეჟისორის მიხეილ საფრონოვის (მოსკოვი) პროექტმა "ტელეკინოაკადემია ბავშვებისთვბვის". ელენე იახნენკომ წარადგინა ბავშვთა ელექტრონული ჟურნალი «Улитка» (ლოკოკინა), რომელიც ეძღვნება ბავშვების მიერ დაწერილ ლექსებს, მოთხრობებს, ზღაპრებს, ნახატებს. საინტერესო იყო მოსკოველი ლინგვისტის და კულტუროლოგის, წარმოშობით ნახევდრად ბასკონელის იულია კაშტანოვას პრეზენტაცია - მუსიკალურ-პოეტური კომპოზიცია სამ ენაზე. დიდი შთაბეჭდილება დატოვა დიდ ბრიტანეთში მცხოვრები რეჟისორის დავით გურჯის (დავით პაპავას) პრეზენტაციამ პროექტისა "რომანი სცენისთვის" ვიდეონაწყვეტების დემონსტრაციით მისი სპექტაკლიდან გარსია მარკესის "მარტოობის ასი წელიწადი"-ს მიხედვით. განსაკუთრებული ინტერესით მიიღეს ჟურნალ "Литературный Азербайджан"-ის პოეზიის განყოფილების გამგის ალინა ტალიბოვას მოხსენება აზერბაიჯანში რუსულენოვანი ლიტერატურის შესახებ და ჟურნალ «Литературный Азербайджан»-ის პრეზენტაცია.

ფესტივალის დასკვნით დღეს შედგა მწერლების საერთაშორისო დელეგაციის შეხვედრა საერთაშორისო საგანმანათლებლო კავშირისა და ჟურნალ „Русский клуб"-ის კოლექტივთან. შეხვედრაზე სიტყვით გამოვიდა ჟურნალის მთავარი როდაქტორი ალექსანდრე სვატიკოვი. მან ისაუბრა საგანმანათლებლო კავშირისა და ჟურნალის ისტორიაზე, და "Русский Клуб"-ის აქტუალურ პროექტებზე, რომლებიც ეძღვნება საქართველოსა და რუსეთის კულტურული კონტაქტების ისტორიას.

ეპოქალური რომანი

ზაალ ნემსაძე

- რა ვქნათ, ლავრენტი? – სხვა ხმით ჰკითხა პრეზიდენტმა.

- რა მოგახსენოთ, ბატონო.

- ერთი რამე მოვიფიქრე. არ მინდა ამის გაკეთება, მაგრამ სხვა გზა არ არის.

- გისმენ. თქვენ ცუდს არაფერს მოიფიქრებდით.

- უნდა დაგაპატიმრო.

(რავაზ მიშველაძე... „ციყვი ბორბალში“)

და მეორე დღეს, 2010 წლის 19 ოქტომბერს, 11 საათსა და 34 წუთზე, ფოტოჟურნალისტ ლავრენტი მიქავას „ოპრიჩნიკები“ სახლში მიადგნენ და დაატუსაღეს.

თანამედროვეობის უდიდესმა მწერალმა რევაზ მიშველაძემ, 2016 წლის დასაწყისში, ერთგულ მკითხველებს, მეორე რომანი, „ციყვი ბორბალში“ შემოგვთავაზა და თავშივე მიშველაძისეული „სერიოზული იუმორით“ შემოგვაპარა: ძვირფასებო, ვინც ამ წიგნის წაკითხვას აპირებს, ვთხოვ ავტორის სხვა ნაწერებიდან თავგაბეზრებული და მისადმი უნდობლობით გამსჭვალული, ალაგ–ალაგ ნუ წაიკითხავს.

იქნებ დაატანოს თავს ძალა და თავიდან ბოლომდე წაიკითხოს“.

პირდაპირ მოგახსენებთ: „ციყვი ბორბალში“ყოველგვარი „ძალადობის“ გარეშე იკითხება პირველივე გვერდიდან უკანასკნელამდე. დასრულების შემდეგ კი იმ დასკვნამდე მივედი, რომ კლასიკოსი მწერალი შეეცადა ყოფილი ხელისუფლის შეცდომა, სირცხვილი და დანაშაული ჩამოერეცხა არა სისხლით და მახვილით, არამედ გაცილებით უფრო ძლიერი და უტყუარი იარაღით, მიშველაძისეული, ყოვლის წამლეკი სარკაზმით და ტირილიან–სიცილიანი იუმორით. ყველაზე საშინელ დიქტატორსაც კი ისე გაამასხარავებ–გააშარჟებს, მისი ცოდვით დაიწვება ადამიანი. მიშველაძის გმირები, ქართველებიც და უცხოელებიც, ბევრ რამეში გვანან ერთმანეთს, ბევრი რამითაც, ბუნებრივია, განსხვავდებიან, მაგრამ მათ შორის საერთო ენის გამონახვისა და დიდი მეგობრობის ჩამოყალიბების გზის რეცეპტს მწერალიც გულმოდგინედ ეძებს და მკითხველსაც იყოლიებს. ამიტომ არის რევაზ მიშველაძის „ციყვი ბორბალში“ეპოქალური მნიშვნელობის ნაწარმოები და რაც უფრო მალე მიიღებს მას უცხოელი მკითხველი, მით უკეთესი „დედამიწით დამტვერილი ადამიანებისათვის“.

ეს არ არის მხოლოდ ერთი პრეზიდენტის „ათწლეულის“საქართველოს ცხოვრება. დიდმა კალმოსანმა სხვაზე უკეთ იცის, რომ არც წინა მმართველები იყვნენ დიდი ხვითოები და მკითხველთან ერთად იწყებს მოგზაურობას საბჭოეთის დროინდელ საქართველოში, ხან უფრო შორს და ხან უფრო ახლოს. რეზო მიშველაძე პარალელურ სამყაროებს ქმნის და ამ რომანში აშენებს საკუთარ მუზეუმს ცოცხალი ექსპონატებით – ალალი, უსაყვედურო, მოკრძალებული, გულუბრყვილო, ბაცაცა, გაურანდავი, მხიარული, გაიძვერა, უცხვირპირო და ბარაქიან ცხვირპირიანი ადამიანებით – ქართველებით, რუსებით, ებრაელებით, ამერიკელებით, ინგლისელებით, გერმანელებით, ყაზახებით... და თითოეულს ისე აფერადებს, ხასიათის და ქცევის მიუხედავად, ყველა, დადებითიც და უკანასკნელი გარეწარიც, თუ არ გიყვარს, მინიმუმ, გებრალება მაინც:

აგერ, 22 წლის ბიჭი, გადასახლებული მამის სანახავად მიდის ყარაგანდაში უცნობი მარშრუტით – ქუთაისი–მოსკოვი–ყარაგანდა – ოცდამეცხრამეტე საფოსტო ყუთი. „ეს მარშრუტი ქაღალდზე რომ ორ სტრიქონს იკავებს, სინამდვილეში ათასობით კილომეტრს მოიცავს“(გვ. 109).ახლა... რითი მიდის? „თითქმის ნასესხები ფულით, ცოტაოდენი წამლებით, ხუთი ლიტრა არაყით, ოცი ცალი ლიმონით, ორი ქილა ტყემლის საწებლით და ვეებერთელა შიშით“. აი, რა არის დიდი მწერლობა!!! ერთ წინადადებაშია ჩატეული ქართული ხასიათი: ლიმონი და არაყი – „სამაღარიჩოდ“, ტყემლის საწებელი და ცოტაოდენი წამლები – მომაკვდავი მამისთვის; თითქმის ნასესხები ფული – განა ამ „თითქმის ნასესხებით“არ ვცხოვრობთ ლამის მთელი ქართველობა? ვეებერთელა შიში რაღა შუაშია? „არც მოსკოვში ვიცნობ ვინმეს და მით უმეტეს, არც ყარაგანდაში“. აი, თურმე, რა შუაშია! ეს ადამიანური, შეუცნობლის შეცნობის შიშია და არა ცხოველური, თავი სგადარჩენის შიში... და თუ ვინმე ამის შემდეგ მეტყვის, რომ ლავრენტი მიქავას მოგზაურობა – ფათერაკი მსოფლიოს რომელიმე კლასიკოსი მწერლის ანალოგიურ პერსონაჟისას ჩამოუვარდება, მისთვის, ა, აგერ მოვიშველიებ კიდევ ერთ არგუმენტს:

... ყარაგანდიდან 18 კილომეტრი ფეხით ვიარე... ორი ჩატელევრეიკებული ქალი დამემგზავრა, ვინ ხარო მკითხეს... ქუთაისელი ვარ, მამა მყავს 39–ე საფოსტო ყუთში პატიმარი–მეთქი, გაჩერდნენ. ერთმა მათგანმა ლოყაზე უშველებელ ხელთათმანიანი ხელი მიირტყა – ლავრენტი ხარ შენო? გადავირიე კინაღამ. ციმბირს იქეთ, შუა ყაზახეთში, უდაბნოში, ოკეილომეტრში ირგვლივ კაცის ჭაჭანება რომ არაა და ქვიშის გორაკები იქეთ–აქეთ დააქვს ქარს, სიცივე ძვალრბილში რომ ატანს და კბილებში ქვიშა კაწკაწებს, ნიჩბისხახა თვალწვრილა ქალი მეკითხება – ლავრენტი ხარ შენო?“

აი, ეგრე... რეზო მიშველაძემ, ამ ყარაგანდული ოდისეით, უფრო შორს გადახვეწა თავისი გმირი, ვიდრე სერვანტესმა დონ კიხოტი ანდა დავით კლდიაშვილმა პლატონ სამანიშვილი. ვისაც ჩემი აზრი მკრეხელობად მოგეჩვენათ, „ციყვი ბორბალში“წაიკითხეთ, თორემ მე თუ მოგიყევით ყველაფერი, თუ გავაფუჭებ ან გავაუფერულებ რამეს, თორემ ამ დიდ რომანს ვერაფერს შევამატებ.

ძვირფასო თანამემამულენო! თუ გნებავთ, კიდევ ერთხელ ჩაყვინთოთ ბავშვობაში და პირველი პედაგოგები გაიხსენოთ, ამ რომანში იპოვით რუსულის მასწავლებლის იულია პლატონოვნას სახით; პირველ, ყველაზე ტკბილ და უცოდველ სიყვარულს გაგახსენებთ გერმანელი გოგონა კლარა ზიბერტი; ბევრს იცინებთ ბრიტანელი ჯიმს ჰასტინგის ღორმუცელობაზე; „სეკენდ გრუპის“ჩიკაგოელ ბუღალტერ–მენეჯერის სექსუალური თავგადასავალი ბევრ რამეზე დაგაფიქრებთ მით უმეტეს დღეს, როცა ცნობილი სახეების საწოლის „ოინბაზური ყანყალას“ლამის ონლაინ რეჟიმში აჩვენებენ; საკოლმეურნეო პერიოდს გაგახსენებთ გერმანელი ექიმი ფრედი, მარცვლის რაიკომის მდივანმა რომ უფეშქაშა ლეთარგეს კოლმეურნეობას, ქართველების და რუსების ერთ დროს თბილ დამოკიდებულებას გაგახსენებთ რუსი ბებერი ცოლ–ქმარი, უბინაო ქართველ ახალგაზრდას, რომ შეიფარებს; გერმანიაში ხელზე მოსამსახურედ წასული ნაზიკიას ისტორია ცრემლიან ღიმილს მოგგვრით და ასე, რომანის ბოლო გვერდამდე, შემოდიან პერსონაჟები, როგორც დღეს მივიწყებულ ქართულ ცეკვა „შეჯიბრშია“, თავის სოლო პარტიას ასრულებენ და ჯადოქარი მწერლის დირიჟორობით, დიდხანს დაფრინავენ ჩვენს ფიქრებში.

და ბოლოს:.... ლავრენტიმ თავი ასწია, მის გვერდით მწკრივში პატიმართა შორის პრეზიდენტი მიაბიჯებს“. ჰო, პრეზიდენტი ზოლებიან ციხის „პიჟამოში“.

ეს სიზმარშია, რადგან დიდი ჰუმანისტი მწერალი ციხეში ჩასასმელად ვერავის გაიმეტებს. ასეთია მისი ბუნება, რადგან განუზომლად უყვარს „დედამიწით დამტვერილი ადამიანები“.

ტაძარი და მსხვერპლი

სოსო სიგუა

„დიდოსტატის მარჯვენის“ სიუჟეტის ერთ–ერთი საწყისია სვეტიცხოველის ამშენებლისათვის მკლავის მოკვეთის ლეგენდა, რომელიც ხალხმა ლექსად გამოთქვა:

„ხეკორძულას წყალი მისვამს,
მცხეთა ისე ამიგია,
დამიჭირეს, მკლავი მომჭრეს,
რატომ კარგი აგიგია“.

ლექსის საფუძველი უნდა ყოფილიყო წარწერა და კედელზე გამოსახული ხელი, რომელსაც გონიო უპყრია:

„ხელი მონისა არსაკიძისაჲ, რაჲთა შეუნდოთ“

შორიახლო ორი რელეფური ქანდაკებაა – ჭაბუკისა და მოხუცისა.

ცხადია, ხუროთმოძღვარი რომ დაეჭირათ და ეწამებინათ, ტაძარზე მის სახელსა და გამოსახულებას არავინ დატოვებდა, ვინც მწერალს მიაჩნია ქართულ ჩოხაში მორთულ უწვერულ ჭაბუკად.

ტაძარზე მკლავის რელიეფს ჰქონდა უძველესი ტრადიცია.

ეს მთქმელმა არ იცოდა – მან ხუროთმოძღვარის დასჯად მიიღო რეალური სურათი – წაკვეთილი მკლავი და შენდობის თხოვნა. მაგრამ არაცნობიერად სწორედ არქაული წარმოდგენა გადმოგვცა, როცა სწამდათ, რომ დიდი საქმე მოითხოვს დიდ მსხვერპლს, „გულის სისხლს“, როგორც იესო ქრისტეს ჯვარცმის მისტერია.

***

ტაძარს რომ სიმტკიცე ჰქონოდა, უძველეს დროში ცოცხალ კაცს ატანდნენ კედელში (შდრ. დ. ჭონქაძის „სურამის ციხე“), ან – ქვაკუთხედის ქვეშ (ჯ. ჯ. ფრეზერი).

ასე ყოფილა ქართველურ ტომებშიც, რაც ენებს შემორჩა კირ–ფუძიდან წამოსული სიტყვებით:

მეგრ; დოკირუა (დაბმა), დოკირილი (დაბმული), კირილი (შეკრული, დახრაკული), კირუა (შეკვრა, დახრაკვა), ქართ. შეკრული, შეკირული, შეკვრა, გაკრული, დაკირვა.

კირხსნარი იყო სამშენებლო დუღაბი, რომელიც ერთმანეთთან მტკიცედ ამაგრებდა ქვებს, ლოდებს, აგურებს...

კირს უკავშირდებოდა არა მხოლოდ გაშეშება, არამედ – დაწვაც.

შემდეგ კაცთშეწირვა აქაც შეცვალა ცხოველთშეწირვამ. მაგ. კლავდნენ ცხვარს, ხარს, ბატკანს, იხვს, თხას, ძროხას, სისხლით ავსელებდნენ ქვებს, რომელთა ქვეშ მარხავდნენ მსხვერპლად შეწირულს, ასევე – თაფლს, ლუდს, ხილს (მაგ., ხეთებთან – **ნანა ხაზარაძე**).

ზოგჯერ ცხოველის ან ადამიანის ნაცვლად მშენებელი ფარულად იღებდა ადამიანის სხეულს ან მისი ჩრდილის ზომას და საძირკველში აყოლებდა (მაგ., საბერძნეთში), როგორც შენიშნავს **ფრეზერი.**

ჩრდილიც სხეულის ნაწილად იყო მიჩნეული.

სჯეროდათ, რომ ეს კაცი მალე მოკვდებოდა, როგორც შეწირული.

ამის გამო მშენებლები ხალხს აფრთხილებდნენ, რომ ახლოს არ მისულიყვნენ მშენებარე ნაგებობასთან (მაგ., ტრანსილვანიაში).

არსებობდნენ ჩრდილებით მოვაჭრენიც!

გარდა ამისა, საძირკვლის ოთხივე მხარეს ათავსებდნენ სხვადასხვა სახის ლითონსა და ძვირფას ქვებს, როგორც მაგიურ საგნებს.

ასე მოითხოვდნენ ღმერთები, რომელთაც შეარჩიეს ადგილი შენობისათვის და ადამიანებს ასწავლეს თუ როგორ მიენიჭებინათ მისთვის სიმყარე, როგორ აეგოთ იგი.

***

როსტომ ჩხეიძე ტაძარზე ხუროთმოძღვრის მკლავის რელიეფს აკავშირებს ხეთურ იდეოგრამასთან, როგორც თვლიდა **პავლე ინგოროყვა**. მაგრამ თვით ეს ტრადიცია ამოდის არქაული წარმოდგენებიდან, როცა ნაწილი უდრიდა მთელს, როცა დაღუპულ ქმარს უკვე ატანდნენ არა ცოლს, არამედ – ცოლის მოჭრილ თითს ანუ ხდებოდა შენაცვლება (შდრ. – გენაცვალე), სიმბოლური კაცთშეწირვა ანუ მარჯვენის რელიეფიც ასეთივე სიმბოლურ მსხვერპლს ნიშნავდა.

როცა სვეტიცხოველის კედელზე კვეთდნენ რელიეფებსა და წარწერებს, ეს წესი არ იცოდნენ არც მელქისედეკ კათალიკოსმა, არც არსაკიძემ, არც გიორგი მეფემ.

მათ აღნიშნეს ამგების სახელი ქრისტიანული ტაძრისა, რომელსაც ხუროთმოძღვარმა 19 წელი მოანდომა.

ამდენად იგი „უწვერული ჭაბუკი“ვერ იქნებოდა. ხოლო „სახედაღრეჯილი, ჩაქუჩიანი მოხუცი, ვინც ირანულად არის შემოსილი, მწერლის ფანტაზიამ ხუროთმოძღვრის ანტითეზად – ფარსმან სპარსად აქცია.

ალბათ ტაძრის მშენებლობა დაიწყო მოხუცმა და დაასრულა ჭაბუკმა.

***

ტაძრის წარწერაში იკითხება „ხელი“. მაგრამ რადგან გონიო უპყრია, იგი მარჯვენად აღიქმება.

მოკვეთილი მარჯვენის ლეგენდა ასოციაციურად გადაება **ვაჟა–ფშაველას** გმირთა სამყაროს, დამარცხებული მტრისთვის მარჯვენის მოჭრას, რაც ისევე იყო გავრცელებული ველურ და ბარბაროს ტომებში, როგორც თავის ან ცერა თითის მოკვეთა (შდრ. – ავთანდილს ფატმანთან მიაქვს მოკლული ჭაშნაგირის ბეჭდიანი თითი).

თავმოკვეთილს საიქიოშიც უთავოდ უნდა ევლო, ცერმოჭრილი მშვილდ–ისარს ვერ მოიხმარდა, მარჯვენადაკარგული მეტოქის მონა–მორჩილად დარჩებოდა, ისევე როგორც შემდგომ პერიოდში – დასაჭურისებელი.

ამდენად ვფიქრობთ, რომ **კონსტანტინე გამსახურდიას** რომანის სახელი **„დიდოსტატის მარჯვენა“** შთააგონა ვაჟა–ფშაველამ, მითუმეტეს, რომ სწორედ მაშინ წერდა „ხოგაის მინდიას“, ტაძრის დარაჯმა კოლხმა ექვთიმემ რომ აჩვენა წარწერები და რელიეფები, როგორც „ქვაში ჩაკირული საიდუმლო“.

***

მწერალი 1937 წლის ზაფხულში სწვევია სვეტიცხოველს, როცა მილიონები შესწირეს სოციალიზმის ბომონს, როცა მრავალი ხელოვანი სიკვდილით დაისაჯა ტაძრის კარგად აგებისათვის.

ერთი წლის შემდეგ **კონსტანტინე გამსახურდიამ** დაიწყო რომანის წერა და ერთმანეთს დაუკავშირა ლეგენდა და ისტორია, როგორც სასტიკი თანამედროვე ჟამის უკუფენა. დესპოტიზმის ალეგორიული ჩვენებისათვის ხალხური ლექსის ვერსია განავითარა, რომ თითქოს ფეოდალიზმის დროს ექცეოდნენ ხელოვანს ასე ულმობლად.

6 მაისი, 2016 წელი

ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐᲚᲐ ᲓᲐᲒᲕᲔᲛᲐᲠᲗᲐ?

ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲐᲩᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

მეორე მსოფლიო ომში სასტიკად დამარცხებულ გერმანიას და 1948 წელს ახლადშექმნილ ისრაელს სულ რაღაც ოცი წელი დასჭირდათ ფეხზე დასადგომად და წარმატებულ სახელმწიფოთა რიგში ჩასადგომად.

ამგვარი მაგალითების მოყვანა უამრავი შეიძლება (სხვათა შორის ყოფილი საბჭოთა ქვეყნებიდანაც) და რამდენადაც მეტ ღირსეულ მაგალითს ვეცნობი, მით მეტი კითხვა მიჩნდება საკუთარი ხალხისა და ქვეყნის მიმართ – რატომ მათ არ დასჭირდათ ფეხზე დასადგომად „დიდი დრო“? რატომ ჩვენ ვერაფერი შევძელით კინკლაობის, შიდაომების, მექრთამეობის, დატაცებისა და ყაჩაღობის გარდა? რატომ არის ჩემი თანამოქალაქე ღატაკი, შეურაცხყოფილი და გაბითურებული? რატომ ვერ ვხედავ ჩემივე სამშობლოში მომღიმარ სახეებს? რატომ ტყუის ყველა მთავრობა? რატომ მიდის ქართველი ქალი და კაცი სხვა ქვეყანაში შავ მუშად? და სხვა მრავალი რატომ, რატომ და რატომ... რა თქმა უნდა, ყველაფერს მოეძებნება თავისი მიზეზი, ახსნა, წინაპირობა. გვეტყვიან, რომ ყველაფერი ასე ადვილი არ არის, რომ მსოფლიოში პერმანენტული ეკონომიკური კრიზისი მძვინვარებს, რომ არის რთული საერთაშორისო ვითარება, რომ მეზობელი გვყავს აგრესორი და უამრავ სხვა მაგალითს მოიყვანენ. ეს შეიძლება ყველაფერი ასეც იყოს, მაგრამ მიზეზთა მიზეზი ჩვენ ჩვენივე თავში უნდა ვეძიოთ. უნდა მივეჩვიოთ ვიყოთ თვითკრიტიკულები და ობიექტურები საკუთარი თავისა და საკუთარი ისტორიის მიმართ. ამ კონტექსტში არ შემიძლია არ შევახსენო მკითხველს ერის მამისა და მოძღვრის, დიდი ილია ჭავჭავაძის ცნობილი, სულის ტანჯვითა და გვრემით დაწერილი ლექსი:

ᲑᲔᲓᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲠᲘ

ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!
მძიმე ყალნით, ლამაზ ფალნით
 მორთული და მშვენიერი.
უწყინარი, უჩინარი, ქედდრეკილი, მადლიერი;
უშფოთველი, ქვემძრომელი, რიგიანი, წესიერი;
ყოვლად მთმენი, ვით ჯორ–ცხენი,
 ნახედნი და ღონიერი.

ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!

ყველა უნჯი, ყველა მუნჯი,
 გულჩვილი და ლმობიერი;
თვალაბმული, თავაკრული, პირს
 ლაგამი ზომიერი;
ყველა ყრუი, ყველა ცრუი, ჭკვადამჯდარი,
 გულხმიერი;
მცირე, დიდი – ყველა ფლიდი,
 ცუღლუტი და მანკიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი განა არის სადმე ერი?!
მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად
 უქმი, უდიერი;
უზღუდონი, გზამრუდონი, არგამტანი
 და ცბიერი;
მტრის არმცნობი, მოყვრის მგმობი,
 გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;
არრის მქონე, არ–რის მცოდნე,
 უზრუნველი და მშიერი.
ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?

რკინის გული და ნერვი უნდა გქონდეს ადამიანს, ამ სტრიქონებს რომ გაუძლო, გული არ გაგისკდეს, სიმხნევე შეინარჩუნო, ისევ საქმეს მოჰკიდო ხელი და რუდუნებით განაგრძო მისი კეთება, მაგრამ ჩვენ სხვა გზა აღარ გვაქვს, მით უმეტეს, რომ ეს 130 წლის წინ დაწერილი ლექსი იმაზე უფრო თანამედროვეა დღეს, ვიდრე ის მისი შექმნის პერიოდში იყო.

ჩვენი ქვეყნის ჭირ–ვარამითა და უბედურებით სავსე ისტორიას რომ გადახედავ, ძალაუნებურად გიჩნდება კითხვა, თუ რამ გადაარჩინა ეს ერი და ქვეყანა? როგორ, რა ძალითა და გონით მოვიდა ის დღევანდელ დღემდე, როგორ გადაურჩა ის განადგურებას მაშინ, როდესაც უდიდესი და უძლიერესი იმპერიები ისტორიამ „აღგავა პირისაგან მიწისა“. საქართველოს ისტორია ისე მოვიდა 21–ე საუკუნემდე, რომ ერთმანეთის მიყოლებით ასი წელიც არ ჰქონია მშვიდობიანი. ამისათვის მხოლოდ ფიზიკური სიძლიერე და სულიერი სიმხნევე არ არის საკმარისი. მუდმივ ომს შესაბამისი ეკონომიკაც სჭირდება და სწორედ ეს არის დიდად გასაკვირი. სწორედ ამ კითხვას სვამს დიდი ილია: „ვთქვათ მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ეს არის – რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა? რა ჰკვებავდა ხალხს, რა გონებით უძღვებოდა ამოდენა ომებსა და სისხლის ღვრასა? ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზე კაცად უნდა მგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტვრად არ აღგვილიყო, – და საზოგადოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?“ ამას ქართველთა შორის ფეხმოკიდებულ საკუთარი ქვეყნის ღალატის ზოგიერთ ისტორიულ ფაქტსაც თუ დავუმატებთ, კიდევ უფრო დიდ საკვირველებაში აღმოვჩნდებით.

რა თქმა უნდა, შეიძლება უამრავი ახსნა მოუძებნო მოვლენათა ისტორიულ რიგს, ათასგვარ კანონზომიერებასა თუ შემთხვევითობას დააბრალო ეს ყველაფერი და ვითომ მიზეზთა მიზეზსაც კი მიაგნო, მაგრამ ჩემთვის მაინც ამოუცნობად რჩება ეს ფენომენი და, ალბათ, ამ მხრივ მეცნიერება მომავალში კიდევ იტყვის თავის სათქმელს: „ჩვენი ხალხის და ქვეყნის ისტორია მეტად ბნელია და შეუმუშავებელი... ჩვენი შიდა ცხოვრების ისტორია ჯერ ფარდააუხდელია და უცნობი ჩვენგან“.

დიახ, ასე იყო თუ ისე, ფაქტი–ფაქტია და ჩვენ დღეს ვარსებობთ. მაგრამ ჩვენი დღევანდელი არსებობა, ანუ ის თუ რა მდგომარეობაშია დღეს ერი და ქვეყანა და განსაკუთრებით თუ როგორ გამოიყურება ჩვენი უახლოესი მომავალი, ჩემში განგაშს იწვევს და ვეცდები გაგიზიაროთ. იქნებ, ღმერთმა ქნას, და ვცდებოდე... და თუ ცოტათი მაინც მართალი აღმოვჩნდი, ჩავჭიდოთ ერთმანეთს ხელი, გული – გულს მივცეთ, აზრი– აზრს და ჭკუითა და გონებით ვაკეთოთ ჩვენი საერთო საქმე.

იმისათვის, რომ დღეის გასაჭირში მაინც ობიექტურად გავერკვეთ, გთავაზობთ ჩვენი დღევანდელი რეალობის ანალიზს ორი სამართლებრივ–პოლიტიკური ცნების „მოქალაქისა“ და „ხელისუფლების“ ურთიერთდამოკიდებულების ჭრილში. იმაზეც შევთანხმდეთ, რომ ჩვენ არ გვაინტერესებს კონკრეტული ხელისუფალი და კონკრეტული სახელისუფლო გუნდის პოლიტიკური ფილოსოფია. ჩვენთვის ხელისუფლება არის ქვეყნის მმართველი ძალა და სწორედ მართვის პრინციპებიდან და კრიტერიუმებიდან გამომდინარე ვიმსჯელოთ სინამდვილეზე.

მე, როგორც რიგით მოქალაქესა და გადასახადების გადამხდელს, მაქვს სრული უფლება საერთოდ არ მაინტერესებდეს მმართველი პარტიისა თუ ზოგადად პოლიტიკური ელიტის ორიენტაციები და ფილოსოფიური სენტენციები. მით უმეტეს, რომ ჩვენი პოლიტიკოსები ისე სწრაფად და უცერემონიოდ იცვლიან ამ უკანასკნელს, რომ შეუძლებელიც კი არის მათთვის თვალის მიდევნება. მე მათგან მოვითხოვ ძალიან მარტივსა და გასაგებს: ქვეყნის რეალურ წინსვლას (როგორც პოლიტიკურს, ისე სოციალურ–ეკონომიკურს), მოქალაქეთა კეთილდღეობის ზრდას, მაღალხარისხოვან ჯანდაცვას და საიმედო დაცულობას. მე არ მაინტერესებს, ვინ გააკეთებს ამას – მემარჯვენე, მემარცხენე, ცენტრისტი, ნაციონალი, „ოცნების“ წარმომადგენელი თუ ვინმე სხვა. ზოგადად რომ ვთქვა, მე, როგორც მოქალაქე, ამომრჩეველი და გადასახადის გადახმდელი, ვითხოვ წესრიგს ამ სიტყვის ფართო და ყოვლისმომცველი მნიშვნელობით, მე ამის ყველანაირი უფლება მაქვს. მოკლედ რომ ვთქვათ, მე, როგორც დამქირავებელი, ვფიქრობ მმართველს (ანუ როგორც დღეს ამბობენ „მენეჯერს“) იმისათვის, რომ მან მაღალპროფესიულად ანუ ეფექტურად მართოს ქვეყანა და მას ამისათვის ვუხდი გასამრჯელოს (რა ბედნიერები ვიქნებოდით, მართლაც ასე რომ იყოს!), მაგრამ ეს უფლება უფლებად რჩება, რეალობა კი სულ სხვაგვარია.

ფაქტია, რომ ბევრი რამ, რაც ჩვენს ირგვლივ ხდება, ჩვენსავე ხალხში ხშირად უკმაყოფილების, გაუგებრობის, გაოცებისა და, აქედან გამომდინარე, პროტესტის გრძნობას იწვევს. საქართველოს უახლესი ისტორია ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დღემდე იმდენი შეცდომით, დანაშაულით, ულოგიკობით და, საერთო ჯამში, ერის წინაშე ღალატით არის სავსე, რომ მუდმივ გაჭირვებასა და სიდუხჭირეში მყოფ ჩვენს ხალხს ერთგვარი აპათია (გრძნობადაქვეითებულობა!) და ღრმა უიმედობა დაჩემდა. ამ მოკლე ხანში მან იმდენი იმედგაცრუება ნახა და გამოსცადა, რომ ამ მხრივ ძნელადღა გააკვირვებ რამით. თუ მცირე სოციოლოგიურ ანალიზს გავუკეთებთ ხალხის დღევანდელ მენტალურ მდგომარეობას და რამდენსამე დამაზუსტებელ კითხვას დავუსვამთ საზოგადოების დიდ ნაწილს, აღმოჩნდება, რომ ცნება „პოლიტიკოსის მორალური სახე“ იმდენად არის დევალვირებული, რომ ხალხში მხოლოდ ღიმილს იწვევს. ჩვენი მოქალაქე სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ ნებისმიერი პოლიტიკოსი იბრძვის მხოლოდ თავის პირადი კეთილდღეობისთვის და საერთოდ არ აინტერესებს, ასე ვთქვათ, „ხალხის ბედი“.

ოცდაათამდე ქვეყანაში ვარ ნამყოფი და ბევრ მათგანში – მრავალგზის. მე ჯერ არსად მინახავს მოსახლეობისაგან ისეთი განდგომილი და საკუთარ არეალში ჩაკეტილი მთავრობები, როგორებიც ჩვენთან იყო და ჯერჯერობით არის. ისინი ისე შორს იყვნენ და არიან მოსახლეობის ძირითადი მასის მდგომარეობიდან, რომ შეუძლებელიც კი ხდება რეალური ეკონომიკური თუ სოციალური პრობლემის დანახვა და მისი გადაჭრის ადექვატური გზის მონახვა. ზოგადად, ხალხისგან გაუცხოება ყოველი ხელისუფალის „აქილევსის ქუსლია“ და ამ მხრივ ცოტად თუ ბევრად ყველა სცოდავს, მაგრამ ჩვენ რა ქართველები ვართ, თუ ცუდ საქმეში პირველები არ ვიქნებით.

ნესტანის „წიგნის“ ერთი სიტყვისთვის

დარეჯან სუმბაძე

რა უნდა დაუპირისპირო ძალას, როცა ძალადობის ნაწილია. ის ვერ იქნება სიკეთე, რადგან იძულებას მოიაზრებს საკუთარ თავში. და იძულების დამთრგუნველი ზემოქმედება ერთსახოვნად ანადგურებს ცნობიერ ყოფნას. სულ ერთია, ის ბირთვული თუ ცივი ომის ზემოქმედების ფორმაა. მისი. შედეგი მაინც სულ ერთია: მკვდარი, ანდა დარღვეული ადამიანი. და როგორ უნდა დაუპირისპირდე ძალას, როცა ძალა არის ძალადობის, წარმოქმნილი სახელის არსის მატარებელი კომპონენტი.

ეს წერილი დღემდე რომ არ დამეწერა, აშკარაა დღეს არ დავწერდი, რაკი თემამ მეტისმეტად აქტუალური სახე მიიღო, განზოგადდა, საყოველთაო თემად იქცა. მსგავსი აქტუალიზაცია აჩენს ახალ მიდგომებს, თუმც ერთდროულად საშიშროებას გულისხმობს კიდეც: თემის ფალსიფიცირების, სადაც უამრავ სიტყვასა და ქმედებას შორის მოსალოდნელი, უმთავრესის გაქრობის, საფრთხე უდაოდ ჩნდება. მაგრამ რაკი დღესდღეობით ის არსებობს (ანუ: საფრთხის გარდა წერილიც), მიუხედავად თემის აქტუალურობისა, გადავწყვიტე, ვამზეურებდე. მით უფრო, რომ მართლაც არ ვიცი, რა უნდა დაუპირისპირო ძალადობას, გარდა მასზე უსაზღვრო ფიქრის, რასაც სიტყვები ხორცს შეასხამენ ხელახალი სიცოცხლის ნიშნად.

კონკრეტულ დროში ენის სახეს ქმნის ეტაპის შესაბამისი სამწერლო და სამეტყველო ლექსიკური მოცემულობა. ეს ვერ იქნება სტაბილურად სტატიკური მდგომარეობა. ეს ცოცხალი დინამიკაა. წარმოდგენილი წამის სახე: არსებული და დავიწყებული თუ დროებით მიძინებული სიტყვების ჯამი. ენას არ უნდა ეშინოდეს სიტყვების არც დროსთან ერთად დავიწყების და არც მათი დამკვიდრების უცხოური ნიადაგიდან, რაც ბუნებრივად ურთიერთობის ახალ დროსთან, ახალ ჩვევებთან ზავდება და მკვიდრდება მასში; და არ უნდა ეშინოდეს, მით უფრო, სიტყვათწარმოქმნისა, უცხო თუ შიდა კონკრეტული გამოცდილება რასაც ამკვიდრებს, რაც წამიერად ყურსაც ჭრის, შეუძლებელიც მოჩანს. პირიქით. ეს ბუნებრივი, გარდაუვალი პროცესია, მუდამ მსუნთქავი, ორგანული, მზარდი და მკლები. დაუგეგმავი დინებებით. თითქოს სიცოცხლის რაღაც ფორმა გდებოდეს ხელის გულზე და მასში. მდინარე სიტყვებს ქონდეთ უნარი ახალ და ახლ, თვალით აღქმად სასწაულს ქმნიდნენ. სინათლის უწყვეტ ნაკადებად, რაც ამ სიცოცხლის შესაძლებლობად მოგენიჭა.

სულ მოძრაობენ ეს ტექსტები. სუნთქავენ. და, კაცმა არ იცის, წიგნს რომ გადაშლი, ხვალ როგორები დაგხვდებიან.

ნესტანის მიერ ქაჯეთის ციხიდან ფატმანისადმი გზავნილ წერილ-„წიგნში“ ვკითხულობთ:

„შენ ორთა დამხსენ გრძნეულთა, გამიადვილე ჭირები,
აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები:
ერთსა მცავს ერთი სამეფო, ბევრჯელ ათასი გმირები,
ავად მომიხდა თათბირი და ჩემი დანაპირები!“

მოხდა ისე, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ამ სტროფის შუა ორი სტრიქონი ჩემი ლექსის* ეპიგრაფად გამოვიყენე. იქნებ შემთხვევა რომ არა, ისიც სწორედ ისევე დამრჩებოდა დახურული წიგნის სიღრმეში, ძველი, გასული სამეტყველო ენის შრეებში, რაც, მართალია, რასაც როცა გადაშლი მუდამ. და ხელახლა გაოცებს სხვა და სხვა აღქმით, მაგრამ. მაინც წიგნის სიღრმეში ტოვებ. ეპიგრაფის ორი სტრიქონის ეს სიტყვები კი საფიქრალად მექცნენ იქამდე, როცა სხვა გზას არ ტოვებენ: ყვებოდე მათზე.

ნესტანი არ არის ტიპური შუასაუკუნეობრივი მეფის ასული. ის არ გავს თამარს, რომელსაც მისდაუნებურად პოლიტიკური მოტივით რუს უფლისწულზე აქორწინებენ. მორჩილების ერთგვარი ნიშნით მას თინათინი უფრო ენათესავება. არა ნესტანი. მარტოსულობის უთქმელ ციხეში ჩაკეტილი. უკარება. არავის უშვებს სიახლოვეს. თუმცა ამით ის. საკუთარი შეუვალობის უფლებას იცავს. მის ხასიათში, როგორც ამბობენ, „შინაგანი ძალა და ქალური სისუსტე ერთმანეთს არ გამორიცხავენ“. ეს ქმნის ერთგვარი სიმაღლის განცდას, რომლისადმი მისაწვდომად მის ირგვლივ მყოფებს უწევთ რამის დათმობა, ანდა – რამის მოთმენა. იდუმალება, უთქმელობა ქმნის ჯადოსნურ მიზიდულობას ამ „ძალიან ამაყი და მარტოსული“ ქალისადმი. ის არაფერს ამბობს ბოლობდე. ის არ ყვება საკუთარ თავზე. საერთოდაც, რუსთაველის ძალა დახვეწილ და პოეტურ უნართან ერთად ამბის, როგორც სიუჟეტის, მოზაიკური აწყობის ხერხი საოცარია. ყვება. ახერხებს მიგაჯაჭვოს. ლამის ათას შვიდასი სტროფი სულ -მოუთქმელად ჩაგაკითხოს. ნათლად არაფერი გითხრას. ძირითადი ამბავი სხვათა. სხვათა და სხვათა მონაყოლის. გაგონილის და განცდილის ერთობლიობით აგაკინძვინოს. და ეს სულ შენს წარმოსახვაში. თუ გაუძლებ. თუ თანმიყვები. მოახერხებ მშვენიერების ყველა ეფექტის ერთბაშად ხილვას. რასაც „ვეფხვი-ავაზის“ სახით თუ იდუმალ, ზღვისგან მოვლენილ „სხივად“ იხილავ. აი, ეს არის რუსთაველი. სიტყვითუთქმელი მშვენიერების განცდა სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე. ზუსტად ისე. უკიდურესად. როგორც მხოლოდ შენ, მისმა მკითხველმა, შეგიძლია წარმოიდგინო.

„რადგან რუსთაველის პოემა არის არა განყენებული ფილოსოფიური აზროვნების პოეტურ ენაზე გადატანის შედეგი, არამედ სამყაროს მხატვრული დაუფლების, მისი შემოქმედებითი „დაძლევისა“ და გარდასახვის დამოუკიდებელი, გენიალური ცდა“. ჭეშმარიტად. ასე ვფიქრობ, როგორც გურამ ასათიანი.

სიტუაცია მხოლოდ ფონია პერსონაჟის თვისებების გამოსავლენად. ქაჯეთის ციხე – განსაწმენდელი, რაც სიყვარულის მსხვერპლშეწირვისთვის მიეზღო ნესტანს, „და მეფისა, ქვრივი, ქაჯეთს გათხოვილი“ დავარის მიერ შუა ზღვაში დასაკარგად, ქაჯთა ხელით, იძულებით მომწყვდევის სახით („პირითა მით ქაჯებითა, მათ კიდობანი მიჰქონდა“). „ხმელსა ნედლად“ გადამქცევი „ქმნა მართლისა სამართლისა“ მისთვის ახალი რეალობაა, ახალი ყოფნა, წყალობაა, ტანჯვა თუ ომი. ქაჯეთის ციხე, (ხელ)ახალი განსაწმენდელი. სადაც სიკვდილს ალტერნატივა არ უნდა ქონდეს.

და ამავე დროს, კიდობანიც და მოგვიანებით ქაჯეთის ციხეც წამების და განახლების ადგილებია, რაც მის ყოფნას იზოლირებულს ხდის დანარჩენი სამყაროსგან. ის აშორებს, განაცალკევებს წარსულისგან, სამშობლოსგან – დაბადების და არსებობის ადგილისგან – და ერთდროულად ასკეტური განმარტოების და გადარჩენის ადგილიც ხდება.

„ვეფხისტყაოსნის“ ერთიანად გამმსჭვალავი თვითმკვლელობის მოტივი აქ განსაკუთრებული სიმწვავით იჩენს თავს... თვითმკვლელობა, არყოფნისკენ სწრაფვა სწორედ ქაჯებს უკავშირდება, დავარი, ქაჯი ასრულებს სიცოცხლეს თვითმკვლელობით და ნიშანდობლივია, რომ ეს მოტივი კულმინაციურ ჟღერადობას სწორედ ქაჯეთთან დაკავშირებულ პასაჟებში აღწევს; ქაჯეთში ეძალება ნესტანს თვითმკვლელობის სურვილი (თუმცა ადრე თვითმკვლელობა მიუღებლად მიაჩნდა), რაკი თავის მოკვლის გარდა სხვა გამოსავალს ვეღარ ხედავს“. (თ. ვასაძე)

საოცარია. მაგრამ ეს ყოფნაც ისევე და მშვენიერია, როგორც მისი სხვაყველგან ყოფნა. მაგრამ ეს ტანჯვა, თუ ამ ტანჯვის მშვენიერება, იმიტომ ქმნის გარკვეული სიმაღლის განცდას, რომ ის გაუგებარია ვაჭარი ჰედონისტებისათვის, უსენისათვის, ვინც ცდილობს და ახერხებს კიდეც ამ უზადო მშვენიერებით „ხელი მოითბოს“. სავაჭრო საგნად გადააქციოს ის. ჯერ კიდევ მის სასახლეში მყოფი ნესტანი. თუმც ეს არ არის საოცარი. ის, არსებითად ვაჭრის ბუნება, მშვენიერებას მატერიალურ იდენტობას უსაბამებს: ოქროს; ანდა საკუთარ. ზღვათა მეფის თვალში ყოფნის პრივილეგიურობას. ამ სახის ფონზე ფატმანის გულმიუსვლელობაც მოღალატე და არასანდო კაცისადმი, ბუნებრივია.

ნესტანი ტყვეა შემთხვევის და ბედის შექმნილი რეალობის. ტყვედქმნილობა ხაზს უსვამს მის სიუცხოვეს მოცემული სამყაროსადმი – ზღვათასამეფოც, ქაჯეთისციხეც – მისთვის ყოფნაუტანელი, შეუწევეველი გარემოა, სადაც ოქრო, ძღვენი, ნადავლი ადამიანზე მეტად ფასობს. და მის მკვიდრთა მომხვეჭელობა-მიმტაცებლობის უნარი კი, რაც, მართალია ერთმანეთთან წინააღმდეგობრივია (ვაჭრები, როგორც გაძარცვულნი, ნადავლნი, მსხვერპლნი; ქაჯები, როგორც მძარცველები, მტაცებლები, მეკობრეები), არსებითად ორივე. მაინც. სახეა საზოგადოების.

რაც შეეხება ქაჯებს, არა -ნაირ მისტიფიკაციას არ აქვს ადგილი. ეს სიმბოლოა. ხალხის სახე. სულიერება დაცლილი. სხვათა. საარსებოს მიმტაცებელი. მოძალადე. უფლებების შემლახველი. და როგორც ყველა მსგავსი საზოგადოება, ოჯახი, თუ ჯგუფი საზოგადოებისა, ატარებს ძლიერ იმუნიტეტს დაცულობის, მსგავსთა მიერ მინიჭებულ ღირსებისორდენს, ციხე(-კოშკ)შეუვალობის უნარს. რასაც მხოლოდ სიყვარულის და მეგობრობის დაუძლეველი სინათლე თუ აიღებს. დაუპირისპირდება; და ნესტანის ხასიათის უზადო თავისთავადობა, ამ სინათლის მატარებელი და გამომწვევი.

დავუბრუნდეთ ნახსენები ციტატის ნაწყვეტს.

ჩემს ხელთ არსებულ წიგნში („ვეფხისტყაოსანი“) ტექსტის კომენტარების და გზამკვლევის ავტორი თ. ვასაძე სიტყვას „დანამჭირები“ განმარტავს სიტყვად: „შეპყრობილი“. რა თქმა უნდა, განმარტება სიტყვის აზრთან მეტად მიახლოებული, უზუსტესი სინონიმია, მაინც მრჩებოდა ანალოგის შესატყვისი ერთგვარი ასოციაცია, თუ სხვა სათქმელი, ენის ცოცხალ საფიქრალში რაც მოჩანდა. შევეცადე ვერსიების შეჯერებას. თუმცა მისი ორი სიყვით გადმოცემა ვერ მოვახერხე.

„დანამჭირები“, რთული სიტყვა, შედგენილი ზმნის სახელადი, ზედსართაული ნაწილია (სავარაუდოდ, განსაზღვრული ჩვენებითი ნაცვალსახელის არქაული ფორმით, ანდა ვითარებით გარემოებად გამოხატული ზმნიზედით („ასრე“), რაც მას წინ უძღვის. ამ ვარაუდს განაპირობებს ნაცვალსახელის „ასეთი“ და ზმნიზედის „ასე“ ფორმობრივი დამთხვევა აქ, დასაშვები სინტაქსური წყვილის შესაბამისობით). მრავალწევრიან კომპოზიტად თუ განვიხილავთ, რაც “-ობა“, “-ება“, “-ები“ ტიპის სუფიქსითაა ნაწარმოები, მაშინ მის ნაირფუძიან და ერთცნებიან წევრთა ინდივიდუალურ და შეჯერებულ მნიშვნელობებზე შეიძლება ყურადღების გამახვილება.

პირველი სიტყვის მნიშვნელობას სულხან-საბა და არნ. ჩიქობავა განმარტავენ: „დანა“ – „კორცის მოსათლელი“, „კალამთ მოსაჭრელი“, მოგრძო, ტარიანი საჭრელი იარაღი, მანქანის მჭრელი ნაწილი; ან: უთქმელობის, ბოლოდაუსრულებლობის ფრაზის აზრის შემადგენელი. და ჩვეულებრივ, ის ცივი და დანა -შაულის იარაღია. ამავე დროს, მას ეძლევა დატვირთვა, როგორც კომპოზიტის შესაძლებელ ზმნისწინურ ნაწილს; და უმთავრესი: აქ – არსებობის ახალი ფორმის. ჩაკეტილი სისტემიდან – დროიდან თუ ადგილიდან – გარდაუვალი თავდაცვის, -დახსნის იარაღის სიმბოლოდ ქცევის; საკუთარი ყოფნის, სიცოცხლის, ხელყოფის ან გადარჩენის (რაც აქ ერთიდაიგივეა) შესაძლებლობის. და ამავე დროს, ჩანს: არსებობის ამ ფორმაში, ტყვედქმნილის ხელში, მისი უდაო საჭიროება აშკარაა.

“-მჭირები“, კომპოზიტის მეორე ნაწილი, ხელობის გამომხატველი წარმოქმნილი ზედსართავია, „მე“ აფიქსის ხმოვანნაკლი მოცემულობით. „მჭირავი“ – „მპყრობელი“, „ჭერის მოქმედი“, „ჭირის მოქმედია“; „მჭირნე“ – „საჭირო“, „მომჭირნე“, აუცილებელი, გარდაუვალი, ჭირთან, ავთან, ბოროტებასთან ან ყოფნასთან თანაყოფნის, შეჩვევის, (ვერ)შეგუების აზრის მომცველი ცნებებია; „მჭირავობა“ გურულ დიალექტზე მონადირე ძაღლის ან ფრინველის უნარია. ისევ ნადირის ან ფრინველის დაჭერისა. სხვათაშორის, მსგავსი თანხმოვანმონაცვლეობა ქმნის სიტყვა „მჭრინავს“, რაც ფშაური დიალექტით, ბულბულს გულისხმობს.

და აქ არცთუ საოცარია, მგალომელი ამ ჩიტის მსგავსად, ქაჯების მიერ ტყვედქმნილ ნესტანს გასჩენოდა დანამჭირების, დანამჭრელის, სიტყვა-ბასრის საჭიროება. მით უფრო, რომ ვეფხვთან მისადაგებული მისი ბუნება რუსთაველმა ბევრად ადრე გაგვიხსნა თვალწინ: ტარიელთან „თათბირის და გამორჩევის“ ეპიზოდში, მშვენიერმა და დაუნდობელმა, მისი ნების გარეშე, სხვათა იძულებით „მოყვანებული“ საქმროს, ხვარაზმშას უფლისწულის „მოკვდინება“ რომ დაავალა მეფის ამირბარს. თუ აქ ასპექტის ქცევის საფუძველს განვიხილავდით, სისასტიკედ მიჩნეული ეს ქმედება, შეფასდებოდა რუსთაველის ერთგვარ პასუხად, ადამიანის ბედის სხვათა ნებით ქმნის მიმართ ძალადობაზე. მით უფრო, რომ აქ ნესტანი ხელუხლები პირადი ყოფნის უფლებას იცავს რეალობის დანა-პირების შეუსაბამობის წინაშე. არა. ჩვენ აქ: ფაქტს აღვნიშნავთ. ანუ ლოგიკურ, ვარაუდის, შესაძლებლობას, რომ მას, „სრულთა ქაჯთაგან“ „მოცულს“, ტყველ შეჭირვებულს, „დანაჭირვებს“, ქვეცნობიერი ბუნებრიობით, რეალური დაცულობის დეფიციტის შესაბამისად, თავდაცვის ცივი იარაღის საჭიროებით, გახდომოდნენ სიტყვები ბასრი. აქ ხაზს ვუსვამ სიტყვას: თავდაცვის.

როცა დგება მოთხოვნილება, ენა მეხსიერებიდან აცოცხლებდეს ასეთ ყოფილ გამოცდილებას, ყვებოდეს თავის არსებობაზე, აშკარაა, ესადაგება დღევანდელ ყოფნას. ან აგრძელებს სიცოცხლეს. ის. ყოფითუნარიანია ენის ლექსიკურ ნიადაგზე, მფეთქავ შრეებში, საჭირო და დავიწყებას თავდაღწეული.

27 სექტემბერი - 15 ნოემბერი. 2014.

* წიგნი

აწ აქა სრულთა ქაჯთაგან ვარ ასრე დანამჭირები,
ერთსა მცავს ერთი სამეფო ბევრჯელ ათასი გმირები.

ჯუსთაჰეული

რა უნდა დარჩეს საბოლოოდ ამ დღეებისგან
ვისაც დარჩენად მოგონება მით უფრო არ სურს.
ნაცარი. ფერფლი. მინავლული. მიყრილი ნარსულს.
რად უნდა დარჩნენ ეს დღეები მოგონებისგან.
არის ნაკლები ალბათობა. იქნებდა წასულს
სავარაუდოდ მიჰყვნენ მათგან დარჩება. რაც ღირს
ამ უსარგებლო ემოცია. ამ ხსოვნის. ამ დღის.
ამ ნამებისგან. რაც დარჩება ასეთ ნანერებს.
რასაც ლოდინი უკიდურეს ხმაურად დღაბნის
უცნობი მხატვრის ტილოზე და შემდგომად. მერე

ამბობს: რაც დარჩა რა ერქმევა ასეთ ნანერებს.
რაღაც უარსო დღეებიდან სახსოვრად ამ დღის.
რაღაც უსიზმრო არსებობად. სიტყვების დღაბნად.
ამ უსახურის. ამ სეზონის. უხსოვნო ამ დღის.
ზუსტად ამ სარკმელს მიესაჯა ეს ხედი ჩანდეს.
თუ თვალში გხვდება. და რაც გხვდება. ნეტავ რა უნდა
აქ. ამ ნამს. მალე შეიცვლება. დაგაგვიანდეს.
გადაგაყოლოს უთქმელობის ნამღერ ხმაურთან.
როგორც ამ ხედად ამ სარკმლიდან. ან კი რა უნდა
რაც თითო–თითოდ უკვე ითქვა. რაც არ ითქმება.

რის გაგება და წარმოდგენაც გონებას უჭირს.
რაც გვამოლიანებს ნანილ–ნანილს. სიტყვად. რითმებად.
აზრი სათქმელში შეპარული თუ წყალი მუჭში
ამო სათქმელად. დღის ხმაურად თუ ღამის თევად.
დროის უაზრო გაყვანაა. მცდელობა ფუჭი.
სად ხარ. რომელი თვალებია რასაც ვენდობი.
ამ ნამებისგან რაც გადარჩა დიდი ხნის მერე.
უღვთო სიკეთედ. ხმამად ნაგემ უიმედობად.
ალარ არსებულ თვალის ჩინად. რასაც ვენდობი.
ამ წყალნაღებულ ჩაჯიდებად ხავსის სიმღერებს.

შენკენ მომავალ ერთადერთ გზად უიმედობის.
შენი არყოფნის ივარქმნილი. მინავლულ ბგერებს.
ამ ერთმანეთით გაქარნყლებას. ამ დღის ბედობას.
ყველა ქროლვაზე საოცნებოს. რასაც ვენდობი.
როგორც ოდესღაც ამ სარკმელში ნაფენ დღის ტილოს.
როგორც გადაცვლილს მზის ჩასვლაზე გამო სხვა ვალის.
მიპოვე. ჩემო საყვარელო. ჩემო სიკვდილო.
ამ განნირული სიცოცხლიდან. გამოსავალი.
თითქოს ოდესღაც მონაჩვენებ ნათელს მზის ტილოდ.
თითქოს გადაცვლილს მის ჩასვლაზე ნებით თუ ძალით.

აი. ასეა. ამ ფიქრის ჯაჭვს ვერასგზით ვცდები.
ამ უსარგებლო ფიქრის. ყველა ლოდინს რომ ახლავს.
უმნიშვნელოა გზის თუ ყოფნის. ჯდომის თუ ცვდები.
უმნიშვნელოა გაუშინდელს თუ ხვალის თუ ახლა
როდესაც ფიქრის. ამ ფიქრის ჯაჭვს ვცდები ვერაფრით.
ამ უსარგებლო. ამ უაზრო ერთი გზის ტკეპნას.
და კი არ ვცდები. ფიქტობრივად. ისევ ვერ ავცდი.
რაც კიდევ უფრო გაგრძელდება მით უფრო მეტხანს.
როგორც აცლო ღველფზე ნაცარს ბურუსად ეცვას.
არაფრისმთქმელი ამ ლექსივით. თუკი მეც მაცლი:

და უფრო ძნელი იქნებოდა. რაც იყო დღემდე.
კარგია როცა მტერი ჩნდება. უნდა გამოჩნდეს
ნათელი. მოფენს განთიადად. დადგება. შემდეგ
გაუმრავლდება მადლი სულად ქვეყნის აღმოჩენს.
რომ უძნელესი იყო ბევრად. რაც იყო დღემდე.
როცა ადვილი სამიზნეა: იჯდე. უცდიდე.
ერქვას ასეთი ბრძოლა. ჯირი თავისთავს მოჯამს.
გადააყოლებს მინავლებას ნაცარი დრო–ყამს.
ამოიზრდება გაზაფხული დედა–მუცლიდან.
და რომ ისეთი ადვილია იჯდე. უცდიდე.

ჩიტები ყველგან იმღერებენ. რა ვუყოთ თუკი.
როგორ უარყობ ულევ ძალას. გაზაფხულს რომ აქვს.
როგორც სიბნელეს თავისთავად მოგვრილი წყრომა.
ამოდ ნათქვამი უთქმელობის უნდო ბგეთა.
ეს გავს სიცილის ხახაგამშრალ ცრემლებს ნაგემად.
ეს გავს ვირ–თხათა სიკვდილისნინ სასონარკვეთას
ოკეანისკენ. დასაღუპად განნირული ხომალდს
როგორ ტოვებენ ხელაღებით. როგორ ცვივიან.
ბედისნერაზე უადრესად. რომ ამიტომაც
(ომის სისხლივით მათი ფიქრიც უფრო ცვივა).

ანდა ამისთვის (სულ ერთია. ის გავს თავისთავს).
ის იმეორებს ყველა ღერში საკუთარ სანყისს.
რის გამოც ხშირად ისევე ქუხს. როგორც არ ნვიმს და
რის გამოც ხშირად ისევე ქუხს როგორაც არ ნვიმს.
შესაბამისად ამისთვის თუ გამო ამისა.
ის იმეორებს სიბნელეში მუდამ თავისთავს.
ვიდრე მსგავსება. იმღერებენ ჩიტებიც თუკი.
ყველგან დადგება გაზაფხული. სადაც დარჩები.
როგორც სხივის და გათენების მცირე ნარჩენი.
იმედს შეისხამს მომლოდინე თვალები ნუკრის.
ისინი მანც იმღერებენ. რა ვუყოთ თუკი.

04. 02. 2014.

ამირან სტვილია



გახსენება

იგი ათეული წლების მანძილზე მარტვილში, სოფელ ხუნწში მასწავლებლობდა. ამაყობდა თავისი დის ლიდა სტვილიას შემოქმედებით, თუმცა თავადაც ურიგო ლექსებს როდი წერდა.

მაინც დავდივარ

ვერსად მოვკრიფე უეკლოდ ვარდი,
მქონდა დრო, როცა ქორივით ვქროდი!...
სულ არ გდარდობდი,
სულ არ გდარდობდი
ქონებავ, მქონდი თუ არა მქონდი!
დღისით და ღამით სულ რომ
ვლაღობდი,
ჩემი ლანდივით დამყვება დარდი, –
ცხოვრება მტორავს ათასი
ფანდით!
...მაინც მაქვს თავი ავბედთან
დავის! –
...მაინც დავდივარ შავ ზღვაზე
ნავით!..

გულო!

... გულო, რამდენ ქალს ეტრფოდი,
რამდენ ლამაზმანს ფერობდი?...
ქალების იმ ტაიგაში
ლხინობდი! –
ირემს ელოდი!...
... ის წლები ახლაც მამღერებს,
ჩაუქრობელი ალებით,
... ერთ ლექსსაც აღარ დავწერდი, –
არ იყონ ლამაზმანები!

... რომ ... გამოხვიდოდე... ღმერთი...

... როგორც უსიერ ტყეებში
ღრეობენ, ზეობენ მგლები!
ღრეობენ არმები, ხარბები
შეწუხდნენ, მამაო – მღვდლები...
... ცრუმორწმუნეები წაიკიდნენ
ერთმანეთს რას არ ეძახიან?
... არა და...
ქალბატონ–ბატონკაცებს
რა ეზოები და ვენახი აქვთ?!
... რომ ... გამოჩნდებოდეს – ღმერთი! –
ხმას არ ამოიღებს – ერთიც!...

***

... უფალს აღარ შეუქმნია
მონა!... – მონათმფლობელი!... –
მგელკაცებმა შექმნეს, იგი! –
... იტანჯება სოფელი!

...მიწავ ბატონო!...

მიწაო ცოცხალო მარჩენალო,
მკვდართა მარადიულო პატრონო,
შენს ამაგს
ვერ გადავიხდით მიწავ, ბატონო! –
ცოცხალი მკვდარია ყველა ის კაცი,
რომელიც გულით არ გპატრონობს!!!

***

... თუ ... მშვიდობა გინდათ, მოდით!
მეგობრულად, ძმურად ვიყოთ!...
მაგრამ... მითვისებით... არა!...
ჩემს სამშობლოს ვერ გაგიყოფთ!

სიყვარული არ იქნება

... ლალისფერი ბაგენი...
ჯადოსნური თვალები,
წაბლისფერი წარბები –
ყალამშემონავლები! –
... სიყვარული არ იქნება,
რომ არ იყოთ – ქალები!

სიჭაბუკის გახსენება

დავჯირითობ ქარივით და
აღარ ვიცი დაღლა!...
დედამიწა მოვირბინე
გამოღმა და გაღმა!...
ულაგამო სიჭაბუკევ,
სიჭარმაგე მოდის! –
სხვის ქარვასლებს ვამჯობინებ
ხის სვეტს ჩემი ოდის!
... სიბნელეა...
ეს რა მოდის
ყვავილების ფორდით?!
... ო, სიკვდილო, ჩემთან მოსვლა
გადაწყვიტე – როდის?!

ითხვისის ცაცხვი ყვავილობს

(ვუძღვნი სიძის – პოეტ გიორგი წერეთლის ხსოვნას)

... ითხვისის ცაცხვი ყვავილობს,
მაგრამ... ცრემლები დასდის...
მისი გაზრდილი გიორგი –
მის ჩრდილში რომ არ დადის.
„წყაროსთან ია ლურჯთვალა
გიორგის ლექსებს მღერის.
არ მოკვდებაო!
ეს კაცი
შვილი არისო ერის!
... შენ ერის შვილი იყავი,
ხარ და იქნები მარად!
შენი ნათესი ლექსები
ამოდის მთა და ბარად!
... ითხვისის ცაცხვის გაზრდილი
გიორგი აღარ დადის... –
დაფრინავს! ... ცაცხვის ყვავილი
თავს გიორგის სულს ადრის...

მუზეუმი

... მუზეუმი ამზეურებს
უძველესს და ახალ საკნებს...
ის, ამიტომ არის ქვეყნად
წარსულის და ახლის სარკე! –
... უკუნეთებს ამზეურებს! –
უკუნეთებს ნათელს აფრქვევს...

***

... სანამ იცოცხლებს კაცობრიობა, –
იქნება ჩემი ლექსის გალობა,
... ვულოცავ ყოველ ია–ვარდობას
ჩემს უჭკვიანეს შთამომავლობას!

... ბევრი თხოვნა შეგისრულე!
... შენს ერთ თხოვნას გვიან მივხვდი, –
ისიც... გამოაშკარავდა!...
... ამ თხოვნასაც აგისრულებ
ჩემო ძველო – ფარშავანგა–ვ!

ავთანდილ მეგრელიშვილი



***

სრულიად საქართველოს კათოლიკოს–პატრიარქს ილია II–ს

უზარმაზარო იმედო,
იმედო – ენით უთქმელო,
ჩვენი ტანჯული მამული –
რა იქნებოდა უთქვენოდ?!

სამშობლო

სამშობლოზე უტკბილესი, –
არც თაფლია და არც ლექსი...
არც ლამაზ ქალთან ალერსი!
სამშობლოა – ერთადერთი,
დედაც და ხილული ღმერთიც!
ჰე, მამულო, მაპატიე, –
რაც გეკუთვნის – ის რომ ვერ ვთქვი!
შენ, თუ მე არ მეყოლები –
არც ოქრო მსურს და არც ვერცხლი!
არც სიცოცხლე მინდა ჩემი,
არც ჭიკჭიკი – ჩიტის, მერცხლის!
ღმერთო, ვიცი, რომ ჩემთან ხარ...
რომ ხარ მხსნელი, სულ მამური...
გევედრები, მე მომკალი, –
გადამირჩინე მამული!

ქართულ ენას

დედაც შენა ხარ, მამაც,
სისხლიც, მშვენიერ–მშვენი,
თუ ვზრდით ჭკვიანს და მამაცს, –
შენით, ეს მხოლოდ შენით!

შენ ხარ წყალობა ღმერთის,
სიცოცხლის წყარო ერის.
შენა ხარ ერთადერთი,
რითაც ვცოცხლობთ და ვმღერით!

ლექსიც შენა ხარ, ხმალიც...
ვკოცნი, შენს უკვდავ ლივლივს.
შენ ხარ იმედი ხვალის,
შენით, მარადჟამს ვივლით!

ჩვენს სისხლს – ცხელსა და უკვდავს –
გქვია ქართული ენა,
მტრებს – შხამიან გულს უკლავ,
ქართველისთვის ხარ ლხენა!
ჩვენს სასიცოცხლოდ, მხსნელად –
შენ მოგავლინა ზენამ!

დედაც შენა ხარ, მამაც, –
სისხლიც, მშვენიერ–მშვენი,
თუ ვზრდით ჭკვიანს და მამაცს,
შენით, ეს მხოლოდ შენით!

მოეფერეთ დედებს

მოეფერეთ, მოეფერეთ დედებს,
არ დაღალოთ შრომითა და დარდით,
რათა იგი – ადრე არ დაბერდეს, –
ყველა, ამის შეგნებამდე ადით!

დედა არის – სიცოცხლეზე მეტი,
უერთგულეს ახლობელად იცან.
დედა არის – შენზედ მუდამ მჭვრეტი,
დედის ფასი – არ აქვს დედამიწას!

დედას გული –
შვილებისთვის უცემს,
დედა არის – ღმერთის ტოლი ქალი,
დედა – შენთვის თავს
გაწირავს უცებ,
გმზერს, ლომ-ვეფხვის და
არწივის თვალით!

დაუჯერეთ, დაუჯერეთ დედებს
და მიენდეთ მის ჭკუას და სურვილს.
იგი შენთვის ყველაფერს იმეტებს,
შენთვის უნდა მას გულიც და
სულიც!

მე ეს თვითონ მიგებნია მრავლად,
თვით ვამაყობ ამით, განა ვმალავ?!
და ამიტომ მე თქვენც გაგიბედეთ, –
მოეფერეთ, მოეფერეთ დედებს!

მოეფერეთ, მოეფერეთ, დედებს,
არ დაღალოთ შრომითა და დარდით,
რათა, დედა ადრე არ დაბერდეს, –
ყველა ამის შეგნებამდე ადით!

ქისტებს და ჩეჩნებს

სიმამაცეში – ხისტებო,
პატივს გცემთ ჩეჩნებ-ქისტებო!
მამაცებო და მართლებო,
ბრძოლებში – მგლებო, აფთრებო!
უღალატო – უშურველნო,
ჩვენთვის – სიკეთის მსურველნო!
კავკასიელნო რაინდნო,
მწამს, მტერს არასდროს
დაინდობთ!
ეს, თქვენი სულის დარია,
სიცოცხლის საწინდარია!
საქმეს ჩაიდენს ავსაო?!–
მარყუჟში შეყოფს თავსაო!
მეამაყებით, ეს გწამდეთ,
ვფიცავ, მართალი ვარ – ცამდე!
მსურს, ვიყოთ სულ ძლიერები,
სულ ძმობდნენ ჩვენი ერები!
ჩვენი ძმობით, ერთგულებით –
ვიქნებით ბედნიერები!
ვიბრძოლ–ვიშრომოთ მხარდამხარ,
თან – ვიქეფოთ ხანდახან!
მანდ, მომიკითხეთ მკაცრები, –
ჩემსავით ბერიკაცები!
მიყვარხართ ჩეჩნებ-ქისტებო,
უღალატონნო, ხისტებო!

ქართული ანბანის კვალდაკვალ



ნოდარ შანიძე

ფიქრი კაცს თავისით მოეძალება ხოლმე. ეს ფიქრებიც თვითონ მოჯარდა, როდესაც ქართულ ანბანს მივუახლოვდი. რაღაც იდუმალი ბედით შეკრული ადამიანის ცხოვრების გზასაც მივადექ, ალბათ ერთ - ერთი ყველაზე ბუნდოვანი პიროვნებისა. ჩემდა უნებურად გონებაში საოცარი სურათი გაცოცხლდა.

განდეგილის შესახებ გადმოცემებში, როგორც ვხედავთ, ყველაფერი არაა დაცული და ჩვენ დროებამდე სამწუხაროდ ფრაგმენტებია მოღწეული, თქმულების არქაულ საზოგადოებაში შემონახული არქეტიპული ვერსიები როგორც ჩანს, კიდევ სხვა იყო.

მითოლოგიური გადმოცემები უმთავრესად ფანტასტიკურია და ჩვენი ვალია გამოგონილში სინამდვილე ვეძიოთ. რეალურის არარეალურისაგან გარჩევა გვევალება. რადგანაც მითოსი უდამწერლობო მეხსიერებაა, ადამიანის არც თუ ხანგრძლივი მახსოვრობაა. ალბათ ბევრ რამეს უმატებდნენ, ავრცობდნენ, ახალ ეპიზოდებს თხზავდნენ, ზღაპრულ სამოსელში ხვევდნენ.

ეს ანდრეზი გამოკვეთილად ქრისტიანული ტენდენციისაა. მასში მოთხრობილ ამბავს მოგონილად თუ მივიჩნევთ, ამით კიდევ უფრო გაესმება ხაზი თუ რა გააფთრებულ პროპაგანდას მიმართავდა ქრისტიანული ეკლესია ძველი იდეოლოგიის სახელის გასატეხად.

ხევში არსებული ლეგენდები კი ბოლომდე არ ხსნიან ბეთლემის საიდუმლოს. რაღაცას უთქმელად ინახავენ. მხატვრულ მეტაფორაში გადააქვთ.

იქნებ უფრო გაბედულად მივენდოთ ჩვენივე ვარაუდებს. აკი დღემდე მოღწეულმა ძუნწმა ცნობებმა საშუალება მომცა გამომეკვეთა არა მონაზონ ბერის, არამედ ასტრონომი ქალის პორტრეტი, მისი ცხოვრების გზისათვის თვალი გამედევნებინა.

მრგვლოვანმა თითქოს მისი სახელიც მიკარნახა, ანბანი გველაპარაკება.

დროის მიხედვით არცთუ პატარა მონაკვეთია, რახან ანბანი იმასაც გვეუბნება თუ რამდენ ხანს იქმნებოდა იგი.

მართალია, ისტორიულ წყაროებში დუმილია ან ბუნდოვანებაა და უსათუოდ გაშიფვრას მოითხოვს.

სავარაუდებელი კია, რომ ნაწარმოები აუცილებლად იარსებებდა. თხზულება, რომელშიც გადმოცემული იქნებოდა მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. ალბათ იყო ასეთი წერილი და სხვა მრავალთან ერთად დაიღუპა.

ილიამ განდეგილი 1883 წელს დაწერა. იგი მან თავის მეუღლეს ოლღა გურამიშვილს უძღვნა. მოქმედ პირებად წმინდა მამა და მეცხვარე ქალია გამოყვანილი.

მწერალი ილია ხონელი ჯერ კიდევ ილიას სიოცხლეშივე 1896 წელს აქვეყნებს ლეგენდას განდეგილზე. გვეუბნება, რომ ჭავჭავაძის პოემა მთლიანად არ ემთხვევა ლეგენდასო.

პავლე ინგოროყვას ცნობით ხევში ჩაწერილი რამდენიმე თქმულება მხოლოდ უახლოვდებიან ილიას განდეგილის თემას.

გერგეტის სანახებთან დაკავშირებულ საკრალურ თქმულებათაგან ერთ - ერთი გვამცნობს, რომ ხევსურმა გახუა მეგრელაურმა გუდანის ხატის მკადრემ გერგეთის ბეთლემის სახლში იხილა ოქროს აკვანი ყრმითურთ. „ერთ ოქროს აკვან იდგოდ, შიგან ყმაწვილ იწვავ“.

იოანე ბატონიშვილის მიხედვით მეფე ერეკლეს დროს მღვიმეში მყინვარსა მთასა შინა კაცთაგან მიუვალსა აღვიდა მღვდელი იოსებ მოხევე, რომელსაც იქ უხილავს კარავი და აკვანი აბრაამ მამამთავრისა და მეფე ერეკლესთვის კარვის ნაჭერი მიურთმევია. ხევში გავრცელებული გადმოცემის თანახმად იოსებ მოხევეს ჰყოლია შვილი, სახელად მარკოზ, ბეთლემში ის ადიოდა და მას მრავალი ოქროული ჩამოუზიდავს და გადაუმალავს. გადმოცემაში მოხსენებული ოქროს აკვანი სწორედ მას ჩამოუტანია.

ბეთლემის საგანძურზე ერთი მოხევური თქმულებაც მოგვითხრობს. გერგეტის უდაბნოში უმოღვაწია წმინდა ბერს მამა მამუკას. მისი გადმოცემით: მთას ძირიდან წვერამდე ყინულში გამოკვეთილი კიბე მიუყვებოდა. კიბეს შესდგომია, რომ აეთავებინა, საოცარი სანახაობა, შუა იატაკზე თვლებით მოჭედილი ოქროს აკვანი უხილავს.

ბეთლემში განდგომილი ბერები XIX საუკუნის ბოლომდე ცხოვრობდნენ.

1824 წელს გარდაცვლილა მღვდელმონაზონი ბესარიონი – მყინვარის უკანასკნელი მკვიდრი.

მოგზაურ ფრიდრიხ პარიტის 1900 იან წლებში ოთხჯერ უცდია იქ ასვლა. ბოლოს მაინც ასულა და თითქოს განძიც უპოვნია. თუმცა ეს საგანძური დაკარგულა.

წმინდა სავანე რუსეთის სამთო საზოგადოების ექსპედიციას 1913 წელს დაუპყრია.

1947 წლის დეკემბრის მიწურულს თბილისის ალპურ კლუბიდან ალექსანდრა ჯაფარიძის მეთაურობით მთასვლელები ყაზბეგისკენ გაემგზავრნენ. როდესაც მღვიმეს მიუახლოვდნენ, მოგზაურები განცვიფრდნენ – ჯაჭვს, რომელიც ვინ იცის რამდენი საუკუნისა იყო, ჟანგი არც კი მოჰკიდებოდა. იმასაც გვეუბნებიან უკუთხო ჭერი ქვაბულისა გუმბათს მოჰგავდაო. მოხევური თქმულების მიხედვით აკი ვკითხულობთ გადაკვრას და ჩვენ მეტისმეტი სიფრთხილით ვვარაუდობთ, ქვაბულს მთის ძირიდან წვერამდე ყინულში გამოკვეთილი კიბე მიუყვებოდა. ეხში თურმე სწორედ ამ კიბით ავიდა მამუკა. სამწუხაროა კიბის კვალი დღეს არ ჩანს. ამის დადგენა ალბათ ვეღარასოდეს ვეღარ მოხერხდება, დღეს ჩვენ ტრადიციულ საზოგადოებაში გავრცელებულ აზრს ვუჯერებთ, რომლის მიხედვითაც ადამიანთა შესასვლელად ზედ რკინის ჯაჭვი ეკიდა. მოხევეების გადმოცემით სამების მონასტრის რკინით მოჭედილ კარზე უამრავი რგოლი ყოფილა ჩამოკიდებული, რომელთაგან დღეს ძალიან ცოტაა დარჩენილი. მოხევეები მათ საყარაულო რგოლებს უწოდებენ. ჯაჭვი ახლაც არის. ის 5,5 მეტრი სიგრძისაა და შვეულ მონაკვეთზე იყო დაკიდებული. იქ ოდესღაც კიბის არსებობის ვარაუდი მართლაც არსებობს და ახლა ისღა დაგვრჩენია ჯაჭვს მიუჩინოთ თავისი პირვანდელი ადგილი და დანიშნულება.

მაგრამ, მოდით ჯერ იმ მცხეთელი მოგვების მოძრაობის ისარს გავადევნოთ თვალი, ძღვენი რომ მიართვეს ბეთლემში შობილ ყმა იესოს. აკი, მოხევეებს დიმიტრი ბაქრაძისათვის ესეც უთქვამთ, ბეთლემის მღვიმეში მოსეს კარავი და ის ძღვენია, მოგვებმა რომ მიუბოძეს ყრმა იესოსო. „განდეგილის“ პორტრეტსაც შტრიხი შეემატება. შემორჩენილი კანტიკუნტი ცნობების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია ეს ამბავი გავაცოცხლოთ.

როცა ანბანთმცოდნეები დასაბამზე გველაპარაკებიან, ასე ამბობენ: დასაბამი, 5604 წელი – იშვა ქრისტე. დასაბამი 540 წელი – იშვა ქრისტე. ისინი იმასაც ვარაუდობენ, რომ ქართული ანბანი თითქოს მცხეთელმა მოგვებმა (ებრაელებმა) შეჰქმნეს. ანდრეზის დანაშრევიდან კი ვიგებთ, ქართული ანბანი ამ ქვაბულში დაბანაკებული ქართველი ქალწულის მიერ კოსმოსიდანაა გადმოწერილი. ისტორიული მნიშვნელობით მეტად საგულისხმოა, მცხეთელმა მოგვებმა განძი მას სწორედ მრგვლოვანის საზღაურად მიართვეს.

მოხევეები დღესაც ამგვარად ხსნიან: ბეთლემის მონასტერში მთელი საქართველოს განძი იყოო. მაშ რა უნდა ყოფილიყო მთელი საქართველოს განძი? აკვანი რაღაცის გასაგნებაა. მაგრამ ეს ჩვენთვის ახლა საინტერესო არ არის. ჩვენში ინტერესის აღმძვრელი სხვა რამაა. როგორი იქნებოდა ნამდვილი ვითარება.

ახალ აღთქმაში ვკითხულობთ, რომ მშობიარე მარიამი ქვაბულში დაბანაკდა. ამ ქვაბულად ჩვენ შეგვიძლია „გერგეთის ბეთლემი“ მოვნიშნოთ. მოდით სახარებისეული თქმულებიდან რაიმე უცვლელი დავტოვოთ, შეუცვლელი დავტოვოთ ბეთლემი, დავტოვოთ უცვალებელი ქალწული და რაღა თქმა უნდა – იესოც. რა უფლება გვაქვს არ დავიჯეროთ?!

ერთი პარადიგმა. ცოტა შორს გავიხედოთ. თემურ ლენგის უსაყვარლესმა შვილიშვილმა, ულუგ ბეკმა XV საუკუნეში აღმოსავლეთში ყველაზე მნიშვნელოვანი ობსერვატორია ააგო, დაახლოებით თანამედროვე ათსართულიანი სახლის სიმაღლისა, რომლის საფუძველშიც ვეება რკინის რკალი ჩააყოლა. იმ ასტრონომიული ინსტრუმენტის მეშვეობით მან ათასზე მეტი ვარსკვლავის კორდინატი გათვალა. ამ მხრივ ყურადღებას ჩვენში ნეკრესის აღმოჩენა იქცევს.

2004 წელს საქართველოში მსოფლიოში ცნობილი მკვლევარი ბრიტანელი პროფესორი კლაივ რაგლესი ჩამოვიდა. ნეკრესის ველი აზომა. შემდეგ სპეციალური კომპიუტერული პროგრამის მეშვეობით პირველი საუკუნეების საქართველოს ცის მოდელი შეჰქმნა. ექსპერიმენტმა არქეოასტრონავტების ეჭვი დაადასტურა. ნეკრესი ციურ სხეულებზე დაკვირვებისათვის აგებული ტაძარი აღმოჩნდა. შენობა ლანდშაფტში ისეა ჩასმული და აგებული, რომ 22 დეკემბერს როდესაც დღე წლის განმავლობაში ყველაზე პატარაა, ამომავალი მზის სხივი სამხრეთ აღმოსავლეთის აფსიდას ანათებდაო. დროის მარკერი იყო, დროის ფიქსატორიო. ნეკრესი 4 საუკუნეში ქრისტიანებმა გაანადგურეს

რელიგიური ომი რომელიც საქართველოში გაიმართა ნეკრესში კარგად ჩანს – ბეთლემშიც? იქნებ ლომისაზეც?! ხომ არ არის ბეთლემის ქვაბული უუძველესი ობსერვატორია, ხოლო ჯაჭვი ასტონომიული ხელსაწყო – სექსტანტი? ჯაჭვი ლომისის ჯაჭვსაც ეკონტაქტება და იქნებ ლომის ალევის მთაზე მდგარი სალოცავიც უუძველესი ობსერვატორიაა?!

საქმე ისაა, ნეკრესის ტაძარს კარი სამხრეთ აღმოსავლეთითა აქვს შებმული, ბეთლემის ქვაბულსაც, ლომისასაც. ხოლო, რა დანიშნულება ჰქონდათ ნეკრესში აღმოჩენილი ბრინჯაოს წკეპლებს ვერ გაარკვიეს და გვეუბნებიან, მით რომელიღაც რელიგიური რიტუალი სრულდებოდაო.

ფაქტია, ბეთლემის კარი მსხვილთავიანი რკინის ლურსმნებითა და რკინისავე დაგრეხილი რგოლებითაა მოჭედილი და ლომისის ტაძრის კარებს მოგვაგონებს.

დაბოლოს, ბელეტრისტის გაბედულმა თვალმა ყოველი შეიძლება პირუკუ შეატრიალოს. ბეთლემში ბერი კი არა, ქალი ცხოვრობდა ამ მყინვარწვერთან მდუმარებდნენ მისი თვალები, ვინაც ცის აგებულება იცოდა და ანბანი შეგვიქმნა. რაც შეეხება ქალწულობას, დედათწესის გაუქმება ანუ „ნაწმინდურობა“ უნდა გამოვრიცხოთ. ქალწული იყო და მორჩა. ხოლო, რადგან იქ არ არის ცხოვრებისათვის აუცილებელი პირობები, მთებით შემორტყმულ ბეთლემის ველიდან ალბათ ვინმე მწყემს მამაკაცს ქალ ასტრონომისათვის ქვაბულში ქადახმიადი აჰქონდა.

მჯერავს, ქართულ მიწაში გაიხრწნა ქალწული, რომელმაც მრგვლოვანი შექმნა, რაც არა მარტო ანბანი – უზუსტესი კალენდარიცაა, რომლის სადარი არა აქვს მსოფლიოს. ჩვენ შეგვიძლია მუხლი მოვიდრიკოთ შესანიშნავი ქართველი ქალწულის წინაშე, ვინაც გვიშვა იესო!

მურმან ვახანია

საოცრებათა საოცრება

შენ ერთადერთო საოცრებავ,
მამულო ჩემო, იმ ჩემს ფიქრებში,
ეს მერე მოდის, მირაჟივით,
ფარაონთა პირამიდები!
გავაოცებდი სემირამიდას შენი ბაღებით,
საოცრებათა საოცრებავ, შენი ვარდებით!
უზენაესო საოცრებავ, ზევსზე მაღალო,
არტემიდეზე რით ხარ ნაკლები,
მცხეთის ტაძარო!
რას გამაოცებს სხვათა და სხვათა ციხე-დარბაზი,-
ჰალიკარნასზე ლამაზი გაქვს მთათა პარნასი!
მზის დონეზე ხარ მიჯაჭვული ქედზე, ამირან!
სხვა საოცრება, თუ გწამს ღმერთი, მეტი რა გინდა?

მზია აკობია

თქვენ სათნოებით აღსავსეს

(ბატონ ბესიკ ქარცივაძეს)

დღეს ყოფა ისე დამძიმდა,
ზოგჯერ კეთილიც ავგულობს,
დიდი სურვილი გამიჩნდა,
რომ ლექსით მოგესალბუნოთ.

დღევანდელობას ვერ ვეტრფით,
რომ უზნეობა ფრთებსა შლის.
თქვენსავით მადლთა მფრქვეველი
გვამძლავრებს, უფლის რწმენაშიც!

ხალხის ქომაგნი ამ ჩვენს დროს,
ძალიან ცოტა ბრძანდებით!
უფლისგან უყურადღებოდ
მწამს, ერთიც აღარ დარჩებით.

ვით პიროვნება ამ ჟამში,
ფანტასტიური ბრძანდებით!
აქ ხალხი გლოცავთ, ლაჟვარდშიც
ნათლით აღსავსე ძალები!

თქვენ სათნოებით აღსავსეს,
საოცარ ადამიანს
გისურვებთ, მარად აღმა სვლებს...
სულით ნათელს და დიადს!

მაია დიაკონიძე

მარტო ვარ ისევ!

მე შემოდგომის საღამო მიყვარს,
სულს მიმშვიდებენ ნაზი ფერები,
ქარი მორეკავს ნოემბრის წვიმას,
წვიმა არის თუ სევდის წვეთები.
სავსე ტანჯვით და სავსე ლოდინით,
თავზე მადგება ნისლის ღრუბელი,
მე შემოდგომა მას მერე მიყვარს,
რაც წაგიყვანა ზეცამ ქუხილით.
და განშორების თეთრმა ზეწარმა,
როგორც აკვანში ისე მარწია,
უდაბნოში მყოფს, მწყუროდი ძლიერ,
ღამით ვიკლავდი ფიქრებს დარდიანს.
მე შემოდგომის საღამო მიყვარს
და შემოდგომის მკრთალი ფერები,
ვდგავარ ქუჩაში, მარტო ვარ ისევ,
თვალს მისველებენ წვიმის წვეთები.

ივეტა პავლიაშვილი–დოხნაძე

ჩემს თბილისს

თუ ჩემს ცაზე ვერ ვიხილე
სხივი მზის და მთვარის,
თუ დუდუნი არ ჩემესმა
ჩემი დედა მტკვარის.
სისხამ დილით თუ ვერ ვნახე
ნარიყალას ციხე,
ჩემი წმინდა სალოცავი
ბებერ მთაწმინდაზე.
და თუ გული ვერ ვიჯერე,
სვეტიცხოვლის ხილვით,
როცა მცხეთას უბერებელს
ფეხით გადავივლი.
ცისკარს თუ არ შევეგებე
ღიმილით და ფიქრით,
თუ სამების ზარების ხმა
ვერ მიწვდება რიხით,
სადაც ჩემი წინაპრები
წვანან ცხრა მთას იქით...
მეტეხიდან, სიონიდან
თუ არ მესმის ხმები,
ფეხით თუ არ მოვიარე
მათი ვიწრო გზები,
თუ სათუთად ვერ ვემთხვიე
მტკვრის ნაპირა კლდეებს,
ასიათასი მოწამის
სისხლით მონარწყავებს...
მაშინ, რიღას ასული ვარ,
ჰო, თბილისო შენი,
თუ ჩემს წარსულს არ ვუკვდავყოფ
წინაპართა რწმენით.
უკვდავი ვარ, როცა ვხედავ
ჩემს ნამუსს და სინდისს, –
ქართვლის დედას, ფარხმალით რომ
გადმოჰყურებს თბილისს!

შოთა მებუკე

შოთას მხარეო

შენ ჩემო ლამაზო შოთას მხარეო
მეცი პატივი, გამახარეო
ლაჟვარდებს მიეც სიბრძნის ტალღები
ახალწლის დილით მეც გეახლები.

დავლოცოთ შოთა დიდი რუსთველი,
დავითის საქმე ენით უთქმელი,
გონება დავდოთ სიბრძნის სადუღარს,
ზურგი ვაქციოთ ყველა სამდურავს.

ვაშენოთ ქვეყანა ვამაღლოთ წინსვლით
რომ არა ვჭამდეთ არც ერთი სირცხვილს,
ვიშრომოთ, ვიბრძოლოთ, ვისთვის? მისთვის,
რომ არ მოაკლდეს საფქვავი წისქვილს

ვესწრაფოთ სიბრძნეს, გონებას მახვილს,
ვადიდოთ ქვეყანა, ეს ბრძენი ხალხი,
ის არ ვაკეთოთ, რაც არად არ ღირს,
ვისწრაფოთ იქეთკენ, ვინც არის კარგი.

ვაკეთოთ, რაც კი სამშობლოს არ ვნებს,
აღმავლობისკენ რაც მეტად არგებს,
რაც არგებს ერს და მამულიშვილებს,
რაც ჯანსაღ ქვეყანას მისცემს სიმშვიდეს.

„რომელმაც შექმნა სამყარო ძალითა მით ძლიერითა“,
ჩვენ კაცთა მოგვცა ქვეყანა უთვალავ ნაირფერითა,
სახნავ-სათესით, ბაღ-ბოსტნით, უნიკალური ერითა,
სამშობლო ისე ლამაზი ვეღარ გაძღები ცქერითა.

ალექსანდრა ლელუაშვილი –მაჭავარიანი

ჩემს თბილისში

თუმცა აქ ბედი მე არ მწყალობდა
და მაინც, მიყვარს მისი ქუჩები: –
მთაწმინდის აღმართს რომ შევუყვები
ამითრთოლდება მყისვე ტუჩები!...

პატარა ქუჩა, პატარა სახლი,
სკოლა, სასახლე – ჩემი მგზავრები,
ბავშვობა ტკბილიც, ბავშვობა მწარეც,
და მაინც, იმ დროს ვეთაყვანები!...

როცა ავფრინდი ბარტყი ბუდიდან
და მივატოვე „მთაწმინდის მთვარე“,;
თავისუფლებას ვეძებდი, მაგრამ,
ბორკილი თავად დავიდგი მწარე!?...

და, განშორება!... სიცარიელე
შვილმა შემივსო და ასე დავალ!...
სულის სიობლე თან მდევდა კვალად...
და დაბრკოლებებს ვებრძოდი კვლავაც!...

და ვერსად, ვერსად ვპოვებდი ადგილს,
უბედობას კი ვებრძოდი მარად!...
სიყვარულს ნამდვილს ვერ ვპოულობდი,
უსიყვარულოდ, ეულად დავალ!?

და ახლა, როცა შემოდგომაა,
გაზაფხულს უკვე აღარ მოველი,
ცალირემივით დავდივარ მარტო..
სიყვარულს მაინც, მაინც მოველი!...

იროდი ასანაშვილი

ვეძებდი

სიზმარში, როცა სხეულს სძინავს, გონება დაჰქრის,
გამწარებული დავეძებდი ზეცაში უფალს,
გადავეყარე დიდ ილიას, ვაჟას, აკაკის,
გალაკტიონის, რუსთაველის მივედი სულთან.
ამ სავანეში შეკრებილან მგოსან-მწერლები,
უფლის კარებთან ქადაგებენ, ლექსებს გალობენ,
წმიnდა სიტყვებით შევერცხლილნი დანავარდობენ,
როგორც მომავალს მადიდებენ, მმოსენ მამკობენ.
დიდი მგოსნების, მომღერლების, დიდი მწერლების,
ზეაღმავალი ტკბილ სიტყვებით სული დამიტკბა,
ეს უკვდავების ბაღნარია ღვთისგან ნაქარგი,
ბრძენი გონებით დამამშვიდეს, მითხრეს: - გაზრდილხარ!
გამომეღვიძა კვლავ საშინელ მორევში მოვხვდი,
ნაბოდვარები, წარმომიდგა მრავალ „პოეტი“-ს,
ო, სად მოვედი, რა ვისმინე, რაებს როშავენ,
ბევრს წიგნი უკვე აუვსია მრუშთა ბოდვებით!
ვპოვოთ სიწმინდე, სათნოება, ლექსთა რითმაში,
ცაში დამდგარა მწერლების და პოეტთა დასი,
მათ სადიდებლად ღირსეულად უნდა აღვზარდოთ,
ქართული რწმენით პოეტები მწერალთა სახლში.

გაერთიანდით!

მტრებმა დაჯიჯგნეს საქართველოს გულუხვი მიწა,
გააცამტვერეს, გაიტაცეს ნაკუწ-ნაკუწად,
უფალმა ბევრჯერ მოგვივლინა ძლიერი მეფე
და საქართველოს დედამიწა თვითონ აკურთხა!
მაშ რაღად გვინდა ნაჟურებად დაყოფა ერის,
პარტიებისგან შეძახილი, ცალ-ცალკე დგომა,
ერთი მუჭაღა დავღანღალებთ ქართულ მიწაზე,
განა ცოტანი გაგვიწყვიტა ვერაგმა ომმა.
პირდაბჩენილი გაუმაძღრის თვალით უყურებს,
ველად გადაშლილ აყვავებულ ჩვენს მთას და მდელოს,
რა დროს კორტნაა ერთმანეთის, მტერი მოგვადგა,
ინაწილებენ თბილ ღიმილით ჩვენს საქართველოს.
შემოგიძახებთ, დაივიწყოთ წყენა, ტკივილი,
ჩვენსავ მიწა-წყალს ძალა უნდა კვლავ ერთიანი,
ყველა პარტია, სამშობლოსთვის, შვილებისათვის,
ერთ მუშტად შეკვრის სიძლიერით გაერთიანდით!

მანანა კიკნაძე

(ეძღვნება ყველა გმირს და მეომარს)

ველ-მინდვრებში სისხლისფერი,
უამრავი ყაყაჩოა,
თქვენ მეომარნო ქართველნო,
გმირნო, გვითხარით, სად ხართო.
ყველა მეომრის სახელზე,
ამოდის თითო ყაყაჩო,
თურმე რამდენნი ყოფილან,
გვამცნობენ, ყველა აქ ვართო.
გარდავიცვალეთ, ახლა კი,
ამოველთ, როგორც ყაყაჩო,
მინდვრებში მიმოფანტული,
აქ ჩვენ სამშობლოს ვიცავთო.

ყვავილი

ისე მიყურებს მე ეს ყვავილი,
თითქოს უნდა, რომ რაღაცა მითხრას,
ცდილობს ამოხტეს თაიგულიდან
და მომეხვიოს, მის წინ რომ ვზივარ.
გარწმუნებთ ყველას, მართლაც ასეა,
არ მეჩვენება და ნათლად ვხედავ,
სიყვარულს მიხსნის ის ლარნაკიდან
და სიყვარულით თვითონვე ტკბება.
მე კარგად მესმის რას მეუბნება,
ეს სხვა ენაა, ყველა ვერ ხვდება,
ის მეფერება თავისი მზერით,
რომ დამავიწყოს ეს ჩემი სევდა.

ზურაბ ჭუმბურიძე – 90



90 წლისა შესრულდა გამოჩენილი ქართველი მწერალი და მეცნიერი ზურაბ გალაქტიონის ძე ჭუმბურიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ბატონო ზურაბ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოგესალმებიან ჩვენი დიდი სამწერლო ოჯახის უღირსეულეს წევრს, პატიოსნებითა და სინდისიერებით გამორჩეულ მხცოვან, ამაგდარ შემოქმედს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 90 წლისთავს.

თქვენ ქართველ მწერალთა და მეცნიერთა იმ მცირერიცხოვან გუნდს განეკუთვნებით, რომელმაც ცხოვრების მიზნად მშობელი ქვეყნის გულალალი, უანგარო სამსახური დაისახა მიზნად და ამ მიზანს ათწლეულების განმავლობაში პატიოსნად, მუხლჩაუხრელად ემსახურება.

დიახ, მართლაც რომ ძველქართული პატიოსნებით ემსახურებით მშობლიურ ქვეყანას, მწერლობას, მეცნიერებას და თქვენი არსებობით ყველასთვის საცნაურს ხდით, რომ ყველაზე დიდი ჭეშმარიტება ამქვეყნად სამშობლოა, ყველაზე ძვირფასი და ყველაზე ფასეული ჭეშმარიტება.

თქვენი სულიერი ფორმირება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში მოხდა, ახლა დიდი ივანე ჯავახიშვილის სახელს რომ ატარებს. იმდროინდელი უნივერსიტეტი ხომ ქართული სულიერებით, ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული ტაძარი იყო და რა გასაკვირია, თუ მის კედლებში აღზრდილი ერისკაცი ასე ლამაზად, ასე უშურველად დაიხარჯებოდა საქართველოს სამსახურში. თქვენ ერთ-ერთი დამფუძნებელი იყავით უნივერსიტეტის ახალგაზრდა მწერალთა წრისა, იყავით ამ წრის თავმჯდომარე და ალმანახ „პირელი სხივის“ რედკოლეგიის წევრი. საგულისხმოა, რომ თქვენი მწერლური ნათლობაც სწორედ ამ ალმანახის ფურცლებზე შედგა, როდესაც 1950 წელს პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ ნაყოფიერად მოღვაწეობთ და თქვენი მნიშვნელოვანი წვლილიც შეგაქვთ ქართული მწერლობისა და მეცნიერების განვითარებაში.

თქვენი უაღრესად საყურადღებო მონოგრაფიები ქართული სალიტერატურო ენისა და სტილის საკითხებზე, ქართველურ ენათა შედარებით გრამატიკაზე, დიალექტოლოგიაზე, ტოპონიმიკაზე, მხატვრული თარგმანის პრობლემატიკაზე თვალნათლივ ცხადყოფს, თუ რა ფართო თვალსაწიერის მქონე მეცნიერი ბრძანდებით. 1953 წელს ნაშრომისათვის „სვანური ენის ლენტეხური დიალექტის ფონეტიკური თავისებურებანი“ ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება მოგენიჭათ, ხოლო 1966 წელს მონოგრაფიისთვის „მყოფადი ქართველურ ენებში“ – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორისა.

ქართველი მკითხველი დიდი ინტერესით შეხვდა მეცნიერულ-პოპულარული ხასიათის თქვენს ისეთ წიგნებს, როგორიცაა „რა გქვია შენ?“, „როგორ გაჩნდა სიტყვა“, „ქართული ხელნაწერების კვალდაკვალ“, რომლებიც სამაგიდო წიგნებად იქცა.

წლების განმავლობაში თსუ პროფესორი იყავით, ხელმძღვანელობდით რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ტექსტოლოგიის განყოფილებას. კითხულობდით ლექციებს ძველ ქართულ ენაში, შეპირისპირებით სტილისტიკაში, სვანურ ენაში, ქართულ ენათა შედარებით გრამატიკაში, ხელმძღვანელობდით ასპირანტებს. თქვენი უაღრესად მნიშვნელოვანი ღვაწლის აღიარებად იქცა თქვენი არჩევა გელათის აკადემიის აკადემიკოსად.

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები მიხეილ ჯავახიშვილის, კონსტანტინე გამსახურდიას, ნოდარ დუმბაძის, ანა კალანდაძის, შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაზე ყურადღებას ღრმა და საფუძვლიანი ანალიზით იპყრობს. თქვენი მონაწილეობით მომზადდა როგორც ქართველი კლასიკოსების (ილია, აკაკი, ვაჟა, ვასილ ბარნოვი) თხზულებათა აკადემიური, ისე ძველი ქართული ენის უმნიშვნელოვანესი ძეგლების (სინური მრავალთავი, უდაბნოს მრავალთავი) გამოცემები, ქართული ანდაზების კრებულები.

სხვადასხვა დროს არჩეული იყავით ალმანახ „კრიტიკისა“ და ჟურნალ „პიონერის“ რედკოლეგიის, ქართული ენის ნორმების დამდგენი კომისიის, ალმანახ „მწიგნობარის“ რედკოლეგიის, საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობის წევრად...

თქვენი მრავალწლიანი და მრავალწახნაგოვანი ღვაწლი ღირსების ორდენით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ვაჟა-ფშაველასა და შიო მღვიმელის სახელობის პრემიები. თქვენს ჯილდოებს შორის მეტად საპატიო ადგილი უკავია საპატრიარქოს წმინდა გიორგის ოქროს ჯვარს, რომლითაც თავად უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ დაგაჯილდოვათ.

ბატონო ზურაბ!

კიდევ ერთხელ გულმხურვალედ გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდი ადამიანური სითბოთი და პრინციპულობით გამორჩეულ მწერალს, მეცნიერს, ერისკაცს, დღეგრძელობასა და მზეგრძელობას გისურვებთ და კიდევ თქვენი სათაყვანებელი სამშობლოს გაბრწყინებას.

საქართველოს მწერალთა კავშირი

გუგული ტოგონიძე – 80

80 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი საბავშვო მწერალი ქალი გუგული ვალერიანის ასული ტოგონიძე. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ქალბატონო გუგული!

ჩვენო ძვირფასო მეგობარო!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან ღვაწლმოსილ შემოქმედს, ქართველი ბავშვების საყვარელ მწერალს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში – დაბადების 80 წლისთავს.

მართლაც რომ ღირსეული შთამომავალი და მემკვიდრე ბრძანდებით დიდი ქართველი საბავშვო მწერლებისა, თითქმის ნახევარი საუკუნეა, რაც დიდი გატაცებითა და ერთგულებით ემსახურებით ყმაწვილების სულიერი ფორმირების უკეთილშობილეს საქმეს, წვრთნით მათ სულსა და გონებას, ასწავლით სიკეთის, სათნოების, კეთილშობილების, ვაჟკაცობის, ქედუხრელობის ფასს.

თქვენი სამწერლო დებიუტი 1970 წელს შედგა, როდესაც ალმანახ „ლილეში“ გამოაქვეყნეთ პირველი საბავშვო მოთხრობები.

ქართველი ბავშვებისთვის მართლაც რომ ხელიხელსაგოგმანებელ წიგნებად იქცა თქვენი კრებულები „რა უხაროდა გოგონას“, „ლაშა მიდის სკოლაში“, „თეონა“, „ბრეცნი კუკნე და ფოთოლა კაბის ზღაპრები“, „ვარდისფერი ზღაპრები“, „წვიმის კაცუნები“, „ცისფერი მაიმუნის ზღაპარი“, „მოდი ზღაპარო“, „სიბრძნე ზღაპრისა“... ამ კრებულებში შესული ზღაპრები და მოთხრობები ნორჩების ყურადღებას უპირველესად სიმართლით, სილაღითა და ბუნებრიობით იქცევს. საოცრად პოეტურია თქვენი პროზა. სიცოცხლის ხალისი და სევდა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს თქვენს ტექსტებში და ამითაც ახერხებთ ბავშვების დაინტერესებას. საერთოდაც, პროფესიით ფსიქოლოგს ხელგეწიფებათ მათი სულის ხვეულებში წვდომა, პატარების მდიდარი ფანტაზიის გაღვიძება, აზროვნებისა და მშვენიერების აღქმის უნარის სწორ, სასურველ კალაპოტში წარმართვა. აკი თავადაც გამოუსწორებელი მეოცნებე ბრძანდებით და ამიტომაც ახერხებთ ბავშვებს გადაუშალოთ ზღაპრული სამყარო, სადაც გამარჯვებულნი მხოლოდ სიკეთე და სათნოება არიან. განა გასაკვირია, რომ საქართველოს ყველა კუთხეში იდგმება თქვენი ფეერიული შემოქმედების მიხედვით შექმნილი სპექტაკლები, ინსცენირებები, მიუზიკლები...

თქვენ მრავალწლიანი სამწერლო მოღვაწეობა შიო მღვიმელისა და მაყვალა მრევლიშვილის სახელობის პრემიებით აღინიშნა. მონიჭებული გაქვთ ღირსების მედალი. გამომცემლობა „ნაკადულმა“ 1996 წელს თქვენი „ვარდისფერი ზღაპრები“ წლის საუკეთესო წიგნად დაასახელა, ხოლო 1997 წელს ბორჯომში გამართულ მინისპექტაკლების ფესტივალზე ზღაპარი „ვარდისფერი ჭინკა“ სპეციალური პრიზით აღინიშნა.

ძვირფასო გუგული!

თქვენ ჭეშმარიტად ეროვნული სულისკვეთებით დამუხტული შემოქმედი ბრძანდებით და რა გასაკვირია, თუ ქვეყნის თავს დამტყდარმა უბედურებებმა თქვენს მხრებზეც გადაიარა. დღემდე იშუშებთ ამ იარებსა და ტკივილებს.

კიდევ ერთხელ დიდი პატივისცემით გილოცავთ საიუბილეო თარიღს ჩვენს საყვარელ კოლეგას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და ახალ შემოქმედებით გამარჯვებებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

თამარ პაპიაშვილი – 75

75 წლისა შესრულდა ცნობილი ქართველი პოეტი და საზოგადო მოღვაწე თამარ ალექსანდრეს ასული პაპიაშვილი. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო თამარ!

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი მეგობარი ქართველ მწერლები დიდი პატივისცემით მოგესალმებიან ღირსეულ პოეტს, მოქალაქეს და გილოცავენ დაბადების 75-ე წლისთავს.

თქვენ საქართველოს უძველესი და ულამაზესი კუთხის – ჰერეთის სისხლიანი ისტორიით, მისი ტკივილებითა და იარებით შთაგონებული შემოქმედი ბრძანდებით.

პირველი ნაბიჯები სამწერლო ასპარეზზე 1951 წელს გადადგით, როდესაც გაზეთ „გაგრაში“ დაიბეჭდა თქვენი ლექსი „შენი ფოთლებით ვსუნთქავ“. მას შემდეგ თქვენი პოეზიის საუკეთესო ნიმუშები პერიოდულად ქვეყნდება ჩვენს სალიტერატურო პერიოდიკაში, გამოდის ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველის დაინტერესება გამოიწვია თქვენმა ისეთმა პოეტურმა კრებულებმა, როგორიცაა „ქურმუხმა არაგვს გასძახა“, „ბედის ვარსკვლავი“, „შენმა მზემ ამაბრიალა“.. თქვენი ლექსი ნაკადულივით მოედინება, სუფთა, ანკარა ნაკადულივით, ქართული მყინვარების მადლი და მირონი რომ გამოჰყოლია. ქართულ მზეს აუბრიალებია თქვენი სულიცა და თქვენი პოეზიაც და ამ პოეზიის ლირიკული გმირიც, რომელიც მზადაა დაიჩოქოს ყველა მიტოვებულ, ეკალ-ბარდით დაფარულ ეკლესიასთან, გულმხურვალედ ილოცოს და სხვებიც აანთოს ლოცვა-ვედრებისათვის, მალამოდ და მტლედ დაედოს მოძმეთ და ბოლოს ლექსადაც დაიღვაროს, მართალ და ძარღვიან ლექსად. მარადიული ცრემლი უდგას თვალში საინგილოს უვარსკვლავო, უმთვარეო ბედის გამო; სუროდ ჩანწვნია მის უნაპირო სევდას..

თქვენი ლექსები თარგმნილია რუსულ და სხვა ენებზე.

თქვენს კალამს ეკუთვნის საყურადღებო მოთხრობები და პუბლიცისტური სტატიები.

წლების განმავლობაში მუშაობდით ზოოვეტერინალური ინსტიტუტში ბიოქიმიკოსად, თბილისის მე-9 საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილების ექიმ-ლაბორანტად, ლექციებს კითხულობდით თბილისის მე-3 სამედიცინო ტექნიკუმში.

ყველას კარგად გვახსოვს, თუ როგორ თავდაუზოგავად ჩაერთეთ ეროვნულ მოძრაობაში და როგორ ებრძოდით საქართველოსა და ქართველობის მოძულეებს, გვახსოვს ისიც, თუ რა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ ქართული ეკლესია-მონასტრების გადარჩენის საშვილიშვილო საქმეში.

თქვენი ყველაზე დიდი ჯილდო თამარ მეფის ჯვარია, რომლითაც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ დაგაჯილდოვათ.

ქალბატონო თამარ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს ერთობილი საქართველოსთვის მებრძოლ ქალბატონს, დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და დიდ ადამიანურ ბედნიერებას გისურვებთ.

საქართველოს მწერალთა კავშირი

რომან ზუკაკიშვილი

***

ისევ შიშით მიცემს გული,
მაგრამ სხვა რა ვინატრო გზა?
დნება ზეცა მეწამული –
საქართველოს ბინათგრძნობა.
ჩაქრა ფიქრი წინ წასული
და ყვარლის მთებს დაესიზმრათ
დაჩოქილი წიწამური
შეძახილი ვაებისა...
ის დღე არის მუდამ ახლოს,
ბეწვის ხიდს ჰგავს ოცნების გზა.
წიწამური რაკი გვახსოვს,
ესე იგი, ცოცხლები ვართ.
მერამდენედ დავრჩი ობლად,
თუმც ტრფობისთვის მტრობას ვუძლებ.
არც მზე ცხრება,
არც ჭრილობა, საქართველოს
ნათელ შუბლზე.

გოგლა

გოგლა, სულო კრიალა, გულო –
თბილო ღადარო,
საქართველოს ტრფიალში
სანთელივით დამდნარო,
შენი სიტყვა, მაძღარი, ბედაური ცხენია,
შუქი არის ცისკრისა, მთებს
რომ გადაჰფენია;
ხანძარია იების, გაჩენილი ტყის პირას,
შენს ლექსებში თვით ღმერთმა
სიხარულით იტირა.
შენი სიტყვა ჭავლია, ივრის ტალღის
ერთგული,
დედაბოძი მუხისა, მშობლიურ ჭერს
შედგმული,
ვაზი გამრჯე კაცისგან,
მოვლილ-ნაამაგარი,
უწმინდესი ზედაშე, გულის ქვევრში
ჩამტკბარი,
სიტყვა, როგორც მიმინო,
სასწაულთა მდევარი,
ოქროსფერი თავთუხი, ქარვისფერი
მტევანი.
სიტყვა არის ხან ხმალი, ხან – აბჯარი,
თორი და...
ცხელი დედას პურია, ამოხდილი თონიდან,
დედოზარის გუგუნი, მყვირალობა
ნუშების...
სიტყვავ, ერთხელ გულდაჭრილს
სისხლად აღარ უშრები...
შენთან პაემანის დრო გათავდება აროდეს...
ფუძე უნდა მტკიცობდეს,
ჭერი უნდა ხარობდეს,
სიტყვა, როგორც მერცხალი,
ნავარდობს, ფრთებს მარად შლის,
საქართველოს თამადავ, გვიწვევ
ლექსის მარანში.
შენ – ღიმილის რაინდო, თავმდაბლობ
და ხმამაღლობ;
არის აუწონავი შენი სიტყვის ბაჯაღლო;
გოგლა, სულო მწვერვალო,
გულო – ტრფობის მადანო,
საქართველოს ტაძარში
წმინდა სანთლად დამდნარო!

დალოცვა

ღმერთო, არ მაჩვენო:
სახლი გამოცარიელებული,
სახე – ,,გამოსერიალებული“,
ვაზი – დასეტყვილი,
კაცი – შებერტყილი,
ერი – გახარბებული,
მტერი – გახარებული,
ნამუსი – გარეცხილი,
მამული – დამეწყრილი,
მოძმე – გაყიდული,
მოწმე – მოსყიდული,
გუთანი – ჩაჟანგებული,
ბუხარი – ჩანაცრებული,
ენა – გადაგვარებული,
რწმენა – ფეხქვეშგაგებული,
არამედ, ღმერთო, შენის მადლით:
არვის შიოდეს, არვის სტკიოდეს,
და ყველა სახლიდან,
და ყველა გულიდან
,,მრავალჟამიერის“ ხმა გამოდიოდეს!

ახალი მუხამბაზი

ეგ თვალები თავგზას ვის არ უბნევენ,
ეს სიმღერა შენს სულს სად არ უხსნია?..
თან დამდევენ ჩემი ყრმობის უბნები,
რომ მაშორონ ამინდს, ცივს და სუსხიანს.
მზე, სხივდასხივ, გვირილების ფურცლებად,
დაბნეულა ჩემი ნატვრის სიმძაფრით.
სიხარულის ახალ გრიგალს ვუძლებ და
მერამდენედ შემიყვარდი, ვინ დათვლის!
ბროწეულის ნაწვიმარი ყვავილი –
ერთი ხატი ვარსკვლავთცვენის ღამიდან,
უჩვეულო ჟრჟოლა თუკი გამივლის,
შენი მზერის გაზაფხულში რა მინდა?!
თუმცა ჩემთვის ერთი სიტყვაც გებევრა,
მაინც ჩემზე დარდებს ვეღარ გადურჩი...
ჩაიარა ყველა მატარებელმა,
მე კი დავრჩი სიყვარულის სადგურში.

ივრის ჭალებში

ციდან აპრილი ჩაფრენილიყო ივრის
ჭალებში,
უცხო სიმშვიდეს ჩვენ კი ცამდე
ავყავდით თითქმის,
და აქ ვიხილეთ გაზაფხულის
დიდრონ თვალებში,
ლამაზი ახსნა ჯერ უთქმელი,
იმ ერთი სიტყვის...
მზე იღიმოდა მუხლებამდე
ტალღებში მდგარი,
მოღერებული ტირიფები თავს
ხრიდნენ მორცხვად,
და მთის კალთებზე ღამენათევი
ეული ქარი
იმეორებდა ყველა დედის
მხურვალე ლოცვას...

ისე გვიყვარს საქართველო

ტყისპირს – ია, მთას – ღრუბელი,
ის არწივი – მუხას,
მინდორს სუნთქვა გვირილების
უყვარს, უყვარს, უყვარს...
ტალღას – ჭავლი, მზის სიზმარი,
ვარდის ბაგე – ფუტკარს,
ქუჩას – ქალი მოღიმარი
უყვარს, უყვარს, უყვარს...
ჩვენ კი ამ ყველაფრიანად,
რომ ვერ ზომავს სიტყვა,
ისე გვიყვარს საქართველო,
გვიყვარს, გვიყვარს, გვიყვარს!..

***

იქით იმერია,
აქეთ ამერია,
სადღაც მიმელიან,
თავგზა ამერია;
ვარდის დარებია,
ნამის ღვარებია,
შენი თვალებია,
მე რომ მყვარებია;
მზესთან ცისკარია,
შენთან მიხარია,
შენზე ფიქრებია,
რომ ვერ მიქრებიან;
გწამდეს – გევედრები,
ბედს არ ჩაუვლია,
შენთან შეხვედრები
დღესასწაულია
გული არ იღლება,
ტრფობა ხალისია
შენი გაღიმება
ჩემი მაისია...
დღეს რომ სიტყვას ვუვლი
ბევრჯერ ნამღერია,
თავად სიყვარული
შენი სახელია...

***

დუმილის ბჭენი შემილეწია,
მკერდს მამჩნევია მზე – სისხლის წვეთი.
ეს გაზაფხული ჩემი ლექსია,
გიძღვნი და მიხვდი, თუ როგორ გეტრფი.
შემიფრთხიალდნენ სულში მერცხლები,
გახსოვარ, ქარო, ველად გაჭრილო?
გპოვე და მაინც უნდა გეძებო,
რომ კიდევ ბევრჯერ აღმოგაჩინო.
შემოგენთება ახლა ცა თითქოს,
როგორც გარდასულ სულთა სინათლე.
ოღონდაც შენმა ტალღამ წამიღოს
და გაღმა ნაპირს აღარც ვინატრებ.
სუყველა დღესთან გულს მთელს მივიტან
და მოლოდინით, მინდა, ვღელავდე
შენზე ფიქრების თავსხმა წვიმიდან –
შენი ღიმილის ცისარტყელამდე.

რევაზ ჩხარტიშვილი

რაც მიფიქრია და მითქვამს ანუ შესავალი

1.
ცხოვრება ოკრო–ბოკროა, გზა ვიწრო ძნელად სავალი,
და რომ გგვგონია, გრძელია, მოკლეა მისი სამანი.
ხელიხელ საგოგმანები, პოეტის გრძნობა, გონება,
მზესავით გამოანათებს ღვთიური ზეშთაგონება.
მალთაყვა, ჩემი მალთაყვა შავი ზღვის პირას გაშლილი,
მტრედივით აღუღუნდები, რომ იყო ნერვებაშლილი.
ყოველ საღამოს ვხედავდი, ცას რომ ვარსკვლავი წყდებოდა,
მაგრამ მე რომ ვერ ვიჭერდი, გული ბავშვივით მწყდებოდა.
ჩემი ბავშვობის მალთაყვა, დღეს რომ ტყე–პარკი ბიბინებს,
წარსულის წლებმა ლამაზმა ყიჟინით გადაირბინეს.
კაცმა წალკოტად აქცია, ღვთიშობლის ეს საჩუქარი,
ტყეს დაუფარავს მინდორი, სადღაა ხრიოკ–ბუჩქნარი.
შემხვდება ძველი ნაცნობი, მაგრამ ერთურთს არ ვემთხვევით,
არც მოვიკითხავთ ერთმანეთს, ხელს ჩამოვართმევთ შემთხვევით.
თითქოსდა არცკი მიცნობდა, თითქოსდა მნახა პირველად,
მივხვდი რომ ძლიერ შევცვლილვარ, მავანთა გასაკვირველად.
გადასხვაფერდა მალთაყვა, სხვა არის ჩემი უბანი,
კაციშვილს ვეღარ შეხვდები, გაუბა რომ საუბარი.
აქეთ – ტბა პალიასტომის, იქით – შავი ზღვის ლივლივი,
შორით გურია–აჭარას თავზე დაჰნათის მზის სხივი.
მზეშია ჩემი მალთაყვა, თვალმარგალიტი ფოთისა,
ბუდე ძმობის და კაცობის არა მტრობის და შფოთისა.
მალთაყვა ჩემი მალთაყვა, ამშვენებს არე მარესა,
მთელი უბანი ჩემია, ვინ ჩამირაზავს კარებსა.
პალიასტომი წყნარია, როცა მზე ცურავს თავანზე,
მალთაყვის ხიბლი, სინაზე ჩემს მკითხველს შემოვთავაზე.
თეთრი თოლიის ფარფატმა ცა გადაპენტა მთლიანად,
განვლილი წლების ზმანებამ მაქცია ენამზიანად.
ერთი ფოთელი კაცი ვარ, მალთაყვის ველზე გაზრდილი,
მივდევ ცხოვრების დინებას, მომდევს ჩემივე აჩრდილი.
ხან ნიავივით ლაღი ვარ, ხანაც ვბობოქრობ ქარივით,
ხან მთიულივით კუშტი ვარ, ხან ცრემლს ვღვრი ნაზი ქალივით.
მთელი ბავშვობა გავლიე მშობლიურ ფაზის-ქალაქში,
თითქოს იმ ხანას ვიბრუნებ ამ კოლხურ, წმინდა ალაგში.
შავი ზღვა ისე ლივლივებს, ტკბილი სიამით ვბრუვდები,
როგორც მერცხალი ბუდეში, ჩემს მალთაყვაში ვბრუნდები.
მე გვიან გავთბილისელდი, მთაწმინდა გავითავისე,
მივლაშქრ–მოვლაშქრე უბნები, მისი სიწმინდით ავივსე,
რა გზები არ გადავლახე, ცხოვრების ქროლვა-სრბოლაში,
გავლექტორ-გავპროფესორდი, რას ვიფიქრებდი სკოლაში.
დავშვილიშვილდი კი არა, დავშვილთაშვილდი ბარემაც,
ვის ვაპატიებ ამ ქვეყნის სხვათა ჭკუაზე არევას.
მე თითქოს ახლაც ფოთში ვარ, მაღელვებს ზღვა და მალთაყვა,
მთლად მოვიარე ქვეყნები, მათზე ფიქრები თან დამყვა.
ისევ ზღვის პირას ვსეირნობ, მესმის ტალღების ჩურჩული,
და მახსენდება ყმაწვილ კაცს გულის ძახილი ჩუმ–ჩუმი.
აგერ, უეცრად შემომხვდა ჩემი ბავშვობის ნაღველი,
წლები გავიდა, მისებრი ქალის არა ვარ მნახველი.
სიბერე ჯერაც შორს არის, ძარღვებში სისხლი დუღდება,
ლამაზ ქალს ოქროს საყურე, ცას მზე და მთვარე უხდება.
არც ვქედმაღლობდი, არც ისე მთლად თავმდაბალი ვიყავი,
ცაში ვარსკვლავებს დავდევდი, ტოლებში გაურიყავი.
ათი ჭკვიანის ძებნაში შემოვიარე ქვეყანა,
ვაი, რომ ერთიც ვერ ვნახე, გულს დარდი შემომეყარა.
რა სანატრელი გაგვიხდა ჭკვიანი კაცი ტიალი,
რომ წაღმა შეატრიალოს ქვეყნის უკუღმა ტრიალი.
რომ ძმების გული მომეგო, ნაღველში ტკბილ თაფლს ვურევდი,
მე ახლა ისეთ დღეში ვარ, მტერსაც კი არ ვუსურვებდი.
ფიქრს თავი ვერ დავაღწიე, სულ მეგზურივით დამსდევდა,
მტრისას, თუ გადაგეკიდა დარდი, ვარამი და სევდა.
თვალებში ჩინი წამერთვა, დავბრმარდი დავჩაჩანაკდი,
ექიმი გულს რომ სინჯავდა კინაღამ ხელში ჩავაკვდი.
არც აზრი მიჭრის მე საწყალს, თვალებშიც ვერ ვიხედები,
თითქოს ბურუსში დანთქმულა ჩემი მალთაყვის ხედები.
უკვე ვეღარ ვწერ ამ ლექსებს, ნისლებში ყვინთავს ყოველი,
ვაი, რომ გადამივიწყებს მომავლის წუთისოფელი.
სულ მტერ-მოყვარეს ვებრძოდი, არ ჭირდა მათი გარჩევა.
ერთი სულ პირში მიცინის, მეორემ ღვარძლი მაჩვენა.
სულ მარტოდ მარტო ვიყავი, გულს ვერ ვუღებდი ვერავის,
სად უნდა წავსულიყავი, თან მდევდა თვალი მზვერავის.
ვერ ვხვდები, ჩემი რა შურდათ, რისი პატრონი ვიყავი,
სულ ჩემნაირებს დავდევდი, იმათგან გაურიყავი.
წვეთი სისხლისა არა მაქვს ნათურქალ-ნამონღოლარი,
ვუარყოფ გადიდკაცებულს, მანაღვლებს ნაობოლარი.
მივშალ-მოვშალე საზღვრები, შორს გადავწიე სამანი,
ფეხი იქამდე ვაწვდინე, სანამ მწვდებოდა საბანი.
მთავრობის უსულგულობამ, ხალხი მათხოვრად აქცია,
ფულიანსა თუ უფულოს ყველას მოუნდა აქცია.
მორჩა, გათავდა, წავიდა, ვინ დაგიბრუნებს იმ დროებს,
რუსი გვაძლევდა ჰონორარს, პრემიებსა და ჯილდოებს.
დრო ჟამის სვლა და ქროლვაში, დღეებს შევყურებთ უმზეოს,
ვინ შეგიწყალებს ხელგაწვდილს, მათხოვარსა და უმწეოს.
თითქოს ქვეყანას ვაშენებთ რამდენი წელიწადია,
მაგრამ ვაი, რომ სულ ფუჭად, რადგან ღმერთს არა სწადია.
გული წუხს, შფოთავს, მღელვარებს, თითქოს საგულეს არ იცდის,
სამშობლოს დარდს და სატკივარს კვლავ ძველებურად განიცდის.
ქართველი ჭამს და ამთქნარებს, თავი ბუმბულში ჰგონია,
ჭკუა გონება, ვაი რომ თითქოს და სულ არ ჰქონია.

2.
ცხოვრება ოკრო-ბოკროა, მთვარე არ მოსჩანს ცაზედა,
ურემი მიდის ჭრიალით, სოფლის ორღობის გზაზედა,
მთავრობა კვლავ წარსულშია, ასფალტს ვერ აგებს გზაზედა,
ხვალის იმედიც არა ჩანს, ცრემლი ჩამოგვდის თვალზედა.
მე სათქმელს რა გამომილევს, ისე მომძლავრდა ავსული,
ცა ჩამოქუფრა ღრუბელმა, გადამავიწყა წარსული.
ტყეში მომრავლდა კურდღლები, არ ისმის მგლების ყმუილი,
სიმართლის ნაცვლად აღზევდა ფარისევლობა, ტყუილი.
ზოგი კაცური კაცია, ზოგი კი პროვოკაცია,
ზამთარში თოვლს არ გასესხებს, ისეთი ძუნწი კაცია.
რაც უნდა ჭირი მოჭამო, რაც უნდა აწყო აქცია,
მთავრობამ მისი წევრები, მუცლის ქორებად აქცია.
იმედი ცოცხლობს, როდესაც იმედს იძლევა ცხოვრება,
და არა მაშინ, როდესაც კაცი კაცს ემათხოვრება.
სწავლული კაცი მათხოვრობს, ვაი, ხელი აქვს გაწვდილი,
მდიდარი ზედ არ უყურებს, ღვთის რისხვა არის ნამდვილი.
ბნელმა მოიცვა ქვეყანა, სიხარულს არვინ მპირდება,
ჭმუნვით მოსილი რომ მნახონ, ნურავის გაუკვირდება.
მზე იმალება ღრუბლებში, ქარი და წვიმა აპირებს,
ყველას თავისი დარდი აქვს, მე ვინღა გამინაპირებს.
ჩემი ვის უნდა შეშურდეს, მამალი არ მიყიოდა,
მზე ჩადიოდა საღამოს, დილას არ ამოდიოდა.
სხვას აცხუნებდა როცა მზე, მე ტანში მცრიდა, მციოდა,
სხვას რომ მზე ენთო თვალებში, მე სულ ცრემლები მცვიოდა.
სხვა ოქრო-ვერცხლში ცურავდა, მე ვალში ვიყავ ყელამდი,
სხვა არ ღელავდა ჩემს ბედზე, მე სულ სხვის ბედზე ვღელავდი.
მე რომ ბილიკებს ვეძებდი, სხვას თვალწინ ედო გზა-შარა,
სხვა რომ ლაღობდა, ჩემს თავზე ღრუბელმა ფრთები გაშალა.
რომ დადგებოდა რიჟრაჟი, დილის ვარსკვლავი ქრებოდა,
თვალს რომ მოვკრავდი გულის სწორს, ღაწვზე ალები კრთებოდა.
ბრიყვთათვის მარტივია და იოლი ასახსნელია,
რასაცა გასცემ, სხვისია, რასაც არ გასცემ, შენია.
დღეს ვინ შეისმენს რუსთაველს, ქვეყანა საძაგელია,
ძაღლი ვეღარ სცნობს პატრონს და კაცი კაცისთვის მგელია.
ვინ მაღირსებდა ჩინ–მედლებს ან დაფნის გვირგვინს თავზედა,
ჩენი სავალი ბილიკი არ ჩანდა ფართო გზაზედა.
გული გულს ეძებს, კაცი კაცს, იმედი ჩნდება ხვალისო,
რომ ღრუბლიანი ცხოვრება , მზის შუქით გაიხალისონ.
უჟამო ჟამი ქართველმა, დრო გადის, ვეღარ იგუა,
პრეზიდენტს ზურგში მახვილს სცემს, კიტოვანი და სიგუა.
სამშობლოს მსახურებისთვის, გულში ჰკრეს მრავალს ტყვიაო,
რა ხნის ვარ, მაგრამ ამ სოფლის ვერარა შემიტყვიაო.
დიდ კაცთა დიდი საქმენი დიდ კაცთა გასარჩევია,
და არა გონდაბინდულთა, როგორც მათ ხშირად სჩვევია.
ვერ მოვსპეთ, ვერ ამოვშანთეთ კლდენი, ღრენი და ფლატენი,
სამშობლოს მოძულენი და ქართველთა მოღალატენი,
შადიმან შადიმანობდა, ზურგიდან ჩაგვცა მახვილი,
სად არის ღმერთი მაღალი, არ ესმის ჩვენი ძახილი.
დღემდე ვნატრულობთ ქართველის ერის თაობას ერისა,
რომ ნათელს არ აბნელებდეს, სიბნელე ბნელის ფერისა.
ქედს არ მოვუხრი მტყუან კაცს, სულ მართლის მხარეს ვიდგები,
მოყვარეს პირში ვუძრახავ, მტერს მტრულად მოვეკიდები.
ვცდილობდი, ისე მეცხოვრა, ხელში მჭეროდა სანთელი,
საიქიოში გარდასულს თავს დამდგომოდა ნათელი,
კაცისთვის თვალში მეცქირა, არც მზერას ავრიდებოდი,
თუ კი რამ შემეშლებოდა, კუთხეში ჩუმად ვდგებოდი.
ან უცდომელი ვინ არის ვით უცოდველი ბატკანი,
ცოდვილთა შორის ვაი, რომ მეცა ვარ ერთი მათგანი.
მძულს კაცი ქლესა, ორპირი, ფლიდი და ფარისეველი,
ძმებს შორის მტრობა–სიავის, ღვარძლის და ქარის მთესველი.
მკლავში ძალ–ღონე მერჩოდა, ვაი, დედასა მტრისასა,
ახლა კი ისე დავბერდი, წყალს ვერ გავცურავ მტკვრისასა.
მთელი ცხოვრება გავლიე წიგნების წერა-კითხვაში,
ყურს არ ვუგდებდი ავყიებს ლანძღვა-გინება-კიცხვაში.
რა ვუყოთ, ზოგჯერ მოშურნე, სიტყვას თუ გაგიქილიკებს,
მე არ დავეძებ გზა-შარას, მივყვები ვიწრო ბილიკებს.
ზოგჯერ მოკეთე გაგწირავს, სარმას დაგიდებს ბილიკზე,
ცა ისე ჩამოშავდება, მოგენატრება დილის მზე.
ცხოვრების ორომტრიალში ჩემს ბედზე არა ვფიქრობდი,
გზა ჩამიხერგეს სადაც კი, მე მერანივით მივქროდი.
წლებს ჯიქურ შეჭიდებული ყველა ბარიერს ვლახავდი,
ყველა იმ მიზანს ვაღწევდი რასაც კი დავისახავდი.
მე ჩემი გზებით ვიდოდი, დარდი არ მქონდა არრისა,
არ მაშინებდა ღრუბელი, არც ქროლვა ზამთრის ქარისა.
ჰაუ, შორს არის, რაც იყო, რაც გულში მზედ ჩარჩენილა,
ჩემი ცხოვრების გზაკვალი სხვებისთვის სანთლად ჩენილა.
წარსულს ჩაბარდა წარსული, გულის სიტკბო და ხალისი,
მზემ აიკრიფა სხივები, ჩამოდგა მრუმე დაისი.
ღრუბელმა ფრთები გაშალა, წყვდიადი მიახლოვდება,
ღამის უფსრულში დარჩენილს, გზა ჩამიხერგეს ლოდებმა.
და აღმა ხნული მოკეთემ ვაი, რომ დაბლა დაფარცხა,
გადავარცხნილი ქოჩორი ჯიბრით უკუღმა დამვარცხნა.
უცბათ აღვმოჩნდი ჭირს შიგან, მომედო ელეთ-მელეთი,
მაღლა ვარსკვლავი ჩამიქრა, ძირს დამიბნელდა ხმელეთი.
მტრად მომეკიდა მოყვარე, ჩემი სიკეთე შეშურდა,
სამოთხის კართან მისული, შიგ ჯოჯოხეთში შემჩურთა.
კაცი რომ აღმართს აივლის, მერე დაღმართში ეშვება,
მორყეულ სავარძელსაც კი, ცოცხალი აღარ ეშვება.
იცის, რომ მისი კაცობა, სავარძელს ვეღარ ასცდება,
იგი რომ გამოაცალონ, მაშინვე გადაფასდება.
პირველი კაცი თავნებობს, ფეხზე ჰკიდია ქვეყანა,
ვაი რომ, ეს მერამდენედ გულს დარდი შემომეყარა.
თქვენ გიგებთ ოქროს კოშკებსო, თვალს შეგვაყარა ნაცარი,
არა და ლაქად მოგვეცხო იმ კაცის ნაავკაცარი.
ჟამი ჩამოდგა მიმწუხრის, არ ფრიალებენ დროშანი,
იამ დაჰკარგა სურნელი, გახმა, ჩამოჭკნა შროშანი.
შიგ გულში ჩასცემს დანასა, მოყვასს, მოძმეს და მოკეთეს,
მე ვინ ვარ, თვით არსაკიძეს ოსტატის ხელი მოჰკვეთეს.
ირევა ჩვენი კაცები, რა სიტყვის, გინდა რა ენის,
ვერ განვიწმინდეთ ვერაფრით ბინძური სული კაენის.
რისთვის წავიდე აღზევანს, ვინ მომცემს მარილს, ბროლსაო,
რად დავეთხოვო ჯერ დედას, მერე შვილსა და ცოლსაო.
დრომ წარიტაცა, წარიღო, თითქოს წარსულში დამიწდა,
რაც მიფიქრია და მითქვამს, სუყველა გადამავიწყდა.
კვლავ ყელყელაობს ზოგ-ზოგი, ქვეყანა ფეხზე ჰკიდია,
მთვარე რომ ცაზე ეკიდა დღესაც ისევე ჰკიდია.
არადა გაუფერულდა დაილია და გაციცქნდა,
კაცობა სხვას ვის მოვთხოვო მთავრობის კაცი გაციგნდა.
ქართველი ჭამს და ამთქნარებს თავი სიზმარში ჰგონია,
ჭკუა გონება, ვაი რომ თითქოს და სულ არ ჰქონია.

გოჩა ხარანაულის პოეტური გაბაჯწეინება

მიხეილ რეხვიაშვილი

პროფესორი, დამსახურებული მასწავლებელი ღირსების ორდენოსანი

მკითხველს წინასწარ ვეტყვით და შემდეგ ფაქტებით დავადასტურებთ, რომ 21–ე საუკუნის ქართული პოეზიის ცაზე გამოჩნდა შუქურა ვარსკვლავი გოჩა ხარანაული.

მისი პოეზიის ლექსიკური ფონდი, გრამატიკული წყობა, სტილი, და სემასიოლოგია, „ნინოს ცხოვრებიდან“და „შუშანიკის წამებიდან“მოყოლებული დღემდე გაჯერებულია თანამედროვე ლიტერატურული მხატვრული ენით.

უდავოა, რომ მწერალი თავისი ეპოქის შვილია და ძირითადად თავისი ცხოვრების ეპოქის ამსახველი, მაგრამ ამსახველსაც გააჩნია, როგორი უნარი და შესაძლებლობა აქვს.

შემოქმედებითი უნარის მქონე პოეტები მომავალსაც სიღრმისეული ობიექტურობით განჭვრეტენ და მეტეორივით კი არ გაიელვებენ და გაქრებიან, არამედ მუდმივად რჩებიან და ხელს უწყობენ მომავალი თაობების სულიერ და გონებრივ წვრთნას. სწორედ ასეთად გვევლინება გოჩა ხარანაული.

დააკვირდით მის პოეტურ ქმნილებებს და თვითონ გამოიტანთ დასკვნას, როგორი სახის პოეტთან და პოეზიასთან გვაქვს საქმე:

„ვინ თქვა ვაზი ხილია,
ვაზი კახელის შვილია,
ედემში გამოზრდილია,
ამად სულივით ტკბილია“(ვაზი)

ამ სტროფის მესამე სტრიქონით გვაგონებს XII საუკუნის დემეტრე მეფის ლექსს, „ღმრთიმშობლისა“, რომელშიც ვკითხულობთ: „შენ ხარ ვენახი, ახლად აყვავებული, მორჩი კეთილი ედემში დანერგული“... მაპატიოს გოჩა ხარანაულმა, შეიძლება, დიმიტრი მეფის ეს სიტყვები, არც ჰქონდეს წაკითხული, მაგრამ ინტუიციით დაემთხვა მისი აზრი წინაპრისას.

ეს უკვე მხატვრული სიტყვის უმაღლესი დონეა და უკეთესი თქმა ძნელია ისეთ საგანზე, როგორიცაა „მამა დაგრეხილი, დედა დაჭყლეტილი, შვილი გადარეული“ (გამოცანა – ვენახზე).

აბა, ვნახოთ კიდევ, რას გვთავაზობს პოეტი?

„ამ ამერიკელ თაგვებზე აზრიც არა მაქვს ოდენ,
ვერ გავაღმერთებ ვეროდეს, რასაც ქართველნი გმობდნენ!
მე ვერც ფრანგულად ვიცხოვრებ და ვერც თურქული ნაგვით,
ასეთი ვარ თუ ისეთი, მე ვარ ქართველი თაგვი(თაგვის ბალადა)

ეს არის თანამედროვე ქართველი კაცის გულისტკივილი და პატრიოტიზმი.

აი კიდევ ვაზის შესახებ:

„მტევანდიდი, ყორნის თვალა, ძველშავი და ჩხავერი,
ძაღლის მონურ ყოფა–წყმუილს ტურის მიჯობს ჩხავილი“
ჩიტისთვალა, კვაწახური, დევისთვალა, მჟაველა,
ჩემი რწმენა რუსთველია, მცნება ვაჟა–ფშაველა
ჩინებული, ჩვენებური, ჩინური და საჩინო.
შენ მშველოდი, ახლა დროა, თავად გადაგარჩინო.

აი, როგორ ეწინააღმდეგება პოეტი მთავრობის უგუნურ გადაწყვეტილებას ვენახის აჩეხვის შესახებ. ეს ყველა მევენახემ უნდა იცოდეს!

მეოცე საუკუნეში 60-იან წლებში ხრუშჩოვმა უბრძანა ქართველ ხალხს, ვაზი ამოეძირკვათ და სიმინდი დაეთესათ, მაგრამ მიზანს ვერ მიაღწია, ახლა ამ იდეას ჩვენი მთავრობა ასხამს ხორცს, მაგრამ ვერავინ მოესწრება. „რქაწითელის, საფერავის, გიჟანარ და დირბულა და ასობით სხვა ჯიშის ვენახის“. აღმოფხვრას ქართული მიწიდან, ამიტომ „გაუმარჯოს საქართველოს, ზეცასთან, რომ მიბმულია“(ვაზის სიმფონია).

პოეტს ღრმად ესმის, რომ სამშობლოს დაუძინებელი, დაუდევარი და ვეშაპი მტერი ჰყავს მას შიგნიდან ციხის კარი არ უნდა გავუღოთ; მტერთან ერთად კი გვღუპავს ქართველი, თუმცა საშველად თითს არ ანძრევს ბრიყვი ქართველი“.

„რაც დამრჩი ერთი პეშვიც არ არი,
შენს იმედზეა ნორჩი, ბებერიც.
საყანე მიწას ვეძებ ფანცქალით;
მაგრამ ქვაზე და ღორღზე მებნევი“(კომბლე)

პოეტისათვის უსაზღვრო ტკივილია მშობლიური ქვეყნის მოუშუშებელი ჭრილობები, რომლებიც დღეს მწვავედ წვავს და აწუხებს ქვეყანას და ეს ათქმევინებს მას:

„არაფერია მზის ქვეშეთში მამულზე ტკბილი,
მამულზე მწარე გასაოცი და გასაკვირი,
საამურია მამულისთვის თავის დადება
ვიდრე სიცოცხლით შელახული გული და ტვინი“(უვარდებო რობაიები)

ამ სტრიქონებით გოჩა ხარანაული დიდი გალაკტიონის სულთანაც ახლოსაა:

„სიკვდილს მე როდი შევუშინდები,
იგი ძმა, მუდამ ჩვენს მხარეზეა,
მე მეშინია იმგვარ სიცოცხლის,
სიკდვილს რომ ჰგავს და უარესია“

(გალაკტიონი)

პოეტი ახალგაზრდაა, ის დღევანდელის გარდა, სხვა საზოგადოებრივ სოციალურ წყობას არ მოსწრებია, მაგრამ ძალიან ღრმად და საფუძვლიანად ხედავს ერის მარწუხებში მოქცევას, მის აუტანელ მდგომარეობას. რის გამოც სამყაროსა და სიკვდილისადმი საყვედურს არ ჩქმალავს:

„მტკივა გოდერძი, მტკივა ტაგუ, მტკივა გურამი,
ძმაო, – ქართველო! შეძრული ვარ გულის გულამდი!
რა სჭირს სამყაროს, თავის ტყავში რომ ვერ ეტევა,
ან ეს სიკვდილი რა მთვრალივით დაეხეტება?! („წერილი ქართველს“)

ქვეყნის აუტანელი მდგომარეობა უხმო შინაგან ტკივილს იწვევს პოეტში, მაგრამ სულის სანთელი, მაინც მარადიულად ანათებს.

პოეტს ღრმად სწამს უფლისა: „უფლის გარეშე ფუჭი არის ყველა ქმედება შეევედროთ უფალს! დრო არ არის ახლა დავისი, უფალს – საუფლო! კეისარს კი მივცეთ თავისი“.

სამყარო არაფრად მიაჩნია ადამიანის გარეშე და კითხვას სვამს: რაა სამყარო და თვითონ პასუხობს: „სამყაროში შენ ხარ მთავარი“. პოეტის ეს აზრი წმინდა ილიას გამონათქვამს ესადაგება „რაა ქვეყანა უადამიანოდ?“ პოეტის ძირითადი დვრიტა ღვთის მცნებების დაცვაა და, რომ ხედავს ურწმუნოებას, კითხულობს: „რა ხდება შენს თავს! ნუთუ ღმერთი ულმობელია?! – მაშ, გაიხსენე, როცა უფლის მისდევდა ნებას, როცა იცავდი საკუთარ თავს და ღვთიურ მცნებას, იმართებოდი ფერფლიდან და ავლენდი ნათელს, უხვად იმკიდი სიყვარულით ნარგავს და ნათესს“(„წერილი ქართველს“).

სამშობლოს, საქართველოს ბევრი ჰყავს გულშემატკივარი შვილი, მაგრამ ამ გულისტკივილის გამოხატვა მხოლოდ ერთეულებს შეუძლია. ეს ერთეული და გამორჩეული გახლავთ გოჩა ხარანაული. აი, როგორ განიცდის სულისა და ხორცის ტკივილს მშობლიური ქვეყნის სავალალო მდგომარეობით:

„შემოკრულია ზარებზე და ისმის გოდება, ოკიანელი ნაბუშევარი ისევ მაქციონს, და ეს სამოთხე – საქართველოდ რომ იწოდება, უნდათ პატარა ჯოჯოხეთად გადააქციონ“. ამის გამო ქვეყნის მესვეურთ და მათ წამქეზებლებს მიმართავს:

„ქრისტე არ იცით, დაგიდვიათ ცხვირზე „ყურანი“,
მწვადი დაიწვა! ჩამოგითლის თურქი შაურმას,
მოჰკალ ილია,
მოჰკალ ზვიად,
მოჰკალ გურამი.

როგორც იტყვიან: გულზე ბანტი! ბალი შაურად!...

გოჩა ხარანაულს არ ავიწყდება თავისი თაობა. (თაობის შესახებ უნდა ვთქვა, რომ დღევანდელ მესვეურთ ადამიანთა თაობა, ერევათ უსულო საგნებში და უაზრო ანუ უცნებო აზრს ანიჭებენ – ყველა საგანს; მაგალითად: „ტელეფონების მესამე თაობა“, „ზეთების ახალი თაობა“და ა. შ., რომელ ქართველს მოუვიდა აზრად ადამიანის გარდა თაობა ეწოდებინა უსულო საგნებისათვის?! ანდა კიდევ ავიღოთ სიტყვა „დაბადება“, ვის გაუგონია საგნის დაბადება? რაც ბუნებას, ღმერთს ქანისათვის არ გაუჩენია? კაცმა ჰპოვოს ღმრთისგან, რაც არა დაბადება. (შოთა), მაგრამ უცოდინარობით დაუბადებელი დაბადეს ეწოდებინა უსულო საგნებისათვის?! მაგრამ ენის უცოდინრობით დაუბადებელი დაბადეს და გაიძახიან: „პარტია რესპუბლიკის დაბადების 10 წლისთავი“მაღაზია „გუდვილის“„დაბადების ერთი წლისთავი“, „მანქანა დაიბადა ამერიკაში“. ასეთი გამოთქმების ავტორებს მარტო პარლამენტარობა, მთავრობის წევრობა და ჟურნალისტობა კი არ უნდა აუკრძალო, ქვეყნიდან უნდა გააძევო, რომ მამულისა და სარწმუნოების დამცველ ჩვენს ანკარა ენას ჩირქი არ წასცხონ. პოეტის აზრს „რომ მისი თაობისაა ეს მიწა და ის ცა“და „რაც არ უნდა ეცადოს მაია და მიშა, ქვიშის ყველა სასახლე უბრუნდება ქვიშას“. ეს გამოთქმა სხვა უამრავ სანიმუშო გამოთქმასთან ერთად აფორიზმია. პოეტს არ ავიწყდება მშობლიური ენისათვის მიუღებელი გამოთქმები და მათ შორის „თინეიჯერი“. ამიტომ ურჩევს თინეიჯერებს: „თინეიჯერ ბაჭიებს კვლავაც მივცემ რჩევას, წყალი მიმოდინდება, დასარჩენი რჩება“. უნდა შევნიშნოთ, რომ უფროსი თაობის ზოგი წარმომადგენელი, რომელმაც არ იცის ქართული ენის მდიდარი ლექსიკური ფონდისა და მისი გრამატიკული წყობის მნიშვნელობა, თვითონ აცვლევინებს ბავშვებს ლამაზ ქართულ სიტყვებს: ყმაწვილი, მოზარდი, ახალგაზრდა – თინეიჯერით).

მშობლიური ენის უცოდინარ ადამიანებს ჰგონიათ, რომ თუ საუბრისას ქართველი ცნებიანი, აზრიანი სიტყვების მაგიერ, უაზრო, უცნობ, უცხო სიტყვებს გამოიყენებს, სახელსა და დიდებას მოიპოვებს, ასეთი ადამიანები საცოდავია. პოეტის თაობა ქვეყნის ბატონ-პატრონი და მეციხოვნეა. ის მედგრად დაიცავს ქვეყანას და, რასაც არ უნდა ეცადოს მტერი და უსუსური მთავრობა, თავისას ვერ მიაღწევენ:

„ჯერ ჩვენ უნდა დაგვლიოთ,
ერთიანად მოგვწყლათ,
ჩვენი სისხლის ნაღვარით
დედამიწა მორწყათ“.

პოეტმა კარგად იცის, რომ მამებმა ღირსეულად, შრომითა და ბრძოლით მოიპოვეს სახელი და დიდება, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ადამიანებს არ გააჩნიათ ის ჟინი, მისწრაფება ქვეყნის საკეთილდღეოდ, რაც მათ გააჩნდათ:

„ვერ გეცრუებით, თქვენც ხომ ხედავთ, ირგვლივ რაც ხდება.
ხარი წიქარა კუდიანის ცხვირწინ მარცხდება,
როგორ იქნება აწ სიცოცხლე, „ჩვენო მამებო„!
არაქართულად, უჯვარხატოდ და უსამებოდ
აღარც სტუმარი, მასპინძელი აღარ მასპინძლობს,
არც მცხეთა მცხეთობს, არც ასპინძა აღარ ასპინძობს,
გარდა ქართულის, ყველა ჰანგზე გვესიმღერება,
ჩვენ ალქაჯებმა ამოგვჭრეს მეხსიერება
ჩვენ გავიყიდეთ, არა ცეცხლით, ჭკუაგონებით!

თქვენ, ღირსეულნო, სიტყვის, საქმის უმანკოებით,
არ დაადუმოთ უკვდავების სამრეკლოები“(„მამების თაობას“).

ძალიან ძნელია და აუტანელი ქვეყნისათვის სახელოვანი მეცნიერების და საზოგადო მოღვაწეთა მტრობა, დაუნდობლობა და ღალატი. მით უმეტეს მწერლისათვის. გ. ხარანაულს ასეთი ადამიანის სიკვდილით ტანზე ეკლები ასხია, სული ამოდის, ხორცი კი ეწვის – ედაგვის:

„ეკლის პერანგი ჩავიცვი,
ჩემს გულს აღარ ევარდება,
არაფერი აღარ ვიცი“.
(„უსათაურო“)

პოეტს სურს, ყველა ქართველი ამაღლდეს სულიერად ქვეყნისადმი მოვალეობის გრძნობით:

„ქართველო, შენთვის მოვკვდები,
ოღონდ შენ მოდი გონზე,
ვიდრე ხეს და ქვას მოხვდები,
ადი ლაშარის გორზე!“

სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით გულნატკენი პოეტი ყველა ქართველს შოთასა და თამარს, ამ უწმინდეს და უძლიერეს მოღვაწეებს აფიცებს და სთხოვს:

„შოთას და თამარს გაფიცებ,
მადლს შენი დედა ენის,
სადმე ფეხი არ დაგიცდეს,
გოჯი არ დასთმო რწმენის!
დევმა, ურჩხულად ქცეულმა
არ მოგიქნიოს კუდი,
შენა ხარ ჩემი მამულის
სინდის-ნამუსის ქუდი! „ქართველი“)

ქვეყანას, მიწას მომვლელი სჭირდება, მაგრამ მისი ყადრი აღარავის ხიბლავს, ყველა გაურბის თოხს, ცელს, ცულს უანბანოდ რჩება:

„უანბანოდ დარჩა ყანას ვინც უგანა,
უანბანოს ყანა გახმა თანდათანა“(„ანბანი და ყანა“)

უნდა აღინიშნოს, რომ პოეტი გოჩა ხარანაული 21-ე საუკუნისათვის ისეთივე მოვლენაა, როგორებიც იყვნენ მე-20 საუკუნის მეორე ნახევრის ერის სათაყვანებელი ანა კალანდაძე, შოთა ნიშნიანიძე, მურმან ლებანიძე და მუხრან მაჭავარიანი. ჩემი თხოვნაა ქართველთა მიმართ, დაეწაფონ გოჩა ხარანაულის პოეზიას და მისი საშუალებით გაიგებენ, რა ულხინს და უჭირს ქვეყანას, როგორ უნდა გიყვარდეს შენი ერი, რა გემო და ლაზათი აქვს პოეზიას ადამიანის სულის ასამაღლებლად, როგორ დაიცვა გარემო-ბუნება და ამასთან, ვისაც სურს ღრმად ჩაიხედოს თავის სულში და შეიცნოს თავისი თავი, ჩემ თხოვნას მიიღებს.

მე რვა ათეულს გადავაბიჯე და იქნებ ვინმემ ჩემი ემოციები ხანდაზმულობით გამოწვეულ გულჩვილობას მიაწეროს. დრო ეჭვებს აბათილებს. მე კი ჩემი მხრიდან ჩემს აუჩქარებელ შეხედულებებს განვავითარებ – ბატონო გოჩა აბსოლუტურად ქართული ეროვნული მოვლენაა, „სავსე ქართული პატიოსნებით“და ეს ბედნიერებაა.

არაერთ უძლიერეს გვერდს წავწყდომივარ გაზეთში – „ლიტერატურული საქართველო“და განსაკუთრებული ხელხვავიანობით „მწერლის გაზეთში“ბევრჯერ ვცადე გაოცება დამემალა, რადგან ჩვენი სამშობლო მუდამ მდიდარი იყო ნიჭიერი და გამორჩეული ხალხით. მე ვერ დავხუჭე თვალი ვულკანივით მოქმედ ეროვნულ ენერგეტიკაზე, ქართული სიტყვის ფლობის ხარისხზე, გამოთქმათა ასტროლოგიურ სიზუსტეზე, განცდათა სიმძაფრესა და სიმახვილეზე.

წარმოუდგენელია ბედნიერების შეგრძნების გარეშე წაიკითხო პატრიოტული შედევრები უხვად გაბნეული „მწერლის გაზეთში“და არა მარტო.

გასაოცარია ამგვარი სიბასრე ფსიქოლოგიზმისა, არა მარტო ლოგიკური ცოდნა, არამედ ინტუიციური. ბატონი გ. ხარანაული დიდი სიცოცხლითა და მაშასადამე, დიდი ტკივილითა და რწმენით ცხოვრობს, ესაა სიცოცხლე ქართველის, საქართველოსი!

გიორგი შარვაშიძე

ფშაურ ხმაზედ

ვიცი, ძმავ, ვიცი, რადა ხარ
სევდით მოცული სახით:
ვაჟკაც ვაგლახად დაბმულხარ,
ვითა კაკაბი მახითა;
ვერ გაგიშლია შორიშორ
მშვენივრად ფრთები მალია,
შემოგხვევია ცხოვრების
სულთა–მხუთავი გალია;
გვერდით გიყრია ჟანგული
ყირიმი, ფარი, ხმალია,
ვერცა გაჰფერავ, ვერც იხმარ,
მტერმან აგიბა თვალია.
აგერ მერანიც ჭიხვინებს,
ლამის მოახტეს მხედარი!
მხედარი, შენებრ ვაჟაი,
მარქვი, მეორე სად არი?
მაგრამ რას იზამ, არ გხურავს
თავზედან მუზარადია,
აბჯარ–ჯავშანი დახეულ
ასი წლით მტვერში აგდია.
ვერ გაიქუსლავ ტაიჭსა,
ვერ დაიმუქრავ ქართულა,
ტოლ–ამხანაგი ყველაი
საიქიოსა წასულა.
მათ ნაოხარსა, ტიალზედ,
ზუზუნით დადის ქარია,
ზედ მოსთქვამს, ზედან ღუღუნებს,
ვითარ გლოვისა ზარია.
შენ მარტოკასა, ობოლსა,
რა გშველის, რა გახმარია?
შენს თავგანწირულსა კიჟინას
აყრუებს მთა და ბარია.
„მაშ, ფიქრობ, მოვკვდე სჯობია,
სიცოცხლე რა სახმარია?
ცოცხალი ლეში, თქმულაო,
მკვდარზედაც უფრო მკვდარია“.
მაგრამ არა, ძმავ, გახსოვდეს
ქრისტეს მცნება და ჯვარია, –
იგი გიშველის, განკურნავს,
რაც ოდენ სატკივარია.

აკაკის

სულმნათო! არა, არ გეთხოვები,
შენისთანები არა კვდებიან,
სხეულით მხოლოდ შენ განისვენე,
ხოლო ზეციურ–უკვდავი ხმები
შენის ქნარისა ჩვენთან შთებიან!
და ეს ანდერძი აღმაფრთოვანი
შენის ერისგან დალოცვილია,
როგორც ფოლადში
ოქროს ზარნიში,
ქართველთა გულში ჩაჭედილია...
და თან ღაღადი, ქებათა ქება,
გუნდრუკად ცისკენ აღემართება,
ეს არს სიცოცხლე და უკვდავება...
კურთხეულია შენი ხსენება!

ბაგრატ შინკუბა

რუსთაველის პროსპექტზე

მზე მიიმალა მთაწმინდის ზევით,
გამოესალმნენ დუმილით მთები,
დღისით რუსთველზე მზე იყო მწველი
და ახლა ბინდი ეშვება ფრთებით.

ყელმოღერილებს დამფრთხალ
შვლებივით,
ლამაზ გოგონებს ღიმილით ვზვერავ
და მე მაჩერებს, როგორც ჯებირი,
მათი ამაყი, კეთილი მზერა.

გული გრძნობს, გული რატომღაც
ღელავს,
თითქოს ნაბიჯის ხმა მესმის ნელი,
მათ ვიწრო შუბლზე, ვით
ცისარტყელა,
ყველას ლამაზი სარტყელი შვენის.

მინდა წავიდე...შენც მეკითხები:
- ერთი ვიცოდე, რად მოხვალ ნეტავ!
- სად წავალ, როცა ჩემი ფიქრებით,
შენთან ვარ მხოლოდ, მხოლოდ შენ
გხედავ.

მზე მიიმალა მთაწმინდის ზევით,
გამოესალმნენ დუმილით მთები,
დღისით რუსთველზე მზე იყო მწველი
და ახლა ბინდი ეშვება ფრთებით.

(თარგმნა რ. მარგიანმა)

ქიაზიმ აგუმაა

ფშაველის სიმღერა

ვინ დაატიოს არაგვი კლდეში, -
ცისკარს შორიდან უსწორა თვალი,
აზვირთებული ტალღების თქეშით
მიმოაბნია ალმასი, ლალი.

და აკიაფდა არაგვის წყალი
ყვავილზე, მოლზე ათასფერ წვე-
თად...
წამოდგა - ჩონგურს შეეხო კრძალვით
და იქცა ჰანგი ფერების ფეთქვად.

ჩარგალის მთებმა გაშალეს მხრები,
სიმღერამ გულიც გაარიჟრაჟა...
თითქოს იმდენჯერ მესხმება ფრთები,
რამდენჯერ ხელში ავიღებ ვაჟას.

(თარგმნა შ. აკობიამ)

ივანე თარბა

ალაზანი

სად იწყება, სად თავდება,
სად აქვს ბოლო და საზღვარი,
კავკასიის მაღალ მთებთან
მოიმღერის ალაზანი.

მის სათავეს კაცის თვალი,
კაცის მზერა ვერ მისწვდება,
ეხუტება ნაპირს წყალი
და და-ძმობას ეფიცება.

ო, მადლობა ჩემს ქვეყანას,
რომ გამზარდა და მაღირსა
მომღერალი გავმხდარიყავ
აყვავებულ ალაზნისა.

ძველთა ომთა არ ვარ მომსწრე,
როცა დასჭრეს მტერს ბრჭყალები,
მტრების სისხლით როცა მორწყეს
ქართველებმა ეს ჭალები.

პაწაწინა ნაკვეთების
აღარ ჩანდა არსად ზღვარი,
გუგუნებდნენ ტრაქტორები,
ბანს აძლევდა ალაზანი.

ქიმი ჩანდა მწვერვალისა,
უზარმაზარ კოშკის დარი,
ფართო ჭალებს, როგორც დიდ
ქვაბს,
ასდიოდა ოხშივარი.

წმინდა რძისებრ როგორც დუღდა
ალაზანი, ვნახე დილით,
ნიავი რომ დაქროლებდა,
ნისლს იკრავდა ნაღებივით.

სად იწყება, სად თავდება,
სად აქვს ბოლო და საზღვარი,
კავკასიის მაღალ მთებთან
მოიმღერის ალაზანი.

(თარგმნა ო. ჭელიძემ)

ნელი თარბა

საქართველოს

შენ ხარ კეთილი, შენ ხარ მაღალი,
მტევნებდასხმული ვაზი ბრალია,
ნაზიც, ლომგულიც, შენ ხარ
ჩონგური,
ხალხმა სიცოცხლედ რომ
გაწკრიალა.
მარტო რუსთველი,
შოთა რუსთველი
კმაროდა, ალბათ, შენს
სადიდებლად,
მაგრამ შენს ცაზე
კვლავ სხვა ვარსკვლავთა
ახალ–ახალი გუნდი ბრწყინდება.
დიდება შენდა, გმირთა
მშობელო,
სინათლის წყაროვ დაუშრობელო,
მხარზე მზე მტრედად
რომ გაფინდება,
დიდება მითქვამს, შენი დიდება!
მთაწმინდა, – გულის
ფიქრის ფიალა,
აღსავსე შენი სულის ნათელით,
კვლავ წმინდად იწვის,
როგორც სანთელი,
შენს სიყვარულში ღამენათევი.
მე შენი ცეცხლის
სხივზეც გავთბები,
მიმღერა შენი დროშის ფრიალმა,
ილიას სიბრძნის ზარის
წკრიალმა,
აკაკის ჩანგის ტკბილმა წკრიალმა,
ტატოს ჩინარის ნაზმა შრიალმა, –
სანთლად ინთება შენი დიდება –
მთაწმინდა – გულის ფიქრის ფიალა.
ვარ სიყვარულის კეთილი ტალღა, –
სხვა ჩემზე ლაღი არც მეგულება, –
მე აფხაზეთმა მასწავლა ახლა
შენდამი ტრფობაც და
ერთგულებაც.
მზე – ოქროს ჭაღი, ბაღი – დარბაზი
შენს დიდ ზეიმზე გვიხმობს,
გვეძახის.
შენ ხარ კეთილი, შენ ხარ ლამაზი,
მტევნებდასხმული შენ ხარ ვენახი!

(თარგმნა მ. ფოცხიშვილმა)

შენ საქართველო გქვია სახელად

მე მიყვარს შენი დიდი წარსული,
მე მიყვარს შენი დღეცა და ხვალეც,
ხარ უკვდავების ქიმზე ასული
შენ – რუსთაველის
მშობელო მხარევ!

მე შენს სიმაღლეს აქედან ვხედავ,
რამ წამომართა მთები ამხელა...
მიყვარხარ, რომ ხარ
გმირების დედა
და საქართველო გქვია სახელად.

მე მიყვარს,
მიყვარს მთაწმინდა შენი, –
ჩაუქრობ სულთა წმინდა საუფლო...
ბარათაშვილი ღვთაებრივ ენით
ლოცულობს შენზე,
შენთან საუბრობს.

ქრის მთაწმინდაზე ნიავი ნელი, –
გრიბოედოვის სუნთქვაა თითქოს,
და ცვარი – ნინოს ობოლი ცრემლი –
კანკალებს,
თითქოს შეშრობას ითხოვს...

ამაღლდა შენი ლაჟვარდის ჭერი,
მწუხრმა შენი ცა ვეღარ დანისლა
და მხრებგაშლილი მიაბიჯებენ
შთამომავალნი ამირანისა.

ო, საქართველოვ!
მზითა ხარ სავსე,
ამაღლებული შენა ხარ ფიქრი,
და უკვდავების შორეულ გზაზე
ბარათაშვილის მერანიც მიქრის.

ო, საქართველოვ –
სიმღერავ სულის,
ო, საქართველოვ –
სინათლევ თვალის,
აფხაზეთივით
გაშლილი გულით
გიმღერი ერთი აფხაზი ქალი.

(თარგმნა მ. ხურცილავამ)

ალექსი ჯონუა

აფხაზური სიმღერა თბილისზე

რისი სტუმარი, ნუ მეტყვით
სტუმარს,
მოვდივარ როგორც დედასთან
შვილი,
მიმოვიხედავ ირგვლივ და... უმალ
ამიცისკროვნებს სახეს ღიმილი.

მკოცნის, მეხვევა და არ მეშვება
ეს თბილი ქარი, თბილისის ქარი,
ვგრძნობ, რომ სიამით მეალერსება
ზვირთდალოცვილი ჭაღარა
მტკვარიც.

მე აფხაზი და სოხუმის მკვიდრი
დღითა და ღამით აქ ვარ ოცნებით,
მე საქართველოს ტრფილით ვიწვი,
ვხარობ თბილისის ასხივოსნებით.

მაგრამ არ ვწუხვარ და არა ვნანობ,
არცა პოეტის სიმღერა ნაღვლობს,
რომ მეც არ ვცხოვრობ,
ძვირფასო ძმაო,
ან რუსთაველზე, ან იქვე ახლოს, –

რადგან თბილისის ძმა არის მრწემი
სოხუმი – მუდამ მზით დანამული,
სადაც დაირწა აკვანი ჩემი
და გავიგონე იავნანური.

როცა თბილისელს სოხუმში ვხედავ
და ხეივნები ხვდებიან ტაშით,
სტუმარიაო, როგორ
ვთქვა, ნეტავ,
ვამბობ: ძმა შედის საკუთარ ბაღში!

მიყვარს თბილისი – ის დიდი დედა
ქართული მიწის, ქართულ ქალაქთა,
და ჩემი გულის მგზნებარე ფეთქვა
ამ სიყვარულით ალაპარაკდა!...

(თარგმნა ხ. ბერულავამ)

საქართველოს მწერალთა კავშირში

10 მაისს მწერალთა სახლში ჩატარდა აფხაზეთში ვერაგულად მოკლული პოეტის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის ხსოვნის საღამო.

საღამო გახსნა მწერალთა კავშირის თანათავმჯდომარემ, პოეტმა მაყვალა გონაშვილმა.

სიტყვით გამოვიდნენ და პოეტი მოიგონეს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა და პოეტმა ტიტე მოსიამ, პოეტმა მიმოზა ცანავამ, პოეტმა ზოია ციკოლიამ, 156–ე საჯარო სკოლის პედაგოგმა დალი ცუცქირიძემ, ჭიათურის გამგეობის წარმომადგენელმა მაია ტყემალაძემ.

თბილისის 147-ე საჯარო სკოლის მოსწავლეებმა: ანასტასია გურასპაშვილმა, ოთარ ჩხიკვაძემ, ქეთი ოთაშვილმა, ია ლაცაბიძემ, ვაჟა გადელიამ, შალვა წიკლაურმა, ლიკა გოქსაძემ პედაგოგ ნატო შარაშიძის ხელმძღვანელობით წარმოადგინეს პოეტის ლექსებზე შექმნილი მონტაჟი.

პოეტის ლექსები წაიკითხეს: თემურ თორდიამ, მარიამ შეროზიამ, ელენე ცირდავამ, თემურ კალანდიამ, ანა და მარიამ შუბითიძეებმა, ანა და სალომე მინაძეებმა.

კომპოზიტორმა ია მაისაიამ შეასრულა პოეტის ლექსზე შექმნილი თავისი ულამაზესი სიმღერა „მინდვრის ყვავილები“.

პოეტმა და კომპოზიტორმა ნეკა ბაკურაძემ შეასრულა თავისი სიმღერები.

პოეტმა საპოვნელამ – მადონა კალანდიამ წაიკითხა ეთერ სამხარაძე-ჯღამაძეზე მიძღვნილი ჯანო ჯანელიძის ლექსი და საკუთარი ლექსი, რომელიც პოეტს მიუძღვნა.

დასასრულს პოეტის ქალიშვილმა აზა ჯღარაძემ მადლობა გადაუხადა საქართველოს მწერალთა კავშირს და დამსწრე საზოგადოებას.

საღამო მიჰყავდა პოეტ მადონა კალანდიას.

***

15 ივნისს მწერლის სახლში გაიმართა მწერალ ირმა კეკელიძის ახალი წიგნის „კვირაცხოვლობა“ პრეზენტაცია, რომელიც გახსნა მაყვალა გონაშვილმა. მან ირმა კეკელიძეს მიულოცა ახალი წიგნის გამოსვლა და აქტიური, ნაყოფიერი შემოქმედებისათვის პროზასა და დრამატურგიაში მწერალთა კავშირის სახელით აკაკი წერეთლის პრემია გადასცა. სიტყვით გამოვიდნენ ბაღათერ არაბული, ერეკლე საღლიანი, დავით შემოქმედელი, თენგიზ გიორგაძე... მსახიობებმა რამაზ იოსელიანმა და მარინა კახიანმა წაიკითხეს ირმა კეკელიძის მოთხრობები. ფოლკლორულმა ანსამბლმა მარინა კოლხიდაშვილის ხელმძღვანელობით გაალამაზეს საღამო. დასასრულს, ირმა კეკელიძემ მადლობა გადაუხადა დამსწრე საზოგადოებას.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის – „წმინდა ნინოს ჯვრის“ ახალი laureatebi

6 ივნისს უკვე მეექვსედ ჩატარდა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი `წმინდა ნინოს ჯვარი~. ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული ახალგაზრდობისა და ინტელექტუალური განვითარების ცენტრი (წმინდა სამების საკათედრო ტაძარი).

ღონისძიება საზეიმოდ გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა.

მონაწილებსა და სტუმრებს მიესალმა ჟიურის თავმჯდომარე ზაალ ბოტკოველი. ჟიურიმ: ლალი ჯაფარაშვილი, თამარ ფარჩუკიძე, ედუარდ უგულავა, ზაალ ბოტკოველი ფესტივალის მთავარი პრიზი – `წმინდა ნინოს ჯვარი~ მიაკუთვნა: მურად მთვარელიძეს და ნინო მოდრეკილაძეს.

ფესტივალის პრიზი – `წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი~ გადაეცათ: ბადრი სულაძეს, გივი ჩიღვინაძეს, კახა შალამბერიძეს, ელდარ ჭიჭიაშვილს, მაკა გელაშვილს.

ფესტივალის პრიზით – `წმინდა ნინოს ჯვრის მედალი~ დაჯილდოვდნენ: რუსუდან ჯინჯიხაძე, ვასილ ბოსტაშვილი, მანანა ქურდაძე,Lდიანა ტყებუჩავა, სალომე გოგოლაძე, თემურ ტაბატაძე, მაია მიქაია.

დამსწრე საზოგადოებას ორგანიზატორებმა წარუდგინეს ქრისტიანული პოეზიის ფესტივალის `წმინდა ნინოს ჯვარი~ რიგით VI კრებული.

დასასრულ, ხელოვნებასა და მწერლობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის ფესტივალის მთავარი პრიზით – `წმინდა ნინოს ჯვარი~ დაჯილდოვდნენ: ქალბატონი მაყვალა გონაშვილი და ბატონი კახა ცაბაძე.

დაჯილდოებულთ მიესალმა მხატვარი და პოეტი რეზო (ემელიანე) ადამია.

ფესტივალი ჩატარდა თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის ფინანსური მხარდაჭერით.



რომანი სააკაშვილის შავგნელ ათწლეულზე

მკითხველმა უკვე მიიღო რევაზ მიშველაძის ახალი რომანი „ციყვი ბორბალში“ (გამომცემლობა „საქართველოს მაცნე“, რედაქტორი სოსო სიგუა – 340 გვ.). ამ რომანში რევაზ მიშველაძე მისთვის ჩვეული მხატვრული ოსტატობით გვიამბობს იმის შესახებ, თუ როგორ კამათლებივით აბურთავებდა თავგასული პრეზიდენტი მოქალაქეთა ბედს.

ნანარმოები საინტერესო პრობლემატიკით, მძაფრი სიუჟეტით და მტკიცე კომპოზიციით გამოირჩევა. რომანის ტირაჟის დიდი ნაწილი სწრაფად გაიყიდა. მსურველებს წიგნის შეძენა შეგიძლიათ გამომცემლობის ოფისში. ედიშერ მაღალაშვილის ქ. N5. ტელ: 568 105 467



რამაზ ბერაძე

გარდაიცვალა ცნობილი ქართველი მწერალი რამაზ ალფეზის ძე ბერაძე.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა ქართული სულიერებით, ქართული ლექსით დამუხტული შემოქმედი, რომელიც სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე პოეზიით სუნთქავდა, პოეზიით სულდგმულობდა.

რამაზ ბერაძე დაიბადა 1957 წლის 15 აპრილს ქალაქ თბილისში. 1973 წელს, თბილისის 112-ე საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, იგი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია – გეოლოგიის ფაკულტეტზე, რომელიც დაასრულა 1979 წელს. რამაზ ბერაძე სხვადასხვა დროს მუშაობდა მიწათმოწყობის ინსტიტუტის ინჟინერ-ნიადაგმცოდნედ, საქართველოს ტელერადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტში რედაქტორად, საქართველოს სპორტკომიტეტში წამყვან სპეციალისტად. იგი წლების განმავლობაში წარმატებული სპორტსმენი გახლდათ, იყო სსრკ ნაკრების წევრი რაგბიში. წვრთნიდა სარაგბო კლუბებს, ფოთში კი სარაგბო გუნდი ჩამოაყალიბა...

რამაზ ბერაძე ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან ეწეოდა, როდესაც გამოქვეყნდა მისი პირველი ლექსები.

ქართველი მკითხველი დაინტერესდა რამაზ ბერაძის პირველივე პოეტური კრებულით „წრე-ბრუნვა“, რომელიც ჭეშმარიტი პოეზიის შუქითაა განათებული. ამ კრებულში ნათლად გამოჩნდა, რომ მასში შესული ლექსების ავტორი მაძიებელი სულის მქონე შემოქმედი იყო, ღრმა, ფიქრიანი, სევდიანი, სამშობლო ქვეყნის ბედსა თუ უბედობაზე მაფიქრალი პიროვნება.

ეს შეხედულება დადასტურდა მწერლის მეორე წიგნშიც; სადაც დაივანა რომანმა „თანამედროვე მითი: მარადისობის მარადიული მისტერია“. ამ რომანში რამაზ ბერაძე გატაცებით იკვლევდა ადამიანის სულის ისეთ თვისებებს, როგორიცაა სიყვარული და სიძულვილი, სიკეთე და ბოროტება, წიგნიერება თუ უწიგნურობა. დიდი ბავშვი იყო და გაფართოებული თვალებით ცდილობდა იმის შეცნობას, თუ რისთვის უყვართ ან სძულთ ადამიანებს ერთმანეთი, როგორ თანაცხოვრობს ადამიანის სულში კეთილი და ბოროტი, ვის ან რატომ დაანათლებს უფალი სიბრძნეს, როგორ დავამარცხოთ, უპირველეს ყოვლისა, ის მანკიერებანი, კიბოს საცეცებივით რომ მოსდებია ჩვენს სათაყვანებელ სამშობლოს.

თავად კი სიკეთის განსახიერება იყო. ბოლომდე შეეძლო მოყვასის გვერდში დგომა და მისი ტკივილების, მისი გასაჭირის გაზიარება.

სწორედ ასეთი დაამახსოვრდებათ რამაზ ბერაძე მის მეგობარ ქართველ მწერლებს, მისი შემოქმედების თაყვანისმცემლებს.

საქართველოს მწერალთა კავშირი

...მთელი ცხოვრება ბრმად ვიარე, ბრმად! ასე გადიოდა დრო, ურწმუნოდ. დრო, რომელიც სინამდვილეში თურმე არსადაც არ მიდის. ადამიანი ყოველთვის სადღაც მიდის და მეც ტაძარში მივედი, უფალში ვპოვე საშველი! და მივხვდი, არასოდეს დავკარგავდი!

ამის შემდეგ ათი წელი გავიდა... და სულ ვეძებ! სულ ვეძებ და სულ ვპოულობ!“ რომელიც თურმე სულ ჩემთან იყო.

ჩვენ თავად ვკარგავთ, ხელს ვკრავთ და ამით ვაკრავთ ჯვარზე!

ყველამ გავაკარით! მაშინდელმა, თუ დღევანდელმა უღმერთოებმა –

ყ ვ ე ლ ა მ !

მერაბ სადღობელაშვილი

რამაზს

ჰე ბიჭო რითმა გაგექცა
თუ შენ უმტყუნე რითმას!
გაილაჟვარდებ ამდენ ცას
მე კი სულს ველარ ვითქვამ!!!

რად აგვირიე დავთრები?
გულო ხომ გქონდა წრფელი!
ცრემლამდე მომენატრები,
შენს დასიზმრებას ველი!!!

ძმასა და პოეტს მიუხვალ
სულს მოგაშველებს ლამაზს,
არსად არ წაიბორძიკო
არ შეგეშინდეს რამაზ!!!

ვინ დარჩენილა მიწაზე?!
დაიტრაბახოს იმან...
წყალი მოდგება, მიდგება
ბოლოს კი ზღვასთან მივა!!!

გოჩა ხარანაული

რამაზ ბერაძის მონოლოგი

გაიღო კარი...

გავაღე კარი – ღამე შევჯორე,
მე სინათლეში გამოკეტილმა.
და სართულიდან (ალბათ მეორე)
მასხრად ამიგდო ვიღაც კრეტინმა.

გავაღე კარი – დავტუქსე დილა,
„მე უფრო ადრე გელოდი მეთქი“
ვიღაცამ ყბაში გაიწნა სილა:
„გააფრინაო“ – (ხმამაღლა ვერ თქვა).

დღე იყო მღვრიე და იყო მწარე,
წვიმები კეფას უშენდნენ ყუით,
გავაღე კარი, მომინდა მთვარე,
და მოვუმატე ღირსეულ ყმუილს!!!

გავაღე კარი, რას ვხედავ – პური,
ტირის, „ზედ ღვინო დამაწვეთეო!“
განვიხვენ მკერდი – მოვხადე ჭური –
მაშ, რას ვიზამდი ჟამთა მკვეთელო!!!

არის სიწყნარე, იმდენად წყნარი,
რომ არაფერი იტევს ყველაფერს!
გავაღე კარი – გაიღო კარი.
– და ჩემში ჩავდექ თითქმის ყელამდე!!!

შალვა სირბილაშვილი

გარდაიცვალა მწერალი და საზოგადო მოღვაწე შალვა ალექსის ძე სირბილაშვილი.

ქართველ მწერალთა რიგებს გამოაკლდა მხცოვანი, ღვაწლმოსილი პიროვნება, რომელიც ათწლეულების განმავლობაში უშურველად იხარჯებოდა მშობელი ქვეყნის სამსახურში და თავისი წვლილიც შეჰქონდა მის წინსვლასა და განვითარებაში, როგორც შემოქმედსა და კვალიფიციურ, ერუდირებულ იურისტს.

შალვა სირბილაშვილი დაიბადა 1936 წლის 14 მარტს გურჯაანის რაიონის სოფელ ზეგაანში. 1954 წელს სოფელ ველისციხის საშუალო სკოლის დამთავრებისთანავე იგი სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაიწვიეს, სადაც 1957 წლამდე იმსახურა. სამშობლოში დაბრუნებისთანავე შალვა სირბილაშვილი ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტად, რომელიც 1962 წელს დაასრულა.

მას შემდეგ შალვა სირბილაშვილი 1987 წლამდე მუშაობდა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში სხვადასხვა თანამდებობებზე და პირნათლად ასრულებდა მასზე დაკისრებულ მოვალეობებს, რაზედაც მისი მრავალრიცხოვანი ჯილდოები მეტყველებს. შემდეგ კი საადვოკატო საქმიანობით დაკავდა.

ლიტერატურულ-შემოქმედებით მოღვაწეობას შალვა სირბილაშვილი ადრეული ასაკიდან ეწეოდა და მხოლოდ პასუხისმგებლობის დიდი გრძნობა არ აძლევდა უფლებას, მათ გამოქვეყნებაზე ეზრუნა. და მხოლოდ 2004 წელს იხილა დღის სინათლე მისი ლექსების პირველმა წიგნმა „შენი ღიმილი მიშველის“. მას შემდეგ მისი ლექსები და რომანები გამოდიოდა ცალკე წიგნებად.

ქართველი მკითხველი ინტერესით შეხვდა მწერლის ისეთ პოეტურ და პროზაულ კრებულებს, როგორიცაა „რაც დამრჩა სათქმელი...“ „ოქროს სათვალე“, „მაღლიდან ზეცა ზურმუხტმცინარი“. ამ კრებულებში დაივანა შალვა სირბილაშვილის მგზნებარე სულმა, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულით რომ იყო ნიშანდებული.

შალვა სირბილაშვილის თხზულებანი მისი დიდი და შინაარსიანი ცხოვრებისეულ გამოცდილების, სიბრძნის ანარეკლს წარმოადგენს და შთაგონებით მგზნებარებითა და ალღოიანობით გამოირჩევა.

ქართული ლექსის ჭეშმარიტი ტრფიალი გახლდათ და რა გასაკვირია, თუ რამდენჯერმე ბრწყინვალედ გადაწერა უკვდავი „ვეფხისტყაოსანი“, რომლის ერთი ეგზემპლარი საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს უძღვნა.

შალვა სირბილაშვილი დაჯილდოებული იყო საქართველოს საპატრიარქოს „ბრწყინვალე ორდენითა“ და სხვა ჯილდოებით.

ქართველ მწერლებს დიდხანს ემახსოვრებათ შალვა სირბილაშვილი – პოეტი, პროზაიკოსი, საზოგადო მოღვაწე.

საქართველოს მწერალთა კავშირი

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი" იუწყებიან, რომ გარდაიცვალა მწერალი, მთარგმნელი
მიქაელ ახტიანი
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მწერალთა კავშირი და „მწერლის გაზეთი“ თანაუგრძნობს გური ოტობაიას, დედის
კლარა გელენავას
გარდაცვალების გამო.

მწერლის გზეთი
№7
ფასი 1 ლარი
1-31 ივლისი
2016
მისამართი: ვაჩაძლის ქუჩა №13 მეორე სართული. ტელ.:293-55-75
გაზეთი გამოდის 2001 წლის 8 ნოემბრიდან
მთავარი რედაქტორი სოსო სიგუა
სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარე რევაზ მიშველაძე
პასუხისმგებელი მდივანი მანანა გორგიშვილი
რეგისტრირებულია ვაკე-საბურთალოს სასამართლოს მიერ.
რეგისტრაციის № 5ა-4-3098
e-mail: mgorgishvili@mail.ru; luizagogelia@mail.ru
9 771987 698009